ოჯახში ძალადობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე

საკანონმდებლო ხარვეზები და პოლიტიკის გამოწვევები



EMC

ოჯახში ძალადობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე

საკანონმდებლო ხარვეზები და პოლიტიკის გამოწვევები

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
2018

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center

წინამდებარე კვლევა მომზადებულია პროექტის „ლგბტ ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, SRHR საკითხების ადვოკატირება და ქვიარ აქტივიზმის ხელშეწყობა“ ფარგლებში.

პროექტი შესრულდა სქესობრივი განათლების შვედური ასოციაციის (RFSU) მხარდაჭერით.

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) პოზიციას და არ შეიძლება განიხილებოდეს სქესობრივი განათლების შვედური ასოციაციის (RFSU) შეხედულებების ამსახველად.

კვლევის ავტორები: ლიკა ჯალაღანია, ქეთი ჩუთლაშვილი

კვლევის ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე

რედაქტორი: ნინო კალატოზიშვილი

გარეკანი/დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის (EMC) წერილობითი ნებართვის გარეშე.

მისამართი: ი. აბაშიძის 12ა, თბილისი, საქართველო
www.emc.org.ge
humanrightsemc@gmail.com
http://www.facebook.com/EMCRIGHTS/

შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების რიცხვი გაიზარდა და მათი ანალიზი ძალადობის სტრუქტურულ ხასიათს წარმოაჩენს. ასევე გაიზარდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პოლიტიკური აღიარების პროცესი და შეიმჩნევა მასთან ბრძოლის პროცესის ინსტიტუციური გაუმჯობესების ნიშნები, თუმცა ოჯახში ჩადენილი დისკრიმინაციული დანაშაულები, რომლებიც ოჯახის შიგნით არსებულ სოციალურ იერარქიებს ეფუძნება, კვლავ არ არის სათანადოდ აღიარებული. შესაბამისად, მიუხედავად პოზიტიური ნაბიჯებისა, სიძულვილით მოტივირებულ იმ დანაშაულებზე, რომლებიც ოჯახის წევრების მხრიდან ხორციელდება სახელმწიფოს რეაგირება ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანობის, დროულობის, ჯეროვნებისა და მიუკერძოებლობის სტანდარტებს. სახელმწიფოს საკმარისად არ აქვს გააზრებული ოჯახში სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ის უარყოფითი სოციალური ეფექტი, რომელიც შესაძლოა, არსებით საფრთხეს უქმნიდეს პირის ფიზიკურ/მენტალურ ჯანმრთელობას, პირის განვითარებას და უარყოფითად აისახებოდეს მის სოციოეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, „ლგბტი ადამიანები საქართველოში არიან სისტემური ძალადობის, შევიწროების, დევნის, შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლნი ცხოვრების ყველა სფეროში. მათ მიმართ გამოვლენილი ძალადობა და უთანასწორო მოპყრობა ხშირად ვლინდება ოჯახში, საჯარო სივრცესა თუ სხვადასხვა ინსტიტუციაში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის, მარგინალიზაციის, ბულინგისა და სოციალური გარიყვის სახით.“[1] ლგბტ თემის წევრების მიმართ არსებული ინსტიტუციური ჰეტეროსექსიზმი, ჰომოფობიის მაღალი ხარისხი და სოციალური გარიყულობა, რომელსაც ისინი ოჯახს გარეთ განიცდიან, მათ მეტად მოწყვლადს ხდის ოჯახში ძალადობის ნებისმიერი გამოვლინების მიმართ და ძალადობის განგრძობით ციკლში ამყოფებს, რაც კრიტიკულად აისახება მათ სოციალურ სტატუსზე, მენტალურ ჯანმრთელობასა და სუიციდალურ-თვითდესტრუქციულ ქცევებზე. ლგბტ ჯგუფის წევრების მიმართ ოჯახის წევრებისა და პარტნიორის მხრიდან გამოვლენილი ძალადობა ბევრად უფრო მტკივნეულია, რადგან მოძალადესა და მსხვერპლს შორის ძლიერი ემოციური კავშირი და მიჯაჭვულობა არსებობს, შესაბამისად, მისგან თავის დაღწევა და ძალადობის შეჩერება თითოეული ჯგუფის წევრისთვის იმ ერთადერთი უსაფრთხო სოციალური სივრცის დაკარგვის რისკს წარმოშობს, სადაც ჰეტეროსექსიზმის, ჰომოფობიისა და ჩაგვრის გარე ფაქტორებთან გამკლავებისათვის მხარდამჭერი გარემო უნდა არსებობდეს.

საზოგადოებასა და ინსტიტუციებში არსებული ჰომოფობიისა და მჩაგვრელი დამოკიდებულების გამო, ლგბტ ჯგუფის წევრებს ისეთ შემთხვევაშიც არ აქვთ ადეკვატური დაცვის გარანტიები, თუ ისინი შეძლებენ, დაძლიონ ოჯახის წევრების მიმართ არსებული ემოციური კავშირი და მათგან დაცვა მოითხოვონ. შესაბამისად, ოჯახში ჩადენილი დანაშაულის მიმართ ლგბტ ჯგუფის წევრები სრულიად დაუცველები არიან, რაც მათ აიძულებთ, დატოვონ საშინაო – ოჯახის სივრცე. ეს კი ასევე დაკავშირებულია განათლების მიღების შესაძლებლობების დაკარგვასთან, ეკონომიკური დახმარების შეწყვეტასა და უსახლკარობის რეალურ რისკთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ოჯახური დანაშაული ლგბტ მსხვერპლისათვის არა მხოლოდ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანის მომტანი შეიძლება იყოს, არამედ არსებითად შეაფერხოს ადამიანის ინდივიდუალური განვითარება და მისი კეთილდღეობისთვის რეალური ბარიერები შექმნას.

დღემდე საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკა მოწმობს, რომ ოჯახში ძალადობისა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლა სახელმწიფოსთვის ორი ერთმანეთისგან გამიჯნული პროცესია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფომ

[1] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2016 წელი

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის კუთხით, რაც პირველ რიგში, „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის თაობაზე“ ევროსაბჭოს კონვენციასთან (სტამბოლის კონვენცია) ჰარმონიზაციის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობაში 2017 წელს მასშტაბური ცვლილებებით აღინიშნა, მიღებული საკანონმდებლო ნორმები არ ითვალისწინებს სოგი-ს საფუძველზე არსებულ სპეციფიკას და ოჯახში ძალადობის მექანიზმების გამოყენება კვლავ ზოგადი რეგულირების ფარგლებში ხორციელდება.

სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებული სერვისებისა და არასენსიტიური კანონმდებლობის გამო, ლგბტ თემის წევრებმა შესაძლოა, ნაკლებად მიმართონ სამართალდამცავ სტრუქტურებს ან მის გარემოცვაში არსებულ ადამიანებს დახმარებისათვის, რადგანაც არსებობს არსებითი რისკი, რომ ისინი განმეორებით დაექვემდებარებიან ძალადობას ინსტიტუციების მხრიდან და სისტემა მათ ორმაგი დისკრიმინაციის წინაშე მარტო დატოვებს. აღნიშნული ვითარება კიდევ უფრო მძიმდება, თუ ძალადობის განგრძობით ციკლში მსხვერპლი არასრულწლოვანი ადამიანია, რომელთან გამკლავებაც და ბავშვის უპირატეს ინტერესზე მორგებული სერვისების გამოყენება ინსტიტუციების წარმომადგენლების სენსიტიურობის არსებითად მაღალ ხარისხს საჭიროებს.

ამასთან, ოჯახში ძალადობის პრაქტიკის თვალსაზრისით, სრულიად უყურადღებოდ არის დატოვებული ლგბტ პარტნიორებს შორის არსებული ძალადობა და ძალადობრივი ინციდენტები, რასაც ხელს არსებითად საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბარიერები უშლის. ოჯახში ძალადობის რეგულირება, რომელიც არ ფარავს პარტნიორებს შორის ჩადენილ დანაშაულებს, ხელს უწყობს აღნიშნული ტიპის დანაშაულების დაფარვას, რასაც ლგბტ თემის წევრების მიმართ გაზრდილი ძალადობის რისკი და (თვით)სტიგმა ემატება, რის საფუძველზეც თემის წევრები სიჩუმეს არჩევენ და განგრძობით ძალადობრივ ციკლში იკეტებიან.

წინამდებარე დოკუმენტი მრავალდისციპლინარული მიდგომის გამოყენებით ცდილობს ლგბტ ჯგუფის წევრების მიმართ ჩადენილი ჰომო/ბი/ტრანსფობიური ოჯახური დანაშაულების წარმოჩენას და მის აღმოსაფხვრელად ერთიანი მიდგომის შემუშავებას. დოკუმენტი, ერთი მხრივ, შეიცავს ჰომო/ბი/ტრანსფობიასთან დაკავშირებული ოჯახური დანაშაულების სტრუქტურული მიზეზების-შედეგების ახსნას და მის თეორიტიზებას. მეორე მხრივ, ტექსტში დეტალურად არის მიმოხილული ოჯახური დანაშაულის აღმოსაფხვრელად მიმართული სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩო და ხაზს უსვამს მის ხარვეზულობას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი ოჯახური დანაშაულების შემთხვევაში. დოკუმენტი პრაქტიკის მოშველიებით ცალკე აანალიზებს ოჯახური დანაშაულის ადმინისტრაციულსამართლებრივი, სამოქალაქოსამართლებრივი და სისხლისსამართლებრივი მექანიზმების ხარვეზებს, მათ შორის მოტივის იდენტიფიცირების, სტატისტიკის წარმოებისა და დანაშაულთა ანალიზის კუთხით. ამასთან, დოკუმენტი მიმოიხილავს მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მინიმალური სტანდარტების უზრუნველყოფისა და მათთან მოპყრობის საკითხებს. ასევე, დეტალურად აღწერს დანაშაულთა პრევენციის საჭიროებას და მოძალადეთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის აუცილებლობას.

დოკუმენტი ცალკე თავს უთმობს ერთი და იმავე სქესის პარტნიორთა შორის დანაშაულებს და მისი რეგულირების გზებისა და ხარვეზების იდენტიფიცირებას. ანალიზის საფუძველზე, დოკუმენტი შეიმუშავებს რელევანტურ რეკომენდაციებს სახელმწიფო ინსტიტუციების მიმართ.

ანგარიშის მიზანი

დოკუმენტის მიზანია ლგბტ ჯგუფის წევრების მიმართ არსებული ოჯახური დანაშაულის ბუნების, გავრცელების იდენტიფიცირება, მისი დაფარული ფორმების წარმოჩენა და წარმომქმნელი მიზეზების ანალიზი. დოკუმენტი ემსახურება ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის არსებული პოლიტიკის,

კანონმდებლობის, ინსტიტუციური რეფორმისა და პრაქტიკის ეფექტიანობის შეფასებასა და არსებული ხარვეზების გამოკვეთას.

დოკუმენტი ასევე ემსახურება პრაქტიკაში არსებული ინსტიტუციური ხარვეზების გამოსწორებისა და ლგბტ ჯგუფის წევრებისათვის ოჯახში და ინტიმური პარტნიორების მხრიდან ჩადენილი დანაშაულების რეგულირების შესაძლებლობების გზების ძიებას, მასთან ბრძოლის სისტემური სტრატეგიის შემუშავებას.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის განხორციელდა სამაგიდო კვლევა, რომელმაც მოიცვა არსებული კანონმდებლობის ანალიზი, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმების შეფასება, დოკუმენტისათვის გამოყენებული სახელმწიფო უწყებებიდან მიღებული საჯარო ინფორმაცია და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოებული თემატური კვლევები.

დოკუმენტის მიზნებისათვის ჯგუფმა გამოიყენა სოციალური და ფსიქოლოგიური კვლევების ანალიზი ოჯახში ძალადობის იმპლიკაციებისა და მახასიათებლების, გამომწვევი ფაქტორების უკეთ იდენტიფიცირებისა და ანალიზისათვის.

დოკუმენტის მიზნებისათვის, ერთი და იმავე სქესის მქონე პარტნიორებს შორის არსებული ძალადობის საკითხზე ინფორმაციის ასახვისთვის გამოყენებულია ხარისხობრივი კვლევის მეთოდიკა, რომლის ფარგლებში მოეწყო ინდივიდუალური ჩაღრმავებული ინტერვიუები ლგბტქი სათემო ორგანიზაციების – „იდენტობის“, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“, „თანასწორობის მოძრაობისა“ და „თემიდას“ იმ იურისტებსა და სათემო ოფიცრებთან (სულ 7), რომლებიც უშუალოდ მუშაობენ ლგბტ მსხვერპლთან, უშუალოდ არიან ჩართულნი საქმეებში და ფლობენ აღნიშნული დოკუმენტისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

ანგარიშის ლიმიტაციები

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე დოკუმენტი მიმოიხილავს ოჯახურ ძალადობასა და ინტიმურ პარტნიორებს შორის ძალადობის შესახებ საქართველოში ხელმისაწვდომ სრულ ინფორმაციას, წინამდებარე კვლევა ვერ უზრუნველყოფს ლგბტ ჯგუფში ოჯახში ძალადობის ფორმებისა და გავრცელების სრულყოფილ და ამომწურავ ანალიზს, რაც, ერთი მხრივ, გამოწვეულია ლგბტ თემის წინაშე ოჯახში ძალადობის კონტექსტში არსებული გამოწვევების შესახებ სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სრულყოფილი ინფორმაციის არქონითა და მეორე მხრივ, უშუალოდ დოკუმენტის მეთოდოლოგიის შეზღუდულობით, რომელშიც ვერ მოხდა ლგბტ ჯგუფის წევრების უშუალო ჩართულობის სრული უზრუნველყოფა მათი გამოცდილების რაოდენობრივი და სტატისტიკური შეფასების გზით. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ წინამდებარე კვლევა სასარგებლო იქნება ოჯახურ დანაშაულსა და ინტიმურ პარტნიორებს შორის არსებული ძალადობის ანალიზის, მისი მიზეზების კვლევისა და მხარდამჭერი სერვისების გაუმჯობესებისთვის.

EMC-ს სურს, მადლობა გადაუხადოს ნათია ხარატიშვილს, კობა ბიწაძეს, ირა სილანტევას, დიანა დავითაძეს და ნინო ბოლქვაძეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთან მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილების გაზიარებისთვის, ამასთან, EMC განსაკუთრებულ მადლობას უხდის ქეთი ბახტაძეს კვლევისათვის არსებითად ღირებული და დეტალური ინფორმაციის მოწოდებისთვის.

სარჩევი

3 შესავალი

7 ნაწილი I: ოჯახში ძალადობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე

8 ოჯახში ძალადობის დეფინიცია და საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა

12 არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობა და საერთაშორისო სტანდარტები

15 ოჯახში ძალადობა, როგორც სიძულვილით მოტივირებული დანაშაული

18 ოჯახში ძალადობის იმპლიკაციები: უმცირესობათა სტრესი და ქამინგაუთის გამოცდილება

23 სოგი-ს ნიშნით ოჯახში ძალადობის პრაქტიკა საქართველოში

26 სოგი-ს ნიშნით ოჯახში ძალადობის რეგულირების საკანონმდებლო ჩარჩო და ინსტიტუციური ხარვეზები

29 ოჯახში ძალადობის ადმინისტრაციულსამართლებრივი რეგულირება და პრაქტიკული ხარვეზები

31 ოჯახში ძალადობის სისხლისსამართლებრივი რეგულირება და პრაქტიკული ხარვეზები

39 ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა უფლებები და გარანტიები

42 არასრულწლოვანი მსხვერპლების/დაზარალებულების დაცვის გარანტიების ხარვეზული ასპექტები

45 ოჯახში ძალადობის პრევენციის ინსტიტუციური ნაკლოვანებები

48 მოძალადის სარეაბილიტაციო ღონისძიებების შეფასება

51 EMC-ის წარმოებაში არსებული ზოგიერთის აქმის ანალიზი

54 ნაწილი II: ძალადობა ინტიმურ პარტნიორებს შორის

55 ინტიმურ პარტნიორებს შორის ძალადობის გამომწვევი მიზეზების სოციალური და ფემინისტური ინტერპრეტაციები

61 ინტიმურ პარტნიორებს შორის არსებული ძალადობის პრაქტიკა საქართველოში

65 ინტიმურ პარტნიორებს შორის ძალადობის სამართლებრივი რეგულირება

68 რეკომენდაციები

ნაწილი I:

ოჯახში ძალადობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე

1. ოჯახში ძალადობის დეფინიცია და საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავის უფლებებსა და ღირსებასთან მიმართებით. სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა აღიარებულია, როგორც დისკრიმინაციისგან დაცვის ერთ-ერთი საფუძველი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია, თუ მას არ აქვს გამართლების ობიექტური და გონივრული საფუძვლები. რადგანაც სექსუალური ორიენტაცია ინდივიდის პირადი ცხოვრების ყველაზე ინტიმური ასპექტია, სასამართლო აღნიშნავს, რომ მხოლოდ არსებითად სერიოზულმა მიზეზებმა შეიძლება გაამართლოს განსხვავებული მოპყრობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე. 1999 წლის გადაწყვეტილებაში – *Lustig-Prean and Beckett v. the United Kingdom* სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ უარყოფითი დამოკიდებულება ჰეტეროსექსუალი უმრავლესობის მხრიდან ჰომოსექსუალი უმცირესობისადმი არ შეიძლება, მიიჩნეოდეს დისკრიმინაციის ობიექტურ საფუძვლად, ისევე, როგორც უთანასწორო მოპყრობის გამართლებას არ წარმოადგენს მსგავსი უარყოფითი განწყობა სქესის, წარმომავლობისა და კანის ფერის საფუძველზე.

ოჯახში ძალადობა, ისევე, როგორც ინტიმურ პარტნიორებს შორის არსებული ძალადობა, საერთაშორისო სამართლისათვის ადამიანების უფლებადარღვევისა და უთანასწორო მოპყრობის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. სტამბოლის კონვენციის მიხედვით, „ოჯახში ძალადობა გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ნებისმიერ ქმედებას ოჯახურ თუ საშინაო ერთობაში, არსებულ თუ ყოფილ მეუღლეებს/პარტნიორებს შორის, თუ მშობლების მხრიდან, მიუხედავად იმისა, მოძალადე ცხოვრობს ან ცხოვრობდა თუ არა მსხვერპლის საცხოვრებელ ადგილას.“[2]

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ევროსაბჭოს მიერ შემუშავებულ კამპანიაში ოჯახში ძალადობის დეფინიცია ფართო სოციალურ პრიზმაშია მოცემული. კამპანიის მიხედვით, ოჯახში ძალადობა გამოიყენება ძალაუფლებისა და კონტროლის მოსაპოვებლად. აღნიშნული ქმედება ძირითადად შედგება ძალადობრივი და დამამცირებელი ქცევით, როგორიცაა ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობა. ოჯახში ძალადობა, როგორც წესი, იწყება შედარებით მსუბუქი ფორმით, რომელიც მუქარას, დამცირებასა და შეურაცხყოფას მოიცავს. ძალადობა ძლიერდება მეორე ადამიანზე დამყარებული კონტროლის საშუალებით, რომელიც მისი იზოლაციით, მანიპულირებითა და პერსონალური არჩევანისა და თავისუფლების შეზღუდვით გამოიხატება. ეკონომიკური ძალადობა წარმოადგენს ციკლის ერთ-ერთ ნაწილს, რომელსაც კვლავ კონტროლისა და მსხვერპლის მანიპულირების ფუნქცია აქვს. მნიშვნელოვანია, რომ ძალადობრივი ქმედებები არ აღიქმებოდეს როგორც დაუკავშირებელი და ინდივიდუალურად წარმოშობილი მოვლენები, რადგანაც ფიზიკური ძალადობაც, როგორც წესი, განგრძობითი ფსიქოლოგიური ძალადობის შედეგია.[3]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში Opuz v. Turkey აღნიშნა, რომ „ოჯახში ძალადობა [...] წარმოდგენს საზოგადოების ზოგად პრობლემას, რომელიც ეხება ყველა წევრ სახელმწიფოს და რომელიც ხშირად არ საჯაროვდება, რადგან ილუქება პირად ურთიერთობებში ან დახურულ წრეებში და ვრცელდება არა მხოლოდ ქალებზე. სასამართლო იაზრებს, რომ კაცებიც შესაძლოა იყვნენ ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი და ბავშვებიც ხშირად წარმოადგენენ მოცემული დანაშაულის მსხვერპლს, იქნება ეს პირდაპირ, თუ არაპირდაპირ...“[4]

---

[2] Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, Istanbul, 11.V.2011, მუხლი 3.

[3] CoE Campaign: Stop Domestic Violence agains women, იხ: https://www.coe.int/t/dg2/equality/domesticviolencecampaign/Aboutdomesticvio_en.asp

[4] Opuz v. Turkey, judgment of 9 June 2009, § 132

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW) რეკომენდაცია N19-ში აღნიშნულია, რომ ოჯახური დანაშაული წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ფარულ დანაშაულს [ქალის] მიმართ. ის შესაძლოა, შეგვხვდეს ყველა საზოგადოებაში. საოჯახო ურთიერთობის ყველა სივრცეში ყველა ასაკის [ქალი] შეიძლება, დაექვემდებაროს სხვადასხვა ფორმის ძალადობას, მათ შორის, გაუპატიურებას, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ და სხვა ფორმის ძალადობას, რომელიც მეტწილად ტრადიციული მიდგომით არის განმტკიცებული. ეკონომიკური დამოუკიდებლობის არარსებობის გამო, ბევრი ქალი იძულებულია, დარჩეს ძალადობრივ ურთიერთობებში... აღნიშნული ტიპის ძალადობა ქალთა ჯანმრთელობას აყენებს რისკის ქვეშ და ხელს უშლის მათ, მონაწილეობდნენ ოჯახისა და საჯარო საქმიანობაში თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით.[5]

ოჯახში ძალადობის აღმოფხვრისკენ მიმართული ზოგადი დოკუმენტების გარდა, არსებობს სპეციალური დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდ ლგბტ ადამიანთა მიმართ ძალადობას ეხება და სახელმწიფოებს მოუწოდებს მისი დაძლევისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ. მაგალითისთვის, ევროსაბჭოს რეკომენდაცია cm/rec(2010)5 მოიცავს მნიშვნელოვან დანაწესებს ლგბტ ჯგუფის დისკრიმინაციისა და ძალადობისგან დაცვის შესახებ. რეკომენდაცია აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა აღიაროს ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების ისტორიული დისკრიმინაცია, რომ ისინი მუდმივად ექვემდებარებოდნენ ჰომოფობიას, ტრანსფობიას, შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის სხვა ფორმებს, მათ შორის საკუთარ ოჯახებში, კრიმინალიზების, მარგინალიზების, სოციალური ექსკლუზიისა და ძალადობის კუთხით მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე. შესაბამისად, სპეციფიკური მოქმედებები არის მისაღები იმისათვის, რომ მათი უფლებები სრულყოფილად იყოს დაცული.[6]

ამასთან, ევროსაბჭოს საპარლამენტო 1728 რეზოლუციაში მითითებულია ლგბტ ადამიანების მიმართ არსებული დისკრიმინაციისა და ძალადობის გაზრდილ რისკზე. რეზოლუცია აღნიშნავს, რომ ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ქალები იმყოფებიან გენდერული ძალადობის გაზრდილი რისკის ქვეშ (მათ შორის, სექსუალური ძალადობის, შევიწროებისა და იძულებითი ქორწინების), რაც სახელმწიფოსგან შესაბამისი და ადეკვატური ზომების მიღებას საჭიროებს.[7]

რეზოლუციის მიხედვით, ჰომოფობიასა და ტრანსფობიას განსაკუთრებით სერიოზული შედეგები აქვს ახალგაზრდა ლგბტ ადამიანებისათვის. ისინი ექვემდებარებიან ბულინგს, მათ შორის, მასწავლებლების მხრიდან მტრულ დამოკიდებულებას, რომელსაც ამყარებს სასკოლო კურიკულუმებში ლგბტ საკითხების სრული უგულებელყოფა ან, პირიქით, მისი დისკრიმინაციული შინაარსი. დისკრიმინაციული დამოკიდებულების კომბინაცია ოჯახის მხრიდან ლგბტ ჯგუფის წევრის უარყოფასთან შესაძლოა, არსებითად დამაზიანებელი იყოს ლგბტ ახალგაზრდების მენტალური ჯანმრთელობისათვის და გამოიხატოს სუიციდის მცდელობასა და სხვაგვარ თვითდესტრუქციულ ქცევებში, რომლის მაჩვენებლები აღნიშნულ ჯგუფში იმაზე მაღალია, ვიდრე მთლიან ახალგაზრდა პოპულაციაში.[8]

რეზოლუცია დამატებით აღნიშნავს, რომ „არსებითად მნიშვნელოვანია, არ მოხდეს ახალგაზრდა ადამიანების, განსაკუთრებით კი 18 წელს მიუღწეველი ბავშვების, რომლებიც ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობენ, ნავარაუდევი თუ დეკლარირებული სექსუალური ორიენტაციის კრიტიკა. შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ, რომ პირის მიერ გაცხადებული, თუ ნავარაუდევი გენდერული

[5] CEDAW, General Recommendation No. 19 (llth session, 1992) on Violence against women, para. 23

[6] Recommendation CM/Rec(2010)5 of the Committee of Ministers to member states on measures to combat discrimination on grounds of sexual orientation or gender identity (Adopted by the Committee of Ministers on 31 March 2010 at the 1081st meeting of the Ministers' Deputies), see: https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805cf40a

[7] Council of Europe, Parliamentary Assembly Resolution 1728 (2010) Final version, Discrimination on the basis of sexual orientation and gender identity, პარ. 16.3. see: http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=17853&lang=en

[8] იქვე, პარ. 8

იდენტობის შესახებ ინფორმაციის ნეგატიურად გამოყენება, ან აღნიშნულის საფუძველზე ნებისმიერი დამამცირებელი ქცევა არის როგორც თავისთავად არასწორი, ასევე, პოტენციურად დამაზიანებელი აღნიშნული ახალგაზრდების კეთილდღეობისა და პიროვნული განვითარებისთვის, ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე."[9]

საპარლამენტო რეზოლუცია ასევე ყურადღებას აქცევს ლგბტ ადამიანთა უფლებების იმგვარ დარღვევას, როდესაც მათი პარტნიორული ურთიერთობა დე ფაქტო ოჯახია, თუმცა მისი აუღიარებლობა სახელმწიფოს მხრიდან ხელს უშლის მათი უფლებების დაცულობას. ამგვარი ერთობა დაცვისა და სამართლებრივი რეგულირების მიღმა რჩება, რის გამოც რეზოლუცია მოუწოდებს სახელმწიფოებს, გაატარონ კონკრეტული ღონისძიებები აღნიშნულ ურთიერთობაში უფლებადარღვევების წინააღმდეგ, მათ შორის ამ ურთიერთობის სამართლებრივად აღიარების გზით.[10]

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი 2015 წლის ანგარიშში აღნიშნავს, რომ სახელმწიფოთა ვალდებულება, დაიცვას ინდივიდები დისკრიმინაციისგან ვრცელდება ოჯახის სფეროზეც, სადაც ოჯახის ლგბტ და ინტერსექსი წევრების მიმართ უარყოფას, უგულებელყოფას, დისკრიმინაციულ მოპყრობასა და ძალადობას შესაძლოა, სერიოზული უარყოფითი შედეგები მოსდევდეს მათ მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობის მხრივ. ოჯახური დანაშაული მოიცავს ფიზიკურ ძალადობას, გაუპატიურებას, სახლის დატოვების იძულებას, მემკვიდრეობის ჩამორთმევას, სკოლაში სიარულის აკრძალვას, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გაგზავნას, ქორწინების იძულებას, შვილებზე უარის თქმის იძულებას, აქტივისტური საქმიანობისთვის დასჯასა და პერსონალური რეპუტაციის შელახვას.[11] ამასთან, საერთაშორისო ანგარიშების მიხედვით, ლესბოსელი, ბისექსუალი ქალები და ტრანსგენდერი ადამიანები მეტად მოწყვლადები არიან გენდერული უთანასწორობის შედეგებთან მიმართებით. მათ შემთხვევაში მეტი რისკი არსებობს, შეილახოს მათი უფლება ავტონომიაზე სექსუალობის, რეპროდუქციისა და ოჯახური ცხოვრების საკითხებთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში.[12] ქალის უფლება, თავად აირჩიოს მეუღლე და თავისუფლად შევიდეს ქორწინებაში/დაქორწინდეს, მისი, როგორც ადამიანის, ღირსებისა და თანასწორობის ცენტრალური ღირებულებაა. CEDAW-ს რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ არსებობს ქალთა იძულებითი ქორწინების პრაქტიკა, რომელიც არსებითად არღვევს მათი პირადი ცხოვრების უფლებას და სახელმწიფოებს მოუწოდებს, ადეკვატურად მოახდინონ აღნიშნული საკითხების რეგულირება და აღმოფხვრა.[13]

როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოებული სიღრმისეული კვლევები აჩვენებს, ლგბტ ჯგუფის მიმართ განხორციელებული ოჯახში ძალადობის პრაქტიკა არსებითად მაღალია. ევროპის ფუნდამენტურ უფლებათა სააგენტოს (FRA) 2014 წლის სიღრმისეულ გამოკითხვაში, რომელიც ლგბტ ადამიანთა დისკრიმინაციისა და ძალადობის გამოცდილებას სწავლობდა, ნაჩვენებია, რომ სახლში გამოხატული სხვადასხვა სახის ძალადობა გავრცელების მიხედვით რიგით მესამეა (8%), ქუჩაში, სკვერში ან სხვა საჯარო სივრცესა (44%) და ბარში, კაფესა და რესტორანში (11%) ჩადენილ ძალადობრივ ქმედებათა შემდგომ.[14] ამასთან, გამოკითხულთა 7% აღნიშნავდა, რომ ძალადობა ჩაიდინა მათი ოჯახის წევრმა, თანაც, მნიშვნელოვანია, რომ ძალადობის ჩამდენი პირი ყველაზე ხშირად კაცია (86%).[15]

ბრიტანეთში ორგანიზაცია „Stonewall"-ისა და „Stigma Research""-ის მასშტაბურ კვლევაში „გეი და ბისექსუალი კაცების ჯანმრთელობის შესახებ"[16], რომელშიც 6861 რესპონდენტი მონაწილეობდა,

---

[9] იქვე, პარ. 9

[10] იქვე, პარ. 10

[11] A/HRC/29/23, Report of the Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, 4 May 2015, პარა. 66,

[12] See A/68/290, para. 38; A/HRC/20/16/Add.4, para. 20; A/HRC/22/56, para. 70, A/HRC/26/38/Add.1, para. 19.

[13] CEDAW, General Recommendation No. 21 (13th session, 1994), Equality in marriage and family relations, para. 16

[14] FRA LGBT Survey, 2014, გვ. 67

[15] იქვე

[16] April Guasp „Gay and Bisexual Men's Health Survey", Stonewall, Stigma Research, 2011, იხ: https://www.stonewall.org.uk/sites/default/files/Gay_and_Bisexual_Men_s_Health_Survey__2013_.pdf

აღნიშნულია, რომ გამოკითხულ გეი და ბისექსუალ კაცთა თითქმის ნახევარს (49%) 16 წლის ასაკიდან ცხოვრებაში ერთხელ მაინც განუცდია ოჯახური ძალადობა ოჯახის წევრის ან პარტნიორის მხრიდან. მაშინ, როდესაც, მთლიანად კაცთა მხოლოდ 17%-ს განუცდია 16 წლის ასაკიდან ძალადობა ოჯახის წევრის ან პარტნიორის მხრიდან. გეი და ბისექსუალ კაცთა 40%-ს განუცდია ოჯახში ძალადობა პარტნიორის მხრიდან, იგივე მაჩვენებელი კი კაცთა ზოგად ჯგუფში 14%-ს წარმოადგენს.[17] გამოკითხულთა 12% აღნიშნავდა, რომ ექვემდებარებოდა შეურაცხყოფასა და დამცირებას ოჯახის წევრის მხრიდან; 8%-ის მიმართ გამოვლინდა ხელის კვრისა და სახეში გარტყმის შემთხვევები, ხოლო 6%–ში ფეხითა და მუშტით დარტყმისა და ცემის ფაქტები; 7%-მა განაცხადა, რომ ოჯახის წევრებმა მეგობრებსა და ახლობლებთან კონტაქტი აუკრძალეს, ხოლო 10%-თან გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ოჯახის წევრებმა პირის სექსუალური იდენტობა მათ წინააღმდეგ გამოიყენეს.[18]

ინტიმურ პარტნიორებს შორის ძალადობის ზემოაღნიშნული ფორმები ბევრად უფრო ხშირია. ზემოაღნიშნული კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 18% ყოფილა დამცირებისა და შეურაცხყოფის მსხვერპლი თავისივე პარტნიორის მხრიდან, 17%-ს განუცდია მსუბუქი ფიზიკური ძალადობა, ხოლო 15%-მა დაასახელა ცემის ფაქტები. ასევე, მაღალია გარესამყაროსთან კონტაქტის გაწყვეტის იძულების შემთხვევები, რომელიც 14%-ს უტოლდება. 11%-ს მიუღია ფიზიკური დაზიანების მუქარა პარტნიორის მხრიდან, ხოლო 4%-ს – მკვლელობის მუქარა. ასევე მაღალია სექსუალური ძალადობის მაჩვენებელი, რომელიც 9%-ს უტოლდება; 6%-ის შემთხვევაში ძალადობა პარტნიორის მხრიდან ურთიერთობის გაწყვეტის შემდგომაც გაგრძელდა.[19]

მიუხედავად გბ ჯგუფში ოჯახური ძალადობის არსებითად მაღალი მაჩვენებლისა, ზემოაღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, რომ ძალადობის მსხვერპლთა 78%-ს არასდროს მიუმართავს პოლიციისთვის.[20] იმ რესპონდენტთა ნახევარმა კი (53%), რომელთაც მიმართეს პოლიციას ძალადობის ფაქტის გამოსაძიებლად, უკმაყოფილება გამოთქვა სამართალდამცველების რეაგირების ხარისხით.[21]

აღნიშნული კვლევები აჩვენებს, რომ ლგბტ ჯგუფის წევრები ოჯახში ძალადობას განსხვავებული ინსტენსივობით, ფორმითა და ხარისხით ექვემდებარებიან, თუმცა, მიუხედავად იმისა, თუ როგორი ინტენსივობისა თუ ფორმის შეიძლება იყოს ზიანი მსხვერპლთა გამოცდილებაში, საერთოა დანაშაულის შესახებ პოლიციისა თუ სხვა მხარდამჭერი სახელმწიფო სერვისისადმი მიმართვიანობა, როგორც წესი, მიმართვიანობის ოფიციალური მაჩვენებლები არსებითად ჩამოუვარდება ოჯახში ძალადობის რეალურ გამოცდილებებს ლგბტ თემში.

[17] იქვე, p14
[18] იქვე
[19] იქვე
[20] იქვე
[21] იქვე

1.2. არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობა და საერთაშორისო სტანდარტები

არასრულწლოვანი ბავშვების ინტერესი, რომლებიც თავს ლგბტ ჯგუფს მიაკუთვნებენ, შესაძლოა, არსებითად ირღვეოდეს ოჯახის წევრების მხრიდან. როგორც წესი, ზეწოლისა და ძალადობის მექანიზმი მშობლების მხრიდან ძლიერდება მაშინ, თუ ისინი შეიტყობენ არასრულწლოვნის რეალურ ან ნავარაუდევი ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის შესახებ ან, თუ ჩნდება ეჭვი ბავშვის ქცევებში, რომელიც არ შეესაბამება სოციალურად ჩამოყალიბებულ გენდერულ ნორმებს, რაც მშობლებს უბიძგებს, სხვადასხვა ფორმით ჩაერიონ პირის პირად გამოხატვაში მისი „კორექციის" მიზნით.

ევროსაბჭოს მიხედვით, ოჯახში ძალადობა არღვევს ბავშვთა უფლებებს და არსებითად უარყოფითად აისახება მათ ჯანსაღ განვითარებაზე. ოჯახში ძალადობა არღვევს ბავშვის უფლებებს ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, თავად ექვემდებარება ძალადობრივ ქმედებას თუ მხოლოდ მოწმეა. ორივე შემთხვევაში ბავშვის უფლება უსაფრთხო და სტაბილურ ოჯახურ გარემოზე დარღვეულია. ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმები განსხვავებული ინტენსივობით შეიძლება გამოვლინდეს გამოიყოფა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური თუ ფსიქოლოგიური ძალადობა.[22]

გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის (CRC, 1989) მე-19 მუხლი ხაზს უსვამს ბავშვთა უფლებების დაცვის კრიტიკულ აუცილებლობას და სახელმწიფოებს აკისრებს რელევანტური ზომების მიღების ვალდებულებას, რათა ბავშვები დაცულები იყვნენ ძალადობის ნებისმიერი ფორმისგან, მათ შორის დასჯისგან.[23]

ბავშთა მიმართ ძალადობა სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გენდერული გამოხატვის საფუძველზე სხვადასხვა ფორმითა და სიმწვავით შეიძლება გამოვლინდეს, რაც ხშირად არა იზოლირებულ ქმედებებს, არამედ ურთიერთდაკავშირებულ ძალადობრივ ციკლს წარმოადგენს, რომელიც არსებითად უარყოფითად აისახება არასრულწლოვნის განვითარებასა და ჯანმრთელობაზე.

ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ხშირად მშობლების მხრიდან არასრულწლოვნის სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის ან/და გენდერული გამოხატვის **ცვლილებისა და მკურნალობის ე.წ. გამასწორებელი თერაპიის[24] მცდელობა**, რომლის მიზანი არასრულწლოვნის აღქმების, ორიენტაციისა და ქცევების დაქვემდებარებაა დომინანტურ ჰეტერონორმატიულ წესრიგთან. აღნიშნული მიზნით, მშობლებმა შესაძლოა, ფსიქოლოგს/ფსიქიატრს მიმართონ ან თუნდაც სასულიერო პირის დახმარებით ეცადონ, „გამოასწორონ" არასრულწლოვანის ქცევა. აღნიშნული პრაქტიკა არსებითად არღვევს გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის ფუძემდებლურ პრინციპს - ბავშვის ღირსებისა და თანასწორობის უფლების დაცვის შესახებ[25],

---

[22] იხ: https://www.coe.int/en/web/children/domestic-violence

[23] იხ: https://www.coe.int/en/web/children/domestic-violence

[24] გამასწორებელი თერაპია (convercion therapy) წარმოადგენს ფსევდომეცნიერულ პრაქტიკას, რომლის მიზანი ადამიანის სექსუალური ორიენტაციის (როგორც წესი, ჰომოსექსუალობის ჰეტეროსექსუალად) ცვლილებაა. თერაპიის მეთოდიკად/მეთოდად ყველაზე ხშირად გამოიყენება ფსიქოლოგიური, კერძოდ, ავერსიული თერაპია. გამასწორებელი თერაპია მისი არაეთიკური, არასამეცნიერო ხასიათისა და თერაპიას დაქვემდებარებულ ადამიანზე განსაკუთრებული ზიანის გამო,მრავალ ქვეყანაში აკრძალულია. ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაცია (APA) აღნიშნულ პრაქტიკას არაეთიკურად და ადამიანისათვის პოტენციური რისკისა და ზიანის შემცველად მიიჩნევს და სახელმწიფოებს მისი აკრძალვისკენ მოუწოდებს. წინამდებარე კვლევისათვის გამასწორებელი თერაპია ფართო შინაარსით გამოიყენება და ის აუცილებლად არ გულისხმობს ავერსიულ თერაპიას. შესაბამისად, კვლევაში გამოყენებული კონვერსიული თერაპიის შესაძლო შემთხვევები, ძირითადად, მოიცავს სასულიერო პირის, ფსიქოთერაპევტისა თუ სხვა სამედიცინო პროფესიონალის, მაგალითად, სექსოლოგის ჩარევის პრაქტიკას ჰომოსექსუალური სექსუალური ორიენტაციის ჰეტეროსექსუალ იდენტობად „ცვლილების" მიზნით.

[25] CRC/GC/2001/1, Par. 1

რომლითაც სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, საკანონმდებლო, ადმინისტრაციული თუ საგანმანათლებლო სფეროში აღმოფხვრან დისკრიმინაციის გამომწვევი ნებისმიერი მიზეზები.[26]

მნიშვნელოვანია, რომ კონვენციის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს **ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვა** წარმოადგენს. კონვენციის მე-3 მუხლი აღნიშნავს, რომ „ყველა იმ ქმედებაში, რომელიც ბავშვებს ეხება, მიუხედავად იმისა მას საჯარო თუ კერძო სოციალური ინსტიტუციები თუ სასამართლო ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ორგანოები ახორციელებენ, ბავშვის საუკეთესო ინტერესი უნდა წარმოადგენდეს უპირველეს საკითხს.“ აღნიშნული პრინციპი გულისხმობს იმასაც, რომ ზრდასრულების მოსაზრება ბავშვის საუკეთესო ინტერესზე ვერ გადაწონის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობას, დაიცვას კონვენციით გარანტირებული ბავშვის ყველა უფლება.[27]

ბავშვის საუკეთესო ინტერესის პრინციპთან დაკავშირებულია კონვენციით განსაზღვრული მეორე მნიშვნელოვანი პრინციპი – **ბავშვის უფლება, იყოს მოსმენილი.** კონვენცია აღნიშნავს, რომ ბავშვები არა მხოლოდ სამართლებრივი დაცვის ობიექტებად გვევლინებიან, არამედ უფლების მფლობელ სუბიექტებად.[28] ამრიგად, კონვენციის მე-12 მუხლი (პუნქტი 1) აღნიშნავს, რომ „სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლება, თავისუფლად გამოთქვას საკუთარი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება. ამასთან, ბავშვის უფლებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად.“ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბავშვის უფლება, გამოთქვას აზრი და იყოს მოსმენილი, მის საუკეთესო ინტერესთან არსებითად არის დაკავშირებული, რადგანაც მისი საუკეთესო ინტერესი ბავშვის მოსაზრების მოსმენის გარეშე ვერ შეფასდება.[29]

აღნიშნულ უფლებათა რეალიზებისათვის არსებითად მნიშვნელოვანია ბავშვის უფლება, შეინარჩუნოს იდენტობა, რომელსაც კონვენცია (მუხლი 8, პ.1) შემდეგნაირად აყალიბებს: „სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, პატივი სცენ ბავშვის უფლებას, შეინარჩუნოს საკუთარი იდენტობა, მათ შორის, ნაციონალობა, სახელი და ოჯახური კავშირები, როგორც ეს აღიარებულია კანონით და არ დაუშვან მასში კანონსაწინააღმდეგო ჩარევა.“ მიუხედავად აღნიშნული ჩანაწერის მნიშვნელობისა, სახელმწიფოთა მიერ მისი დაცვა ხარვეზულად ხორციელდება. როგორც „ტრანსგენდერ ევროპას“ (TGEU) კვლევაშია აღნიშნული, „იმის მითითებით, რომ ბავშვი, მისი ასაკიდან გამომდინარე, შესაძლოა, ბოლომდე არ იყოს გარკვეული თავის იდენტობაში, სინამდვილეში სრულიად უგულებელყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესისა და ბავშვის აზრის მოსმენის პრინციპს. მრავალი კვლევა აჩვენებს, რომ ტრანსგენდერმა ბავშვებმა ისევე იციან თავიანთი გენდერული იდენტობის შესახებ, როგორც სისგენდერმა ბავშვებმა.“[30]

როგორც მსოფლიო ჯანდაცვის პანამერიკული ორგანიზაცია მიუთითებს, ჰომოფობიით გამოწვეული ზიანი, რომელსაც არასრულწლოვანი ადამიანები ექვემდებარებიან მშობლებისა და საზოგადოების მხრიდან, არსებითად მძიმეა, „თუმცა გამოუსწორებელია ის ზიანი, რომელიც ჯანდაცვის პროფესიონალების მხრიდან დგება, მათი ცრურწმენების, ზედაპირული ცოდნისა და არასენსიტიურობის გამო. მათი ამგვარი დამოკიდებულება სრულიად მიუღებელია და მაქსიმალურად უნდა იყოს არიდებული სახელმწიფოს მიერ. ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი მხოლოდ ის კი არ არის, რომ ყველა ადამიანი, რომელიც ჯანდაცვის სერვისით სარგებლობს, ღირსეულ მოპყრობას დაექვემდებაროს, არამედ ასევე კრიტიკულია, იმ თეორიებისა თუ მოდელების გამოყენების პრევენცია,

[26] CRC/GC/2003/5, Par. 12
[27] CRC/C/GC/2011/13, Par. 61
[28] Schamahl 2013, გვ. 29. პარ. 2
[29] CRC/C/GC/2029/12, Par. 70–74; CRC/C/GC/14, Par. 43
[30] Henzel Lina, BACK ME UP! The UN CONVENTION ON THE RIGHTS OF THE CHILD AND THE RIGHTS OF TRANS CHILDREN, TGEU, HUMBOLDT LAW CLINIC, OCTOBER 2016

რომელიც ჰომოსექსუალობას „დევიაციად“ ან აბსოლუტურ „არჩევნად“ აღიქვამს, რომლის მოდიფიცირება შესაძლებელია „ნებითა“ თუ „თერაპიული დახმარებით“.[31]

„ნებისმიერი მცდელობა, რომლის მიზანია არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის ცვლილება, არ ემყარება სამედიცინო მტკიცებულებას, რადგანაც ჰომოსექსუალობა ან წარმოადგენს დაავადებასა თუ პათოლოგიურ მდგომარეობას.“[32] ამას გარდა, მისი გამოყენება არსებითად დამაზიანებელია ადამიანის მენტალური და ფიზიკური ჯანმრთელობისათვის. ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის მიერ შესწავლილმა საქმეებმა (83 შემთხვევა), სადაც ახალგაზრდები კონვერსიული თერაპიის სხვადასხვა ფორმას დაექვემდებარნენ, აჩვენა, რომ აღნიშნულმა ჩარევამ ამ ახალგაზრდებში გამოიწვია დეპრესია, სირცხვილის/დანაშაულის შეგრძნება, უძილობა, თვითდესტრუქციული ქცევებისკენ მიდრეკილება, მათ შორის სუიციდი, და სხვა ფსიქოლოგიური დარღვევები.[33]

გარდა აღნიშნულისა, კონვერსიულ თერაპიაზეა საუბარი, თუ სასულიერო პირის საშუალებით ორიენტაციისა და იდენტობის ცვლილების იძულება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებში არსებით ჩარევას წარმოადგენს, ის არღვევს პერსონალური ავტონომიის, მთლიანობისა და თვითგამორკვევის უფლებებს. როგორც მსოფლიოს ჯანდაცვის პანამერიკული ორგანიზაცია მიუთითებს, არსებობს მაგალითები, როდესაც მოზარდები დაექვემდებარნენ ამგვარ ჩარევას იძულების ფორმით, მათი იზოლაციის, თავისუფლების უკანონო აღკვეთის გზით.[34]

ამ მხრივ, განსაკუთრებული რისკის ქვეშ იმყოფებიან ტრანსგენდერი ბავშვები და ის მოზარდებიც, რომლებიც თვითიდენტიფიკაციის პროცესში არიან. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1728 (2010) რეზოლუციის მიხედვით, ტრანსგენდერი ადამიანები ექვემდებარებიან დისკრიმინაციისა და მათი უფლებების დეპრივაციის განგრძობად ციკლს მრავალ ქვეყანაში, რომელიც დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებსა და გენდერის სამართლებრივი აღიარებისა და გენდერის კვლავმინიჭების ოპერაციისა თუ ტრანზიციის პროცესში ვლინდება. აღნიშნულის შედეგი ხშირად ტრანსგენდერ ადამიანებში მაღალი სუიციდალური მაჩვენებელია.[35] ტრანსგენდერი ბავშვების შემთხვევაში ვითარება კიდევ უფრო რთულია, რადგანაც ამ შემთხვევაში შესაძლოა, აღინიშნოს ბავშვის ინტერესების სრული უგულებელყოფა და მისი ჯანმრთელობისათვის მიყენებული გამოუსწორებელი ზიანი.

ტრანსგენდერ ადამიანთა საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „ტრანსგენდერ ევროპა“ (TGEU) აქტიურად მუშაობს ტრანსგენდერ ბავშვთა საჭიროებების გამოკვეთასა და პრობლემების აღმოფხვრაზე. TGEU-ს ერთ-ერთ ბოლო კვლევაში მითითებულია, რომ ბევრი ტრანსგენდერი ადამიანი ადრეულ ასაკშივე აცნობიერებს საკუთარ გენდერულ იდენტობას, თუმცა მათი

---

[31] PAHO,“CURES” FOR AN ILLNESS THAT DOES NOT EXIST, Purported therapies aimed at changing sexual orientation lack medical justification and are ethically unacceptable.

[32] American Psychiatric Association (2000). Therapies Focused on Attempts to Change Sexual Orientation (Reparative or Conversion Therapies): Position Statement. http://www.psych.org/Departments/EDU/Library/APAOfficialDocumentsandRelated/PositionStatements/200001.aspx Anton, B. S. (2010). "Proceedings of the American Psychological Association for the Legislative Year 2009: Minutes of the Annual Meeting of the Council of Representatives and Minutes of the Meetings of the Board of Directors". American Psychologist, 65, 385–475. http://www.apa.org/about/governance/council/policy/sexual-orientation.pdf Just the Facts Coalition (2008). Just the Facts about Sexual Orientation and Youth: A Primer for Principals, Educators, and School Personnel. Washington, DC. http://www.apa.org/pi/lgbc/publications/justthefacts.html

[33] APA Task Force on Appropriate Therapeutic Responses to Sexual Orientation (2009). Report of the Task Force on Appropriate Therapeutic Responses to Sexual Orientation. Washington, DC. http://www.apa.org/pi/lgbt/resources/therapeutic-response.pdf

[34] PAHO,“CURES” FOR AN ILLNESS THAT DOES NOT EXIST, Purported therapies aimed at changing sexual orientation lack medical justification and are ethically unacceptable.

[35] Council of Europe Parliamentary Assembly Resolution 1728 (2010) Final version, Discrimination on the basis of sexual orientation and gender identity, para. 4, see: http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=17853&lang=en

დიდი ნაწილი მალავს მას სკოლის გარემოცვის, მშობლებისა და სხვა ადამიანებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, სახელი ვერ დაარქვან თავიანთ მდგომარეობას, ისინი თავს განსხვავებულად გრძნობენ თანატოლებსა თუ ზრდასრულ ადამიანებთან შედარებით. მრავალი კვლევა აჩვენებს, რომ ახალგაზრდა ტრანსგენდერი ადამიანები გაცილებით მეტად არიან მიდრეკილნი თვითდესტრუქციული და სუიციდალური ქცევებისკენ, ვიდრე უფრო მოწიფული ტრანსგენდერი ადამიანები.

ინფორმაციის ნაკლებობისა და ტრანსგენდერობასთან ასოცირებული სტიგმის გამო, ხშირად ტრანსი ბავშვები ექვემდებარებიან ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას იმ სივრცეებში, სადაც ხშირად უწევთ ყოფნა, მათ შორის სახლში, ოჯახის წევრების მხრიდან. აღნიშნულს ხელს უწყობს მშობლების მხრიდან გენდერულ დისფორიასთან დაკავშირებული ცოდნის ნაკლებობა, რაც შესაძლოა, გამომწვევი იყოს სხვადასხვა არასაჭირო სამედიცინო ჩარევის, რომელიც ახდენს ტრანსგენდერობის პათოლოგიზებას და მას მკურნალობას უქვემდებარებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბავშვებს შეზღუდული აქვთ შესაძლებლობა, ხელი მიუწვდებოდეთ ტრანს-სპეციფიკურ ჯანდაცვაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მათი კეთილდღეობა მენტალური და ფიზიკური ჯანმრთელობის დაცვის კუთხით.

ტრანსგენდერ ადამიანთა ჯანმრთელობის მსოფლიოს პროფესიული ასოციაცია (WPATH) აღიარებს, რომ მენტალური და ფიზიკური ჯანმრთელობისათვის პირს უნდა შეეძლოს, თავისუფლად გამოხატოს გენდერული იდენტობა, მიუხედავად იმისა, აღნიშნული გენდერი შეესაბამება თუ არა სხვების მიერ დადგენილ მოლოდინს. ნებისმიერი ტრანსგენდერი ადამიანი, მიუხედავად იმისა, როგორ გამოიყურება და როგორ ახდენს თავის იდენტიფიკაციას, უნდა სარგებლობდეს გენდერის სამართლებრივი აღიარებით, რისთვისაც ნებისმიერი სამედიცინო თუ სხვა მხრივ არსებული ბარიერები უნდა აღმოიფხვრას. WPATH ასევე ყურადღებას ამახვილებს სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის აუცილებლობაზე იმ ტრანსგენდერი ადამიანებისათვის, რომელთაც აღნიშნულის საჭიროება ან სურვილი აქვთ.[36]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლგბტ თემის წევრი არასრულწლოვანი პირების საუკეთესო ინტერესის აღიარება და მისი დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს სახელმწიფოს მნიშვნელოვან ვალდებულებას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ოჯახებსა და სამედიცინო სფეროში არსებული სტიგმისა და სტერეოტიპების აღმოფხვრას, ბავშვისათვის უსაფრთხო, ღირსეულ გარემოში ბავშვის პიროვნული განვითარების, მისი საუკეთესო ინტერესისა და თვითიდენტიფიკაციის პროცესის სრული დაცვისა და უზრუნველყოფისათვის.

1.3. ოჯახში ძალადობა, როგორც სიძულვილით მოტივირებული დანაშაული

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა თავიდან აიცილოს ადამიანის უფლებების დარღვევა და გამოიყენოს ყველა საშუალება მისი იურისდიქციის ქვეშ მომხდარ ძალადობათა სიღრმისეულ გამოძიებაზე, მოახდინოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება, მიმართოს შესაბამის სადამსჯელო ღონისძიებებს და უზრუნველყოს მსხვერპლის მიერ განცდილი ზიანის ადეკვატური კომპენსაცია.[37]

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლა სწორედ ზემოაღნიშნული ჯეროვანი გულისხმიერების სტანდარტის საფუძველზე უნდა განხორციელდეს, რადგანაც ამგვარი ტიპის დანაშაულები წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების არსებობისა და კანონის

[36] WPATH Identity Recognition Statement, November 15, 2017, იხ: https://tgeu.org/wpath-2017-identity-recognition-statement/

[37] Velasquez-Rodriguez, (ser. C) No. 4, Judgment of 29 July 1988, პარა. 174

უზენაესობისათვის რეალურ საფრთხეს, მიზნად ისახავს საზოგადოების დაყოფას და უპირისპირდება ადამიანის ღირსებისა და თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპს, რომელზეც ადამიანის საყოველთაო უფლებების უნივერსალურობის იდეა დგას. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და ინციდენტების აღკვეთა დამოკიდებულია შესაბამის ეროვნულ რეგულაციებზე, ადეკვატურ ღონისძიებებსა და პროცედურებზე. დისკრიმინაციული მოტივის დაგმობით, მისი კანონმდებლობაში ასახვითა და პრაქტიკული ზომების მიღებით სახელმწიფო პროაქტიულად აღკვეთს დანაშაულს, რაც ასევე აიოლებს სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას, მისი შემდგომი დამუშავების მიზნით და ჯგუფის მიმართ არსებული პრობლემების წარმოჩენასაც უზრუნველყოფს.[38]

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის 2015 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს ჯეროვანი გულისხმიერების სტანდარტის გამოყენება ლგბტ ჯგუფის მიმართ მკვლელობებისა და ძალადობის სხვა ფორმების წინააღმდეგ. გაეროს მექანიზმები მოუწოდებს სახელმწიფოებს, შეასრულონ აღნიშნული ვალდებულება საკანონმდებლო და სხვა ზომების მიღებით, რათა აღმოფხვრან, გამოიძიონ და გაატარონ შესაბამისი სადამსჯელო ღონისძიებები სიძულვილით მოტივირებულ იმ დანაშაულებსა და დანაშაულისაკენ მოწოდების შემთხვევებზე, რომლებიც მიმართულია ლგბტ ადამიანების წინააღმდეგ და უზრუნველყონ მსხვერპლთა დაცვა და დახმარება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.[39]

საკანონმდებლო ზომების მიღება გულისხმობს ეროვნულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სიძულვილის მოტივის, როგორც დამამძიმებელი გარემოების, არსებობას; თუმცა საკანონმდებლო ზომების ფორმალურ უზრუნველყოფასთან ერთად სახელმწიფოებს ევალებათ მათი ადეკვატური იმპლემენტაცია და პრაქტიკაში გასატარებლად შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა.[40] სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დანაშაულის მოტივის გამოკვეთით სახელმწიფო მნიშვნელოვან მესიჯს უგზავნის შესაძლო დამნაშავეებს, რომ ამგვარი დანაშაულები, მსხვერპლთა მიერ განცდილი ზიანის სიმძიმის აღიარებითა და გააზრებით, არ იქნება შეწყნარებული. ამასთან, ამგვარ კანონმდებლობას პრაქტიკული ფუნქციაც აქვს – ის შესაძლებელს ხდის, ამგვარი დანაშაულები გახდეს მეტად ხილვადი და გამარტივდეს მონაცემთა შეგროვება სახელმწიფოს მიერ პრევენციული ნაბიჯების დასაგეგმავად.[41]

ევროსაბჭოს რეკომენდაციის მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მსხვერპლის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის შემთხვევებისა და სხვა ინციდენტების დროს ეფექტიანი, სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება.[42] „ნებისმიერი ჰომოფობიური ან ტრანსფობიური მოტივი აუცილებლად უნდა იქნას იდენტიფიცირებული და შესაბამისად აღრიცხული სამართალდამცავი ორგანოების მიერ, რომელიც უნდა დაეფუძნოს ეფექტიან, ყოვლისმომცველ და მიუკერძოებელ გამოძიებას და გათვალისწინებული იქნას ბრალის წარდგენისას."[43]

თუმცა, მიუხედავად სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და ოჯახში ძალადობის პრობლემის მასშტაბურობისა, საერთაშორისო ორგანიზაციები და სამართლის აკადემია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრობლემის გამოკვეთისას ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას აღნიშნულ ქმედებაზე ისეთ სივრცეებში, როგორიც ოჯახია. შესაბამისად, ამგვარი ტიპის დანაშაულები

---

[38] Combating discrimination on grounds of sexual orientation or gender identity, Council of Europe standards, 2011, გვ. 22, იხ: http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/hrpolicy/Publications/LGBT_EN.pdf

[39] A/HRC/29/23, 4 May 2015, პარა. 11

[40] CM/Rec(2010)5, I.A.1

[41] CM/Rec(2010)5, კომენტარები, გვ. 21–22

[42] იქვე, I.A.1

[43] AMNESTY INTERNATIONAL PUBLIC STATEMENT, 16 May 2013, Italy: the new government must be vocal in addressing double standards on hate motivated violence, გვ. 3–4

ხშირად ოჯახში ძალადობის რეგულირების ფორმალურ ჩარჩოში ექცევა. ამასთან, აკადემიაში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების განხილვა ხშირად მხოლოდ ძალაუფლებისკენ ლტოლვით, დომინაციის სურვილითა და ჯგუფებს შორის განსხვავებასა და იერარქიების შენარჩუნებაზე კეთდება[44], მიუხედავად იმისა, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, მართლაც, არსებით კავშირშია საზოგადოებაში არსებულ სტრუქტურულ, კულტურულ და პოლიტიკურ პროცესებთან, რომელიც უმცირესობათა ჯგუფებს უქვემდებარებს სისტემურ ძალადობასა და დისკრიმინაციას, „ამგვარი ტიპის მართლსაწინააღმდეგო ქმედებები არ წარმოადგენს ექსკლუზიურად სუბორდინაციის მექანიზმს, ხშირად ამგვარი ქმედებები უფრო ბანალური მოტივაციებისგანაც წარმოდგება, როგორიც შესაძლოა „განსხვავებულობის" შეუცნობლობა, ინფორმაციის არქონა, ეჭვიანობა და შიში იყოს."[45]

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისისთვის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები წარმოადგენს *„ნებისმიერ სისხლისსამართლებრივ, მათ შორის, ადამიანისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, სადაც მსხვერპლი, ობიექტი ან სამიზნე შერჩეულია მისი რეალური ან ნავარაუდევი კავშირით, მიკუთვნებით, მხარდაჭერით, აფილირებით ან წევრობით [კონკრეტული] ჯგუფის მიმართ."*[46] როგორც დეფინიცია აჩვენებს, სიძულვილის მოტივი არაა აუცილებელი, პირდაპირი იყოს. არ არის აუცილებელი სიძულვილისა თუ შეუწყნარებლობის მკაფიო/აშკარა არსებობაც, არამედ, მთავარი ასპექტი მსხვერპლის არჩევაა კონკრეტულ დაცულ საფუძველთან ასოცირების გამო. თუმცა, როგორც სამართლის თეორეტიკოსები აღნიშნავენ, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შექმნილი დეფინიციები ხშირად ოპერაციული ხასიათისაა. ის ძალადობის არსებითად მძიმე, მასშტაბურ მოვლენებს უპირისპირდება, რაც ხელს უშლის ამგვარი ძალადობის მსხვერპლთ თავი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლად აღიქვან, მათ მიმართ გამოვლენილი ძალადობის ნაკლებად ინტენსიური თუ „უმნიშვნელო" ხასიათიდან გამომდინარე.[47]

აღნიშნულის თანახმად, სახელმწიფოს პასუხი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ყველა გამოვლინებაზე შესაძლოა, თანაბარი ხარისხით არ ვლინდებოდეს და პოლიტიკის ჩარჩო ყურადღების მიღმა ტოვებდეს ე.წ. „ორდინალურ", ყოფით სიძულვილით მოტივირებულ ინციდენტებსა და დანაშაულებს, თუმცა ისინი „ყოფითია" არა მსხვერპლის მიერ განცდილი ზიანის გამო, არამედ იმის. თუ როგორ აღიქმება ქმედება პოტენციური დამნაშავისა და თავად მსხვერპლის მიერ.[48] მაშინ, როდესაც, პოლიტიკის, მართლმსაჯულებისა და აკადემიის ყურადღება უფრო მეტად ძალადობის ექსპლიციტიურ, მასშტაბურ ფორმებზე მახვილდება, სადაც შეუწყნარებლობა, სტერეოტიპები და ძალაუფლება არსებით როლს თამაშობს, ხოლო შესაძლო დამნაშავეები ულტრამემარჯვენე, კონსერვატიული და ფაშისტური დაჯგუფებების წევრები არიან, შესაძლოა, იმგვარი ტიპის ქმედებები, სადაც დანაშაულს ყოფითი ურთიერთობაში „ჩვეულებრივი" ადამიანები სჩადიან, არა წინასწარგანზრახული სიძულვილისა და შეუწყნარებლობის გამო, არამედ მსხვერპლის მიერ სოციალურად კონსტრუირებულ ქცევებსა თუ

---

[44] Perry B, In the name of Hate – Understanding Hate Crimes, Routledge, 2001

[45] Chakraborti N. (2015), Re-Thinking Hate Crime: Fresh Challenges for Policy and Practice, Journal of Interpersonal Violence, Vol. 30(10) 1738–1754, Sage Publications, იხ: http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.891.5465&rep=rep1&type=pdf

[46] OSCE/ODIHR annual report for 2006, გვ. 9. იხ: http://www.osce.org/odihr/26759?download=true

[47] Chakraborti N. (2015), Re-Thinking Hate Crime: Fresh Challenges for Policy and Practice, Journal of Interpersonal Violence, Vol. 30(10) 1738–1754, Sage Publications, იხ: http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.891.5465&rep=rep1&type=pdf

[48] იქვე

მახასიათებლებთან შეუსაბამობის, განსხვავებული ჩაცმულობისა და ინტერესების გამო – საკმარისი ყურადღება არ დაეთმოს.[49]

დანაშაულთა თუ მართლსაწინააღმდეგო ქცევათა მნიშვნელობების ზემოაღწერილი პრიორიტეტიზაცია თუ იერარქიზაცია პოლიტიკის მიერ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს პრაქტიკისა და ამგვარ დანაშაულებთან ბრძოლის პროცესში, რადგანაც ის ასევე ახდენს გავლენას მსხვერპლის აღქმადობაზე თუ რას შეიძლება უწოდონ „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული/ინციდენტი". ბევრი მსხვერპლისათვის ოჯახში ძალადობა, პარტნიორის მხრიდან ძალადობა, შევიწროება, ბულინგი და ფსიქოლოგიური ძალადობა კონკრეტული ნიშნის გამო, რომელსაც ყოფით პირობებში ექვემდებარებიან, მათი ყოველდღიური ცხოვრების ერთგვარ რუტინად იქცევა, რომელიც თითქოს თან სდევს „განსხვავებულობას" და **მას ნორმალიზებულ, სახასიათო ასპექტად აქცევს, რომლის სახელდებას მსხვერპლი, როგორც ძალადობად ან „სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად" ნაკლებად მოახდენს."**[50] შესაბამისად, ამგვარი დაფარული და „ყოფით" ურთიერთობაში ჩადენილი დანაშაულების სახელმწიფო პოლიტიკისა და საზოგადოების მიერ აუღიარებლობამდე, ის მუდმივად უჩინარი და პასუხგაუცემელი დარჩება, რაც მსხვერპლს აიძულებს დარჩეს ძალადობის ციკლში და მეტიც, მისი ნორმალიზება მოახდინოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების იდენტიფიკაცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა ადამიანის ცხოვრების ყველა ნაწილში თანაბარი ხარისხით უნდა მიმდინარეობდეს. **დანაშაულები, რომელთაც ლგბტ ჯგუფის წევრები ოჯახის წევრების მხრიდან ექვემდებარებიან, მათი სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა თუ გენდერული გამოხატვის გამო, წარმოადგენს შეუწყნარებლობით ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, რომელიც საჭიროებს პრევენციასა და ადეკვატურ გამოძიებას.** როგორც ევროსაბჭოს სახელმძღვანელო დოკუმენტი მიუთითებს, „ლგბტ თემის წევრები შესაძლოა დაექვემდებარონ ძალადობას ოჯახის წევრების მხრიდან, საკუთარ სახლებში, რომელიც ხშირად წარმოადგენდეს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა და ოჯახში ძალადობის ფორმას"[51], შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ძალადობის აღნიშნული ფორმის მიმართ პოლიტიკის შემქმნელებსა და სამართალდამცავ უწყებებს ადეკვატური ცოდნა და ინფორმაცია ჰქონდეთ, პრევენციული პოლიტიკის ადეკვატურად დაგეგმვისა და იმპლემენტაციისათვის.

1.4. ოჯახში ძალადობის იმპლიკაციები: უმცირესობათა სტრესი და ქამინგაუთის გამოცდილება

ინსტიტუციური და საზოგადოებრივი ჰომოფობიის გამო, ლგბტ ადამიანთა მიერ განცდილი დისკრიმინაცია და სოციალური გარიყულობა უარყოფითად აისახება არა მხოლოდ მათთვის მინიჭებული ფუნდამენტური უფლებების თანასწორად სარგებლობაზე, არამედ მათ ფიზიკურ, მენტალურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. ჯანმრთელობის დაცვის პანამერიკული ორგანიზაციის მიხედვით, „მიუხედავად იმისა, როგორია ჰომოფობიის წარმომავლობა და მანიფესტაცია, მისი ნებისმიერი ფორმა უარყოფითად აისახება ლგბტ ადამიანებზე, მათ ოჯახებსა და ფართო საზოგადოებაზე[...] მისით გამოწვეული სოციალური ექსკლუზიის, დანაშაულისა და სირცხვილის შეგრძნების, ტანჯვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანის გამო, ჰომოფობია

---

[49] იქვე
[50] იქვე
[51] Perry J. and Franey P. "Policing Hate Crime against LGBTI persons: Training for a Professional Police Response", Council of Europe, 2017, გვ. 52–53, იხ: https://rm.coe.int/prems-030717-gbr-2575-hate-crimes-against-lgbti-web-a4/1680723b1d

წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემას, რომელიც კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს“.[52]

კვლევებით დასტურდება, რომ ლგბტ თემის წევრებზე ინსტიტუციური ჰეტეროსექსიზმი, ჰომოფობიის მაღალი ხარისხი და სოციალური გარიყულობა კრიტიკულად აისახება მათ სოციალურ სტატუსზე, მენტალურ ჯანმრთელობასა და სუიციდალურ-თვითდესტრუქციულ ქცევებზე. ფართო მოსახლეობაზე სტრესის გამომწვევი ინდივიდუალური ფაქტორების გარდა, რომელიც მის კეთილდღეობაზე ახდენს გავლენას, ფსიქოლოგიაში არსებობს სოციალური სტრესის კონცეფციაც, რომლის მიხედვით, სტრესორები გულისხმობს იმ მოვლენებისა და პირობების ერთიანობას, რომელიც იწვევს არსებით ცვლილებებს და პირს აიძულებს ადაპტაციას შეცვლილ სიტუაციასა თუ ცხოვრების ახალ პირობებთან.[53]

ფსიქოლოგიის ლიტერატურაში სოციალური სტრესის შემთხვევაში ფართოვდება სტრესის კონცეფცია, რომლის მიხედვით, სოციალური გარემოს კონდიციები, და არა მხოლოდ პერსონალური მოვლენები, გავლენას ახდენს სხვადსხვა სტრესორის წარმოქმნაზე და აისახება პირის მენტალურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. შესაბამისად, სოციალურ სტრესს არსებითი გავლენა აქვს იმ ადამიანებზე, რომლებიც მიეკუთვნებიან სოციალურად სტიგმატიზებულ კატეგორიებს, მათ შორის, რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებზე, შავკანიან მოსახლეობაზე, ქალებსა და ლგბტ ჯგუფის წევრებზე. სტიგმა და დისკრიმინაცია, რომელიც აღნიშნული ჯგუფების მიმართ არსებობს დაბალი სოციოეკონომიკური სტატუსის, რასიზმის, ქსენოფობიის, სექსიზმისა და ჰომოფობიის საფუძველზე, ცვლის მათ მდგომარეობას საზოგადოებაში და, შესაბამისად, იწვევს დამატებით სტრესს.[54]

ლგბტ ადამიანებზე სოციალური სტრესის გავლენის უკეთ აღსაწერად პროფესორმა, ილინ მეიერმა, შეიმუშავა **„უმცირესობათა სტრესის“ მოდელი**[55], რომელიც რამდენიმე ელემენტს მოიცავს და არსებითად არის დაკავშირებული პირის სოციალურ გარემოსთან ადაპტაციასა და ურთიერთქმედებაზე, რომელშიც უმთავრეს როლს თამაშობს სოციალური სტრუქტურების, ნორმებისა და ინსტიტუციებისგან გაუცხოება. „არანორმალურობის“ განცდამ, საზოგადოების მხრიდან სოციალური კონტროლის არსებობამ და გაუცხოებამ შესაძლოა, არსებითი გავლენა მოახდინოს პირის კეთილდღეობასა და თვითდესტრუქციული ქცევების პროვოცირებაზე, რადგანაც ბაზისური სოციალური საჭიროებები არ არის მიღწეული.[56]

მეიერის მიხედვით, საზოგადოებაში უმცირესობათა სტრესი შესაძლოა გამოწვეული იყოს როგორც გარეგანი (დისკრიმინაცია, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული), ისე შინაგანი ფაქტორებით (ინტერნალიზებული ჰომოფობია), როგორც საკუთარი სექსუალური იდენტობის გამჟღავნებით

---

[52] Pan American Health Organization, regional office of WHO, “CURES” FOR AN ILLNESS THAT DOES NOT EXIST”, Purported therapies aimed at changing sexual orientation lack medical justification and are ethically unacceptable.
[53] Dohrenwend, 1998a
[54] Allison, 1998; Barnett, Biener, & Baruch, 1987; Clark, Anderson, Clark, & Williams, 1999; Meyer, 1995; Mirowsky & Ross, 1989; Pearlin, 1999b
[55] Meyer, I. (1995) Minority stress and mental health in gay men, Journal of Health and Social Behaviour, 7, pp.9-25; Meyer, I.(2003) Prejudice, social stress and mental health in lesbian, gay and bisexual populations: Conceptual issues and research evidence, Psychological Bulletin, 129, (5), pp. 674-697.
[56] Durkheim’s (1951) (როგორც ციტირებულია, Ilan H. Meyer, Prejudice, Social Stress, and Mental Health in Lesbian, Gay, and Bisexual Populations: Conceptual Issues and Research Evidence, Psychological Bulletin Copyright 2003 by the American Psychological Association, Inc. 2003, Vol. 129, No. 5, 674–697)

(ქამინგაუთი), ისე საკუთარი იდენტობის დაფარვით.[57] უმცირესობათა იდენტობა სხვადასხვა ფორმით ვლინდება ლგბტ ადამიანებზე და სოციალური ადაპტაციისთვის იცვლის ქცევებს. შესაბამისად, შესაძლოა, უარყოფის მოლოდინით შეზღუდონ სოციალური ინტერაქცია გარესამყაროსთან, დაფარონ თავიანთი იდენტობა ძალადობისა და ზიანის შიშის გამო ან მოახდინონ სტიგმის ინტერნალიზება, რომელიც ინტერნალიზებული ჰომოფობიის სახით მძიმე ფორმით ვლინდება[58], აღნიშნული ფორმების სიმძიმე კი იმითაც არის განპირობებული, რომ როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ფაქტორები ქრონიკული/სისტემური ხასიათის არის და შესაძლოა, მთელი ცხოვრების განმავლობაში გასდევდეს ადამიანს.[59]

კვლევები მიუთითებს, რომ უმცირესობათა სტრესის დაძლევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს **მხარდამჭერი გარემოს არსებობა, მათ შორის – ოჯახის, მეგობრებისა და თანამოაზრეების.** ლგბტ ჯგუფის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე გარე გავლენების/გარეშე ფაქტორების გავლენის შესწავლის მიზნით, სოციალურ მეცნიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ოჯახური გარემოს როლის შესწავლას. როგორც კვლევები აჩვენებს, თავის ნეგატიურად აღქმასა და მის ინტერნალიზებულ ჰომოფობიაში გადაზრდას ხელს უწყობს ლგბტ ჯგუფის მოლოდინი მშობლების მხრიდან უარყოფაზე, რადგანაც ინტერნალიზებული ჰომოფობია ფსიქოლოგიურ სტრესს ინტერპერსონალური მხარდაჭერის შემცირების ხარჯზე ზრდის, რაც განაპირობებს სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაციის დამალვას. როგორც ანალიზი აჩვენებს, გეი და ლესბოსელი პირები, რომლებიც ინტერნალიზებული ჰომოფობიის პრობლემას ასახელებენ, იშვიათად მიმართავენ ქამინგაუთს ოჯახის წევრებსა და ახლობლებთან.[60]

სხვადასხვა დროს წარმოებული კვლევები აჩვენებს, რომ ლგბტ ჯგუფის კეთილდღეობაზე, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ნაწილისთვის, მშობლობის ორი ასპექტი ახდენს მნიშვნელოვან გავლენას: ა) მშობლების ცოდნა და პასუხი შვილის სექსუალურ ორიენტაციაზე და ბ) მშობლის-შვილის ურთიერთობის ემოციური ხარისხი, როგორიცაა, მხარდაჭერა, ზრუნვა, კავშირი.[61] სხვადასხვა კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ჩართულობით წარმოებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ მშობლების მხრიდან უარყოფა ნეგატიურად აისახება პირის ჯანმრთელობაზე, რაც გამოიხატება, დეპრესიაში, თვითდესტრუქციულ ქცევებსა და სუიციდში, ნარკოტიკების მოხმარებასა და სხვა სარისკო ქცევებში.[62] ხოლო მხარდამჭერი, მიმღებლური, შვილებთან ძლიერი კავშირის მქონე მშობლების შემთხვევები არსებითად იყო ასოცირებული ლგბტ თემის წევრების მხრიდან ნაკლებად სარისკო ქცევებსა და ჯანმრთელობის უკეთეს მდგომარეობაზე. შესაბამისად, კვლევათა უმეტესობა აჩვენებს, რომ მშობლები

---

[57] Meyer, I.(2003)Prejudice, social stress and mental health in lesbian, gay and bisexual populations: Conceptual issues and research evidence, Psychological Bulletin, 129, (5), pp. 674-697.

[58] იქვე

[59] იქვე

[60] Julia A. Puckett, Eva N. Woodward, Ethan H. Mereish, and David W. Pantalone (2015), Parental Rejection Following Sexual Orientation Disclosure: Impact on Internalized Homophobia, Social Support, and Mental Health, LGBT Health Volume 2, Number 3 (short report)

[61] Bouris A. Guilamo-Ramos V, Pickard A, Shiu Ch., Loosier P.S., Dittus P., Gloppen K., Waldmiller J.M., "A (2010) Systematic Review of Parental Influences on the Health and Well-Being of Lesbian, Gay, and Bisexual Youth: Time for a New Public Health Research and Practice Agenda, J Primary Prevent 31:273–309

[62] Caitlin Ryan, Stephen T. Russell, David Huebner, Rafael Diaz and Jorge Sanchez (2010) Family Acceptance in Adolescence and the Health of LGBT Young Adults. Journal of Child and Adolescent Psychiatric Nursing, Volume 23, Number 4, pp. 205–213

შესაძლოა, იყვნენ როგორც ლგბტ ადამიანების სტრესის გამომწვევი, ასევე მხარდამჭერი გარემოს ხელშემწყობის როლის მატარებელნიც.[63]

როგორც მეირეი აღწერს, უმცირესობათა სტრესის დაძლევასა თუ გაძლიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პირის მიერ საკუთარი იდენტობის გამჟღავნებას გარშემომყოფებისათვის, შესაბამისად, **ქამინგაუთი** არსებით გავლენას ახდენს როგორც პირის სოციალურ პოზიციონირებაზე გარესამყაროსთან, ისე ძალადობის რისკის წარმოშობასა და სტიგმატიზებაზე, განსაკუთრებით საკუთარ ოჯახში.

ვალენტაინის მნიშვნელოვანი კვლევა ქამინგაუთის შესახებ[64] კრიტიკულად აღწერს ქამინგაუთის ფასს ინტიმური ცხოვრების ისეთ ფუნდამენტურ ნაწილზე, როგორიც ინდივიდებს შორის შეკავშირების ღრმა სოციალური ერთობა – ოჯახია. თუმცა ვალენტაინი ქამინგაუთის გამოცდილებაზე საუბრამდე კრიტიკულად აღწერს თანამედროვე სამყაროში ნეოლიბერალური სისტემისა და ინდივიდუალიზმის გავლენას ოჯახის ინსტიტუტის ცვლილებაზე, რომელიც, ერთი მხრივ, პირის გათავისუფლების იდეას, უფლებებს, თვითგანხორციელებასა და არჩევანს დაეფუძნა, მაგრამ ამავე დროს მას მძიმე პირადი პასუხისმგებლობაც დააკისრა საკუთარ განვითარებასა და წარმატებაზე.

ვალენტაინის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთში იცვლება ტრადიციული, ნუკლეანური ოჯახების უპირობო დომინაცია და ურთიერთობები განსხვავებულად ვითარდება, ახალმა სისტემამ სინამდვილეში მხოლოდ ოჯახის „ქმნადობის“ (doing families) ფორმები შეცვალა და არა მის შიგნით არსებული იერარქიები. პოსტმოდერნული ოჯახები თუ პოსტოჯახები შესაძლოა, განსხვავდებოდეს ტრადიციული ოჯახისგან მოვალეობებისა და ხანგრძლივობის ხარისხით, თუმცა მისი წევრების სურვილი ინტიმურობაზე, რესურსების გაზიარებასა და პასუხისმგებლობებზე მაინც დარჩა. შედეგად, მიუხედავად ინიდივიდუალიზებისა, დამოკიდებული ბავშვობიდან – დამოუკიდებელ ზრდასრულობამდე ტრანზიცია მრავალ რისკს მოიცავს და ის კვლავ ოჯახებს შიგნით ექვემდებარება მედიაციას. ინდივიდუალიზებულმა მიდგომამ ვერ უზრუნველყო ინდივიდების კეთილდღეობის ხელის შეწყობა. ისეთ პირობებში, როდესაც შრომის ბაზარზე შესვლა სულ უფრო რთულდება, სასკოლო და უმაღლესი განათლება არ წარმოადგენს ბაზისური სოციალური სიკეთეებით სარგებლობის საფუძველს, ხოლო სოციალური დაცვის ბენეფიტები არ არის ხელმისაწვდომი, სახელმწიფო ახალგაზრდებს ოჯახებზე ნახევრად დამოკიდებულებაში ტოვებს. ჯონსის მიხედვით, „კეთილდღეობის სახელმწიფოს რესტრუქტურიზებამ და ახალგაზრდებისათვის სოციალური დახმარების შეკვეცამ, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო მათ მიერ მშობლების სახლის დატოვებისთვის, ეს პროცესი გააჭიანურა და ხშირად შეუძლებელი გახადა.“[65] თავის ფინანსურად შენახვის შეუძლებლობის გამო, ახალგაზრდები თავიანთ ოჯახებზე ხდებიან დამოკიდებულები შესაბამისად, იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა დატოვონ ოჯახები, მათ ეს ისევ ოჯახის რესურსების ხარჯზე უნდა შეძლონ. შედეგად, ახალგაზრდები ხშირად აღწევენ სოციალურ ავტონომიას მშობლებისგან (სოციალური იდენტობის, სექსუალური ურთიერთობების კუთხით), სანამ ისინი შეიქმნიან ფინანსურ და საცხოვრებელ დამოუკიდებლობას.[66]

---

[63] Bouris A. Guilamo-Ramos V, Pickard A, Shiu Ch., Loosier P.S., Dittus P., Gloppen K., Waldmiller J.M., "A (2010) Systematic Review of Parental Influences on the Health and Well-Being of Lesbian, Gay, and Bisexual Youth: Time for a New Public Health Research and Practice Agenda, J Primary Prevent 31:273–309

[64] Valentine G., Skelton T., Butler R., „Coming out and outcomes: negotiating lesbian and gay identities with, and in, the family, Environment and Planning D: Society and Space 2003, volume 21, pages 479-499

[65] Jones G, 2000, „Experimenting with households and inventing `home'", International Social Science Journal 52(2) 183–194

[66] Jones G, 1987, ``Leaving the parental home: an analysis of early housing careers'' Journal of Social Policy 16, 49–74; Jones G, 1995 Leaving Home (Open University Press, Buckingham)

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ოჯახის, როგორც უსაფრთხო გარემოს მნიშვნელობის გათვალისწინებით, ბევრი ახალგაზრდა ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანისათვის ოჯახის წინაშე ქამინგაუთი საფრთხის შემცველია, მხარდაჭერის დაკარგვისა და უარყოფის შიშის გამო[67], რის შედეგადაც ისინი მარტო აღმოჩნდებიან იმ სოციალური გარემოს წინაშე, სადაც სახელმწიფო მათ გვერდით არ დგას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმრავლეს შემთხვევაში გეი ან ლესბოსელი ადამიანის გადაწყვეტილება ქამინგაუთზე არ ეფუძნება მხოლოდ მათ ინდივიდუალურ სურვილს, ის ასევე დაკავშირებულია ოჯახის „ქმნადობის“ პროცესზეც, პასუხისმგებლობასა და ურთიერთობაზე ოჯახის წევრებთან. ახალგაზრდებისათვის ოჯახს ცენტრალური ადგილი უჭირავს პირად ცხოვრებაში, მათ შორის, ემოციური და ფინანსური მხარდაჭერის გამო, ამიტომ ნებისმიერი გადაწყვეტილება ქამინგაუთზე პოტენციურ დანაკარგთან არის დაკავშირებული. ამასთან, ახალგაზრდების ემოციური კავშირი ოჯახის წევრების მიმართ, მშობლებისა და დედმამიშვილების დაცვის ვალდებულება ტკივილის, დანაშაულისა და სირცხვილისაგან არსებით როლს თამაშობს ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზე.[68]

ზემოაღნიშნულზე გავლენას ახდენს ისიც, თუ როგორ აღიქმება „ზრდასრულობა“ მშობლების მიერ, რომელიც, როგორც წესი, ოთხი პირობის არსებობაში გამოიხატება. მათგან ორი ჰეტეროსექსუალურ იმპერატივს ეფუძნება: განათლება, სამსახური, ქორწინება და მშობლობა. ამ იმპერატივების პირისპირ ახალგაზრდები, რომლებიც თავს გეიდ, ბისექსუალად ან ლესბოსელად აიდენტიფიცირებენ, განიცდიან, რომ შეიძლება, მშობლებს იმედები გაუცრუონ. თავის მხრივ, მშობლები შვილებს უპირობოდ ჰეტეროსექსუალებად აღიქვამენ, შესაბამისად, ნეგატიური წინასწარგანწყობა და სტერეოტიპები არანორმატიული სექსუალობების მიმართ უნებურად მანამდე ილექება ახალგაზრდების მეხსიერებაში, ვიდრე თავად მოახდენენ თვითგანსაზღვრასა და თვითიდენტიფიკაციას.[69]

საინტერესოა, რომ, როგორც წესი, ქამინგაუთის გადაწყვეტილებისას, ლგბტ ჯგუფის წევრები იშვიათად უზიარებენ მთლიან ოჯახს ინფორმაციას თავიანთი სექსუალობისა თუ იდენტობის შესახებ, არამედ უწევთ, შეარჩიონ ისეთი ადამიანი, რომელიც, გარდა ემოციური მხარდაჭერისა, ასევე გაუმარტივებს ოჯახის დანარჩენ წევრებთან ქამინგაუთის პროცესს, მათი ორიენტაციის შესახებ არაპირდაპირ მიწოდებისა და შემზადების გზით. შესაბამისად, ქამინგაუთი არა ერთჯერად აქტად იქცევა, არამედ პროცესად, რომელიც ოჯახის წევრებს შორის განრძობითად იურთიერთქმედებს. როგორც წესი, აღნიშნულ როლს დედა ირგებს, რომელიც საოჯახო სივრცეში ემოციური შრომის მთავარი გამწევია[70]. კვლევები აჩვენებს, რომ ლგბტ ჯგუფის წევრები ყველაზე იშვიათად მიმართავენ ქამინგაუთს მამასთან, მათგან ძალადობისა და მიუღებლობის უფრო მაღალი რისკის შიშით. აღნიშნული შიშის საფუძვლიანობას ადასტურებს სხვა კვლევებიც, რომლებიც მიუთითებს, რომ მამები ყველაზე იშვიათად ამჟღავნებენ მიმღებლურ დამოკიდებულებას ჰომოსექსუალობის მიმართ, ვიდრე დედები და დედმამიშვილები.[71]

---

[67] Finch J, Mason J, (1993) Negotiating Family Responsibilities (Routledge, London)
[68] Valentine G., Skelton T., Butler R., „Coming out and outcomes: negotiating lesbian and gay identities with, and in, the family, Environment and Planning D: Society and Space 2003, volume 21, pages 479-499
[69] Valentine G., Skelton T., Butler R., „Coming out and outcomes: negotiating lesbian and gay identities with, and in, the family, Environment and Planning D: Society and Space 2003, volume 21, pages 479-499
[70] Valentine G, 1997, „“My son's a bit dizz“. „My wife's a bit soft“. Gender, children and cultures of parenting'' Gender, Place and Culture 4, 37–62
[71] D'Augelli A, Hershberger S, PilkingtonN, 1998,“Lesbian, gay and bisexual youth and their families: disclosure of sexual orientation and its consequences“, American Journal of Orthopsychiatry 68,
361– 371

ამ მხრივ საინტერესოა, რომ შედარებით ადრეულ წლებში კვლევებმა დიდ ბრიტანეთში აჩვენა, რომ ყველა ძალადობრივი აქტიდან 61% არსებითად ოჯახის წევრების მხრიდან მოდიოდა[72], 1998 წელს ჩატარებულ კვლევებში აღმოჩნდა, რომ 25%-ის მიმართ სიტყვიერ შეურაცხყოფას ჰქონდა ადგილი, ხოლო 10%-ს ფიზიკური დაზიანებით დაემუქრნენ. კვლევებმა აჩვენა, რომ გეი ადამიანები, გარდა მამისა, ძმების მხრიდანაც ძალადობის რისკის ქვეშ იმყოფებოდნენ. გამოკითხულთა მხოლოდ ნახევარმა აღნიშნა, რომ დედამ და დედმამიშვილმა მიმღებლური დამოკიდებულება გამოავლინეს, მამების შემთხვევაში კი ამგვარი დამოკიდებულება მხოლოდ მეოთხედ შემთხვევაში გამოვლინდა.[73]

ცხადია, არც დედები არიან ხშირად მიმღებლები შვილების არადომინანტური ორიენტაციის თუ იდენტობის მიმართ, რა დროსაც თვითდადანაშაულებას, ზიზღსა და სირცხვილს თან ერთვის, დისკრიმინაციისა და ძალადობის შიშიც. შვილები, რომლებიც ოჯახის „საჯარო“ სახეს წარმოადგენენ, შვილის „დევიანტობაში“ მშობელი თავს იდანაშაულებს, იმის შიშით, რომ საზოგადოებაც მათ დაადანაშაულებს.[74]

შესაბამისად, ვალენტაინის მიხედვით, ქამინგაუთი არის არა მხოლოდ ინდივიდუალური პროცესი, რომლის შედეგებიც ინდივიდუალურ გეი, ბისექსუალ ან ლესბოსელ ადამიანზე აისახება, არამედ გავლენას ახდენს ოჯახისა და მისი წევრების კოლექტიურ იდენტობაზეც. შედეგად, ჰომოფობია არა მხოლოდ ინდივიდის მიერ განიცდება, არამედ მარგინალიზების პროცესად იქცევა, რომელიც სხვებსაც გადაეცემა. ამრიგად, პირადი და ოჯახის იდენტობის დაზიანების, დისკრიმინაციისა და სოციალური ექსკლუზიის შიში მშობლებისთვის ქმნის ბარიერს, შვილების სექსუალური იდენტობის შესახებ განაცხადონ ოჯახის სხვა წევრებისა და საზოგადოების წინაშე. შესაბამისად, ფარულობა (closeted) ხშირად კოლექტიურ სივრცედ იქცევა.[75]

ზემოაღნიშნული კვლევების ანალიზი აჩვენებს, რომ ოჯახში ძალადობის საკითხი კომპლექსური ფენომენია, რომლის დაძლევა საზოგადოების წევრების ცნობიერების ამაღლებითა და სტიმგის გადალახვის გზით არის შესაძლებელი. საამისოდ კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მიერ გატარებული ზომების ეფექტიანობასა და სოგი-ს ნიშნით ძალადობის იდენტიფიცირებას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ოჯახების არა ძალადობის, არამედ მხარდამჭერ გარემოდ ქცევას.

2. სოგი-ს ნიშნით ოჯახში ძალადობის პრაქტიკა საქართველოში

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის, თუ გენდერული გამოხატვის საფუძველზე ოჯახში ჩადენილი დანაშაულები არსებითად უხილავ და შეუსწავლელ საკითხს წარმოადგენს, თუმცა აღნიშნული ტიპის დანაშაულების შედეგად გამოწვეული ზიანი საკმაოდ ფართოა და გარდა ფიზიკური ზიანისა, კავშირშია პირის განათლებაზე ხელმისაწვდომობასთან, სოციალურ მოწყვლადობასა და უსახლკარობის რისკთან.

ოჯახში ძალადობის ხარისხი მნიშვნელოვნად უკავშირდება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ღიაობას ოჯახის წევრების მიმართ. საქართველოში წარმოებული

[72] Valentine G, 1997, „“My son's a bit dizz“. „My wife's a bit soft“. Gender, children and cultures of parenting'' Gender, Place and Culture 4, 37–62

[73] D'Augelli A, Hershberger S, PilkingtonN, 1998,“Lesbian, gay and bisexual youth and their families: disclosure of sexual orientation and its consequences“, American Journal of Orthopsychiatry 68,
361– 371

[74] იქვე

[75] Valentine G., Skelton T., Butler R., „Coming out and outcomes: negotiating lesbian and gay identities with, and in, the family, Environment and Planning D: Society and Space 2003, volume 21, pages 479-499

კვლევებით დასტურდება, რომ ლგბტ ჯგუფში ხშირია შემთხვევა, როდესაც ისინი მალავენ სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას. მაგალითად, 2012 წელს კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა 36% ოჯახის წევრებისგან მალავს ინფორმაციას საკუთარი იდენტობის შესახებ. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ, მცირე სხვაობის მიუხედავად, კაცები უფრო მეტად მალავენ თავიანთ იდენტობას, ვიდრე ქალები.[76] ქამინგაუთის გამოცდილებასთან არსებით კავშირშია ლგბტ ჯგუფის წევრის ეკონომიკური დამოკიდებულება ოჯახის წევრებზე, რამაც შესაძლოა, პირი აიძულოს, არ გაამჟღავნოს ინფორმაცია თავისი იდენტობის შესახებ, რათა არ დაკარგოს ფინანსური რესურსი და ემოციური მხარდაჭერა, რომელსაც ოჯახი უზრუნველყოფს.[77] თუმცა საინტერესოა, რომ ხშირად ძალადობის ციკლის მიზეზი არა უშუალოდ ქამინგაუთის ფაქტია, არამედ ოჯახის წევრების მხრიდან პირის ორიენტაციისა თუ იდენტობის შესახებ ეჭვისა და ვარაუდის არსებობაც კი, რომელიც შესაძლოა, ქამინგაუთის ფაქტმა კიდევ უფრო მეტად გააძლიეროს.

2014 წელს „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) მიერ წარმოებული კვლევის[78] მიხედვით, რომელიც ძალადობის მასშტაბს, გავრცელებასა და ხარისხს იკვლევდა ლგბტ ჯგუფში აჩვენა, რომ გამოკითხულთა 20%-ს ძალადობა განუცდია ოჯახის წევრების მხრიდან, ხოლო 30%-მა აღნიშნა, რომ ძალადობა მომდინარეობდა პარტნიორის, პოლიციელისა და თანამშრომლის მხრიდან. თავდასხმის ადგილის მიხედვით, რესპონდენტებმა თავდასხმის ყველაზე ხშირ ადგილად საჯარო სივრცე მიუთითეს, თუმცა ოჯახში ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში ძალადობის ადგილი ექსკლუზიურად სახლია (30%). „ყველა მათგანს, ვინც თავდასხმის ადგილად სახლს ასახელებს, ფიზიკური ძალადობის გამოცდილება სამჯერ ან მეტჯერ აქვს, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ეს ადამიანები პერმანენტული ძალადობის ქვეშ იმყოფებიან ოჯახის წევრების მხრიდან.“[79]

ამასთან, საინტერესოა, რომ როგორც 2017 წელს WISG-ის მიერ ჩატარებული კვლევა მიუთითებს, გარდა ლგბტ ადამიანებისა, ჰომო/ბი/ტრანსფობიური დანაშაულებისა თუ ნეგატიური წინასწარგანწყობის მსხვერპლი ხშირად ის აქტივისტები არიან, რომლებიც მონაწილეობენ ლგბტქი სათემო ორგანიზაციების აქტივობებსა თუ საჯარო ინიციატივებში, მიუხედავად იმისა, მიეკუთვნებიან თუ არა ლგბტ ჯგუფს. აღნიშნული ჯგუფის მიმართ ასევე მძლავრია ოჯახში ძალადობაც, აქტივისტები და უფლებადამცველები ხშირად ხდებიან მუქარის, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ოჯახის წევრების მხრიდან.[80]

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების პრაქტიკის მიხედვით, პირის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ფიზიკური ძალადობის გარდა, რომელიც სხვადასხვა ინტენსივობითა და ხარისხით შეიძლება გამოვლინდეს (მაგალითად, სიცოცხლის მოსპობისა და ძალადობის მუქარა, ფიზიკური ძალადობა, რომელსაც ხშირად მამა ან ძმა მიმართავს), ფსიქოლოგიური ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა ლგბტ პირების მიმართ, რომელიც ხშირად წლების განმავლობაში, სისტემურად გრძელდება და აიძულებს თემის წევრებს, შეცვალონ თავიანთი გენდერული გამოხატვა და ქცევები სოციალურად გაბატონებულ გენდერულ როლებს დაუქვემდებარონ. აღნიშნულთან დაკავშირებით, ლგბტ თემის წევრებთან მომუშავე იურისტებთან ინტერვიუები აჩვენებს, რომ ხშირად თვითგამოხატვის შეზღუდვა, მათ შორის თვითშეზღუდვა, ხშირად შესაძლოა აყალიბებდეს ინტერნალიზებულ ჰომოფობიას კონკრეტულ

[76] ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში, WISG, 2012
[77] ჩაღრმავებული ინტერვიუ ნინო ბოლქვაძესთან, ქეთი ბახტაძესა და დიანა დავითაძესთან, 2017 წელი
[78] ბახტაძე ქ. „არაღიარებული ძალადობა – სამართალწარმოების ანგარიში“, გვ. 22–23, WISG, 2017
[79] იქვე, გვ. 23
[80] ბახტაძე ქ. „არაღიარებული ძალადობა – სამართალწარმოების ანგარიში“, გვ. 61, WISG, 2017

პირებში[81], რაც მომავალში აღნიშნულ პირს საკუთარი თავის მიუღებლობასა და მძიმე სოციალურ და ფსიქოლოგიურ სტრესში ამყოფებს, შესაბამისად, მის ჯანმრთელობას და სოციალურ ინტერაქციას რისკის ქვეშ აქცევს.

ლგბტ ორგანიზაციების იურისტებთან ჩაღრმავებული ინტერვიუები აჩვენებს, რომ ლგბტ თემის წევრების მიმართ ასევე ხშირია მშობლების მხრიდან მათ პირად ავტონომიაში, პირად მიმოწერასა და კორესპონდენციაში უხეში ჩარევის შემთხვევები, რითაც მარტივდება მათი კონტროლი და ხშირად ჯგუფის წევრების გარესამყაროსგან იზოლაციას უწყობს ხელს[82]. იზოლაცია ასევე გამოიხატება თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის ფორმით, რის გამოც თავად იურისტებსაც ხშირად უჭირთ, კონტაქტი დაამყარონ პოტენციურ მსხვერპლთან და ადეკვატური სამართლებრივი დახმარება შესთავაზონ.[83] პრაქტიკაში ასევე არსებობს ლგბტ პირების, განსაკუთრებით არასრულწლოვნების, იძულებითი მკურნალობისა თუ თერაპიის მცდელობა.[84] 2017 წელს გამოვლინდა ლესბოსელი ქალის იძულებითი ქორწინების მცდელობის ფაქტიც, რაც ძალადობის სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენს და ხშირად გეი ჯგუფშიც თანაბარი ინტენსივობით არსებობს.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დოკუმენტირებულ საქმეებთან ერთად ლგბტ ჯგუფის მიმართ ოჯახში ჩადენილ ძალადობას ასევე შეისწავლის სახალხო დამცველი, თუმცა მის მიერ დოკუმენტირებული (მასთან მიმართული) შემთხვევების რაოდენობა მცირეა და ვერ ასახავს პრობლემის რეალურ მასშტაბს. მაგალითისთვის, სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, სახალხო დამცველის აპარატში „2016 წელს შემოსული განცხადებებიდან მხოლოდ 1 საქმე ეხებოდა ოჯახში ძალადობას, რომლის მიხედვითაც, არასრულწლოვანი, სექსუალური ორიენტაციის გამო, მშობლების მხრიდან ძალადობას განიცდიდა. სოციალური დაცვის სამსახურმა არასრულწლოვანი ოჯახიდან გამოიყვანა და მინდობით აღზრდაში განათავსა."[85]

ყურადსაღებია, რომ მიუხედავად პრობლემის მასშტაბურობისა, ამ დრომდე არ არსებობს სახელმწიფოს მიერ შეგროვებული და დამუშავებული სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელს გახდიდა აღნიშნული ტიპის დანაშაულების იდენტიფიცირებას და ადეკვატური პრევენციული ზომების გატარებას.

სოგი-ს ნიშნით ოჯახში ძალადობის პრობლემის იდენტიფიცირებასა და მასთან ინსტიტუციურ ბრძოლას მსხვერპლის მხრიდან მიმართვიანობის დაბალი მაჩვენებელიც უშლის ხელს, რაც, თავის მხრივ, სამართალდამცავი უწყებებისადმი ნდობის ნაკლებობით, მათი მხრიდან ძალადობის არასერიოზულად აღქმისა და დისკრიმინაციული მოპყრობის გამოცდილებით/მოლოდინით არის განპირობებული.[86] აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშიც, სადაც აღნიშნულია, რომ „ლგბტ თემის წარმომადგენლები პოლიციელების მხრიდან სავარაუდო გადაცდომის ფაქტებზე საუბრობენ. რიგ საქმეებში მითითებულია პოლიციელების მხრიდან დამამცირებელი მოპყრობის, ჰომოფობიური დამოკიდებულების, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის, გულგრილობის ფაქტების შესახებ."[87]

---

[81] ინტერვიუ ქეთი ბახტაძესთან, დეკემბერი, 2017 წელი
[82] ინტერვიუ ნინო ბოლქვაძესა (EM) და დიანა ავითაძესთან (EM), 2017 წელი
[83] ინტერვიუ ქეთი ბახტაძესთან (WISG), ნინო ბოლქვაძესა (EM) და დიანა ავითაძესთან (EM), 2017 წელი
[84] EMC–ის კონსულტაციების პრაქტიკა
[85] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2016 წელი, გვ. 654
[86] ჯალაღანია ლ. „ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიების შესახებ", EMC, 2017
[87] საქართველოს სახალხო დამცველის ანაგრიში, 2016 წელი, გვ. 654

აღნიშნული დამოკიდებულებების შესახებ სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშშიც წერია, კერძოდ, „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი არაერთ განცხადებას შეისწავლის, სადაც ლგბტ+ თემის წარმომადგენლები პოლიციელთა მხრიდან სავარაუდო ძალადობაზე, ჰომოფობიურ, შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებასა და არასათანადო რეაგირებაზე მიუთითებენ. სამწუხაროდ, რიგ საქმეებში თავად განმცხადებლები ამბობენ უარს საქმისწარმოების გაგრძელებაზე და არ თანამშრომლობენ შსს გენერალურ ინსპექციასა და პროკურატურასთან, რადგან არა აქვთ განცდა, რომ საქმეს დროულად და სამართლიანად გამოიძიებენ. რიგ საქმეებში კი რთულია მტკიცებულების მოპოვება.“[88]

ლგბტ ჯგუფის მიმართ არსებული დისკრიმინაციისა და ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ფორმის გავრცელების ფაქტი ადასტურებს სახელმწიფოს მიერ ეფექტიანი და პრევენციული ზომების გატარების აუცილებლობასა და მის კრიტიკულ მნიშვნელობას. სახელმწიფოს მხრიდან ზედაპირული ღონისძიებები, ხოლო ხშირ შემთხვევაში, უგულებელყოფის პრაქტიკა არსებითად უარყოფითად აისახება ლგბტ ჯგუფის წევრის ინდივიდუალურ ცხოვრებაზე, რომელიც სახელმწიფომ ფუნდამენტური პრევენციული ნაბიჯებით უნდა აირიდოს თავიდან.

2.1. სოგი-ს ნიშნით ოჯახში ძალადობის რეგულირების საკანონმდებლო ჩარჩო და ინსტიტუციური ხარვეზები

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულები უფრო შესამჩნევი გახდა და მათი ანალიზი ძალადობის სტრუქტურულ ხასიათს წარმოაჩენს, თუმცა სიძულვილით მოტივირებულ იმ დანაშაულებზე, რომელიც ოჯახის წევრების მხრიდან მომდინარეობს, სახელმწიფოს რეაგირება ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანობის, დროულობის, ჯეროვნებისა და მიუკერძოებლობის სტანდარტებს. სახელმწიფოს საკმარისად არ აქვს გააზრებული ოჯახში სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ის უარყოფითი სოციალური ეფექტი, რომელიც შესაძლოა, არსებით საფრთხეს უქმნიდეს პირის ფიზიკურ/მენტალურ ჯანმრთელობას, პირის განვითარებას და უარყოფითად აისახებოდეს მის სოციოეკონომიკურ მდგომარეობაზე.

დღემდე საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები მოწმობს, რომ ოჯახში ძალადობისა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლა მისთვის ორი ურთიერთგამიჯნული პროცესია, რომლებსაც პრაქტიკაში ერთმანეთთან ვერ აკავშირებს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ოჯახში ძალადობასა და ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის კუთხით, რაც პირველ რიგში, „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის თაობაზე“ ევროსაბჭოს კონვენციასთან (სტამბოლის კონვენცია) ჰარმონიზაციის მიზნით საქართველოს კანონმდებლობაში 2017 წელს მასშტაბური ცვლილებებით აღინიშნა. ამ ცვლილებებით მიღებული საკანონმდებლო ნორმები არ ითვალისწინებს სოგი-ს საფუძველზე არსებულ სპეციფიკას და ოჯახში ძალადობის მექანიზმები კვლავ ზოგადი რეგულირების ფარგლებში გამოიყენება.

ასევე, აღსანიშნავია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის თვალსაზრისით, ინსტიტუციურ დონეზე სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომებიც, რომლებმაც მეტად ინსტიტუციონალური და ფორმალიზებული სახე მიიღო. კერძოდ, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ შეიმუშავა რეკომენდაცია – *„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3[1] ნაწილის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების პრაქტიკაში გამოყენების*

[88] საქართველოს სახალხო დამცველის ანაგრიში, 2017 წელი, გვ. 149

თაობაზე". აღნიშნული რეკომენდაცია განიხილეს ევროპის საბჭოს ექსპერტებმა და დოკუმენტი ამოქმედდა 2016 წლიდან, თუმცა შინაარსის გაცნობის შესაძლებლობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არ ეძლევათ, რაც ართულებს მისი ეფექტიანობის შეფასებას. ამასთან, 2017 წელს, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ პროკურორებისთვის შემუშავებული რეკომენდაციის პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენების მიზნით, შეიქმნა სპეციალური კითხვარი, რომელშიც გაიწერა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესაძლო დაზარალებულის, ბრალდებულისა და მოწმის გამოკითხვის/დაკითხვის ინსტრუქცია. აღნიშნული კითხვარი დაეგზავნა პროკურატურის სისტემის თანამშრომლებს.[89]

საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიშის მიხედვით, აღსანიშნავია, რომ 2017 წელს სიძულვილის მოტივის შესწავლა მიმდინარეობდა 86 სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში. კერძოდ, სექსუალური ორიენტაციის ნიშანი შეისწავლეს 12 სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, გენდერული იდენტობის ნიშანი – 37 საქმის, სქესის/გენდერის ნიშანი – 25 საქმის. ამასთან, 2017 წელს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 44 პირის მიმართ. ამათგან, 4 პირს ბრალი წარედგინა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, 4 პირს – გენდერული იდენტობის ნიშნით, 25-ს – სქესის/გენდერის ნიშნით[90], თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად გაზრდილი სტატისტიკისა, მთავარი პროკურორის ანგარიში არ აჩვენებს სოგი-ს ნიშნით ჩადენილი ძალადობის ჩამდენი პირ(ებ)ის იდენტობას და მათ კავშირს ძალადობის მსხვერპლთან.

საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, „2018 წლის 5 თვის მონაცემებით, სისხლის სამართლის საქმეებში სექსუალური ორიენტაცია შესწავლილ იქნა 4 საქმის ფარგლებში, გენდერული იდენტობის – 9 საქმის ფარგლებში, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3 პირის მიმართ, ხოლო გენდერული იდენტობის ნიშნით – 5 პირის მიმართ."[91]

აღნიშნული აგრძელებს საქართველოში 2012 წლიდან არსებულ პრაქტიკას – მიუხედავად სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმის ამოქმედებისა, რომელიც სიძულვილის მოტივს ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს, ნორმის არსებობიდან დღემდე ლგბტ ჯგუფის მიმართ **ოჯახში ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული არაერთი დანაშაულის მიუხედავად, სამართალდამცავი და მართლმსაჯულების სისტემა გამოძიების, დევნისა და მსჯავრდების პროცესში არ ახდენს სიძულვილის მოტივის სათანადო იდენტიფიცირებას, გაფორმებასა და სასჯელის სათანადო გამოყენებას.** ამას ადასტურებს საქართველოს მთავარი პროკურატურის საპასუხო წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ უწყება არ აღრიცხავს სოგი-ს ნიშნით ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმაციას.[92]

იმავე პრაქტიკას ინარჩუნებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელსაც ოფიციალურ სტატისტიკაში არ აღურიცხავს ოჯახში ჩადენილი დანაშაული, რომელიც გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე, სიძულვილის მოტივით იყო ჩადენილი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს 2014-2015 წლების ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის დროული და ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში მოტივის გათვალისწინების ვალდებულების შესრულების მიზნისთვის შინაგან საქმეთა მინისტრმა 2014 წლის 23

---

[89] საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში, 6 თებერვალი, 2018 წელი, გვ. 46, იხ: http://pog.gov.ge/res/docs/6tebervalimtavariprokurorisangarishi.pdf

[90] იქვე

[91] საქართველოს მთავარი პროკურატურის საპასუხო წერილი N13/68385, 7 სექტემბერი 2018.

[92] იქვე

დეკემბერს გამოსცა №47 მითითება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების მიერ დისკრიმინაციის პრევენციისა და ამ ნიშნით ჩადენილ სამართალდარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების ღონისძიებების განხორციელების შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილი პირებისთვის დირექტივის მიცემას. მითითების მიხედვით, დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილ დანაშაულთა შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის შესაბამის ველში – „დანაშაულის ფაბულა“ უნდა მიეთითოს სისხლის სამართლის კოდექსის 53.3 პრიმა მუხლით გათვალისწინებული შეუწყნარებლობის მოტივისა და დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნის „შესაძლო“ არსებობის შესახებ. სტატისტიკის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი, თუმცა აღნიშნული მითითება პრაქტიკაში მხოლოდ 2018 წლიდან ამოქმედდა.

თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი მუშაკების – პოლიციელებისა და გამომძიებლების მიერ სიძულვილის მოტივის იდენტიფიცირების, მისი სათანადო ასახვისა და სოგი-ს ნიშნით დანაშაულებთან ბრძოლის კუთხით, შსს-მ მნიშვნელოვანი ინსტიტუციური რეფორმა გაატარა. კერძოდ, 2018 წელს სამინისტროს სტრუქტურაში შექმნა „**ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი“,** რომელიც არსებითად საერთაშორისო მექანიზმების (ECRI, UPR) მიერ წლების განმავლობაში საქართველოსათვის გაცემულ რეკომენდაციას ეფუძნებოდა. აღნიშნული დეპარტამენტის მანდატი არსებითად ფოკუსირდება ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე დროული რეაგირებისა და მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველყოფაზე.[93] აღნიშნული დეპარტამენტის არსებობა არსებითად წინ გადადგმული ნაბიჯია, რათა ლგბტ ადამიანების მიმართ სოგი-ს ნიშნით ოჯახში ძალადობის პრობლემატიკა ასევე მოექცეს მის მანდატში, რაც შესაძლებელს გახდის ძალადობის აღნიშნული ფორმის ადეკვატურ გამოძიებას და პრევენციული ზომების მიღებას. თუმცა, დღევანდელი მდგომარეობით, ოჯახში ძალადობის რეგულირების სისხლისსამართლებრივი, ადმინისტრაციულსამართლებრივი და სამოქალაქოსამართლებრივი მექანიზმები[94] – ოჯახში ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის უზრუნველყოფის სოციალური სერვისები, ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის პროგრამა და ოჯახში ძალადობის პრევენცის მექანიზმები არ ითვალისწინებს ლგბტ თემის წევრების მიმართ ოჯახში ძალადობის სპეციფიკას და ასეთ შემთხვევებშიც ოჯახში ძალადობის პრობლემა ზოგადი წესის შესაბამისად წყდება.

ოჯახში ჩადენილი დანაშაულის ფარულ ხასიათსა და გამოძიების პროცესში არსებულ პრობლემატიკაზე ყურადღებას ამახვილებს **სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციის შესახებ გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტი** საქართველოში ვიზიტის[95] შემაჯამებელ დოკუმენტში, რომელშიც აღნიშნულია, რომ „[ოჯახის წევრების მხრიდან] ლგბტ თემის წევრები ხშირად ექვემდებარებიან ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას, გადაადგილების, თავისუფლებისა და სოციალური კონტაქტების დამყარების შეზღუდვას – როგორც

---

[93] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №1, 2018 წლის 12 იანვარი, ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 5, პუნქტი ა), იხ: http://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/adamianis-uflebata-datsvis-departamenti?sub=11451

[94] ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტი

[95] გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტი – ვიქტორ მადრიგალ ბორლოსი საქართველოში მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში იმყოფებოდა 2018 წლის 25 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე პერიოდში.

ერთგვარ სასჯელს, სოციალურად მიღებული ქცევებისა და პრაქტიკასთან შეუსაბამობის გამო."[96] ექსპერტი მწუხარებას გამოხატავს მთავრობისვე დაგეგმილი ღონისძიებების პრაქტიკაში გაუტარებლობის გამო ლგბტ პირთა მიმართ ოჯახში ჩადენილი დანაშაულების აღმოფხვრასთან, მის დოკუმენტირებასა და სტატისტიკის წარმოებასთან მიმართებით. როგორც ანგარიში მიუთითებს, „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის განხორციელებული ზომები, ისევე როგორც, მსხვერპლთა მხარდამჭერი მექანიზმები, ცალსახაა, რომ ჰეტერონორმატიული პერსპექტივიდან არის შემუშავებული და მხოლოდ ძალიან მწირ ყურადღებას უთმობს ლგბტ ადამიანთა რეალობას."[97] შესაბამისად, ექსპერტი მოუწოდებს სახელმწიფოს, გააორმაგოს ძალისხმევა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ოჯახში ჩადენილი/ოჯახური დანაშაულების ადეკვატური იდენტიფიკაციისა და რელევანტური სტატისტიკის წარმოებისთვის."[98]

როგორც აღინიშნა, ლგბტ პირთა მიმართ ოჯახში ჩადენილი დანაშაულების გამოვლენა, იდენტიფიცირება და მასთან ბრძოლის დაგეგმვა კომპლექსური ზომებისა და ღონისძიებების მიღებასთან არის დაკავშირებული, რაც გულისხმობს გაერთიანებული ძალისხმევით პრაქტიკაში იდენტიფიცირებული ხარვეზების ანალიზზე დაფუძნებული ინტერვენციების განხორციელებას, წინამდებარე ანგარიშის შემდგომი სექციები სწორედ ზემოაღნიშნული პრაქტიკის პრობლემური ასპექტების იდენტიფიცირებასა და მის დეტალურ განხილვაზე არის ორიენტირებული.

2.1.1. ოჯახში ძალადობის ადმინისტრაციულსამართლებრივი რეგულაციები და პრაქტიკული ხარვეზები

ოჯახში ძალადობის აღსაკვეთად ადმინისტრაციულსამართლებრივი ღონისძიებები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მოძალადის მიერ მსხვერპლის მიმართ განხორციელებული ქმედება არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვან ქმედებას, სამართალდარღვევის ხასიათი არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად[99]. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ოჯახში ძალადობის აღკვეთისათვის ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმის სახით გამოიყენება შემაკავებელი და დამცავი ორდერი.

თუმცა ლგბტ თემის წევრის მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმები რაიმე სპეციფიკას არ ითვალისწინებს, მათ შორის არ არსებობს მითითება ძალადობის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობის შემთხვევაში შემაკავებელი ორდერში **სავალდებულოდ ასახვის შესახებ.** შემაკავებელი ორდერის ფორმაში[100] გათვალისწინებულია მომხდარი ძალადობრივი ფაქტის აღწერა, სადაც შესაძლოა, ფორმალურად მიეთითოს ძალადობის მიზეზი, თუმცა ეს ერთმნიშვნელოვნად დამოკიდებულია

[96] Mandate of the United Nations Independent Expert on Violence and Discrimination based on Sexual Orientation and Gender Identity, Country visit to Georgia – 25 September to 5 October 2018, End of mission statement, იხ: https://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=23682&LangID=E

[97] იქვე

[98] იქვე

[99] ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი

[100] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 2 ივნისის ბრძანება N281, დანართი 1

პოლიციის თანამშრომლის კეთილ ნებაზე და როგორც სამართალწარმოების პრაქტიკა[101] აჩვენებს, უმეტეს შემთხვევაში ამგვარი მითითება არ ხდება. ამასთან ერთად, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან ერთად ვალდებულია, შეადგინოს შემაკავებელი ორდერის ოქმი[102], რომელშიც შესაძლებელია, ასახოს დამატებითი ინფორმაცია ძალადობის ფაქტის შესახებ, დამატებით ინფორმაციას კი სწორედ ძალადობის სოგი-ს ნიშნით განხორციელების/ჩადენის ფაქტი შეიძლება წარმოადგენდეს.

შემაკავებელი ორდერის ოქმში დამატებითი ინფორმაციის სახით ძალადობის სოგი-ს ნიშნით განხორციელების დაფიქსირების შესაძლებლობის მიუხედავად, **მნიშვნელოვანია, ორდერის ფორმასა და ოქმში გაჩნდეს სპეციალური ველი, რომელიც ძალადობის სოგის ნიშნით განხორციელებაზე მიუთითებს და საჭიროების შემთხვევაში პოლიციის თანამშრომელი უზრუნველყოფს მის მონიშვნას.** აღნიშნული მექანიზმი, ლგბტ თემის წევრის მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, შეუწყნარებლობის ნიშნის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა, რაც მომხდარ ფაქტზე გამოძიების დაწყების შემთხვევაში შესაძლოა გამომძიებლისთვის/პროკურორისთვის სიძულვილის მოტივის გამოკვეთის საორიენტაციო საშუალებას, მსხვერპლისა და მოძალადის ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციაზე პასუხისმგებელი პირისთვის კი საჭიროებების უკეთ განსაზღვრის შესაძლებლობას წარმოადგენდეს. მსგავსი მითითება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამცავი ორდერის შემთხვევაში, რომელიც შესაძლოა, ითვალისწინებდეს მოძალადის ვალდებულებას, გაიაროს ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული კურსი და მნიშვნელოვანია, რომ კურსის ფარგლებში გათვალისწინებული იქნეს მოძალადის მიერ ჩადენილი ქმედების, გამოწვეული ზიანისა და ლგბტ თემის წევრების მიმღებლობის საკითხის გაცნობიერება.

შემაკავებელ და დამცავ ორდერში სოგი-ს ნიშნის მიუთითებლობა გავლენას ახდენს სტატისტიკის წარმოების სპეციფიკაზე. ადამიანის უფლებათა დაცვის 2016-2017 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის 13.2.4.1. ველის თანახმად[103], საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკისრია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ოჯახში ჩადენილი ძალადობის შესახებ სპეციალური სტატისტიკისა და ანალიზის წარმოების ვალდებულება, თუმცა სამინისტრო ამ დრომდე შემაკავებელი ორდერების გამოცემის ზოგად სტატისტიკას აწარმოებს. სტატისტიკური მონაცემები გროვდება მოძალადის/მსხვერპლის სქესის, ძალადობის ფორმებისა და რეგიონების მიხედვით[104], ხოლო ძალადობის განმაპირობებელი სპეციფიკური ნიშნის, მათ შორის სოგი-ს ნიშნის გამოკვეთა და ასახვა არ ხდება.

2015 წლიდან საქართველოში პოლიციის თანამშრომლების მიერ შემაკავებელი ორდერების გამოცემის ზრდის მიუხედავად[105], პრაქტიკაში კვლავ პრობლემად რჩება შემაკავებელი ორდერის გამოცემა და პოლიციის თანამშრომელთა სათანადო რეაგირება, როცა საქმე ლგბტ თემის წევრს ეხება.

არასამთავრობო ორგანიზაციების სამართალწარმოების პრაქტიკაში არსებული რამდენიმე საქმე ნათლად აჩვენებს ლგბტ თემის წევრის ან ამგვარად აღქმული პირის მიმართ პოლიციის

---

[101] EMC-ის, თანასწორობის მოძრაობის, WISG-ის სამართალწარმოების პრაქტიკა ოჯახში ძალადობის საქმეებზე

[102] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 2 ივნისის ბრძანება N281, დანართი 2

[103] იხ. ადამიანის უფლებათა დაცვის 2016-2017 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა

[104] იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი
შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის პრეზენტაცია ოჯახში ძალადობის სტატისტიკაზე , იხ:
http://police.ge/files/pdf/statistika%20da%20kvlevebi_new/geo/sxvadasxva%20statistika/2015/%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A8%E1%83%98%20%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%202015%E1%83%AC..pdf

[105] ზრდის მაჩვენებელი სტატისტიკური მონაცემები იხ. http://police.ge/ge/home

თანამშრომელთა არასათანადო რეაგირების, შემაკავებელი ორდერის გამოცემისა და სხვა სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებისგან თავის შეკავების პრობლემას.

ერთ-ერთ საქმეში, სადაც ლესბოსელი ქალის მიმართ ოჯახში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ფიქსირდებოდა[106], პოლიციის თანამშრომლებმა მსხვერპლი და მისი მშობლები ერთად წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც მსხვერპლს არწმუნებდნენ, რომ უარი ეთქვა ოჯახის წევრების მიმართ სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებაზე.

ერთ-ერთ საქმეში კი დაფიქსირდა შემაკავებელი ორდერის გამოცემა არარელევანტური პირის მიმართ. კერძოდ, **ლგბტ თემის წევრს,[107] რომელიც ოჯახის წევრების მხრიდან (დედისგან და მამინაცვლისგან) სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე სისტემატურ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას ექვემდებარებოდა/განიცდიდა, ოჯახის წევრებმა უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება.** მომხდართან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება და პოლიციის თანამშრომლებმა გამოსცეს შემაკავებელი ორდერი, მხოლოდ მოხუცი ბებიის მიმართ, მსხვერპლის მიმართ ძალადობის ჩამდენი პირების (დედისა და მამინაცვლის) მიმართ კი ქმედების შემზღუდველი ღონისძიება არ განხორციელებულა, დაწყებული გამოძიებაც უშედეგოდ მიმდინარეობს.

2.2.2. ოჯახში ძალადობის სისხლისსამართლებრივი რეგულირება და პრაქტიკული ხარვეზები

ა) ინსტიტუციური ხარვეზები

ლგბტი თემის წევრის მიმართ ოჯახში ძალადობის პრობლემას სისხლის სამართალიც ზოგადი წესის შესაბამისად არეგულირებს, თუმცა, ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმებისგან განსხვავებით, სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობა ჩადენილი ქმედების, მათ შორის ოჯახში ძალადობის მოტივის, იდენტიფიცირებისა და მის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამძიმების შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, კრიმინალიზებულია ოჯახში ძალადობა 126^1 მუხლით და ამავე დროს მე-11^1 მუხლით გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ოჯახში ძალადობა, როგორც კონკრეტული დანაშაული, რომელიც ობიექტურად სხვადასხვა ქმედებით შეიძლება გამოიხატოს და ოჯახური დანაშაული (ოჯახში ჩადენილი დანაშაული) – სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულები, რომლებიც ჩადენილია ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ. მე-11^1 მუხლი ჩამოთვლის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ დანაშაულებს და მათ მიიჩნევს ოჯახურ დანაშაულად, თუ ჩადენილია ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორე წევრის მიმართ (ნორმა კოდექსის მიზნებისთვის ოჯახის წევრის ცნებასაც განმარტავს). ამასთან ერთად, ნორმა ადგენს საგამოძიებო ორგანოების ვალდებულებას, ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრის პროცესში მიუთითოს მე-11^1 მუხლზე.[108]

---

[106] ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ მიერ წარმოებული საქმე

[107] ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ მიერ წარმოებული საქმე

[108] უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული ნორმა არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განმსაზღვრელ ნორმას. მისი საშუალებით კანონმდებელი სხვა დანაშაულებისგან ოჯახში ჩადენილ დანაშაულებს გამოყოფს და ოჯახური დანაშაულის მონაცემების აღრიცხვის მიზნით იყენებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ სტამბოლის კონვენციის რატიფიკაციის ფარგლებში, კონვენციის 46-ე მუხლიდან გამომდინარე[109], რომელიც სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, დანაშაულის ოჯახში ჩადენა დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნიოს, 2017 წლის 4 მაისიდან ამოქმედდა 53 [1] მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც ოჯახში ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამძიმების საშუალებას იძლევა. ნორმის მიხედვით, *„დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, არასრულწლოვნის მიმართ ან მისი თანდასწრებით, განსაკუთრებული სისასტიკით, იარაღის გამოყენებით ან იარაღის გამოყენების მუქარით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის“.*

მითითებული დანაწესი წარმოადგენს სასამართლოს საორიენტაციო ნორმას, რომელსაც აკისრია ვალდებულება, რომ ოჯახში ჩადენილი კონკრეტული დანაშაულის შემთხვევაში გამოიყენოს სასჯელის უფრო მძიმე ფორმა და ზომა, ვიდრე გამოიყენებდა მაშინ, თუ დანაშაული ჩადენილი არ იქნებოდა ოჯახში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ოჯახში ძალადობისთვის, რაც გამოიხატება ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობაში, სისტემატურ შეურაცხყოფაში, შანტაჟში ან დამცირებაში, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. მითითებული მუხლის მიზნებისთვისაც, კანონმდებლობით დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად, ოჯახის წევრად მიიჩნევა: *დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას*[110].

დასახელებული მუხლის შემთხვევაში ძალადობის ცნებაში[111] იგულისხმება მხოლოდ ფიზიკური ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ძალადობა ან იძულება, რომელსაც შედეგად არ უნდა მოჰყვეს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებაც კი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში ძალადობას სისხლის სამართლის კოდექსით რომელიმე მუხლით გათვალისწინებული შედეგი მოჰყვება, მაგალითად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, მკვლელობა, გაუპატიურება და ა.შ. ქმედება დაკვალიფიცირდება შესაბამისი მუხლით, თუმცა იმის აღსანიშნავად, რომ დანაშაული ოჯახშია ჩადენილი, კონკრეტულ მუხლთან ერთად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრის პროცესში უნდა მიეთითოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11[1] მუხლი.

კანონმდებლობის მიერ ოჯახში ძალადობის რეგულირების ორი სხვადასხვა საკანონმდებლო მეთოდიკა პრაქტიკაში გარკვეულ ბუნდოვანებასა და კვალიფიკაციის სწორად განსაზღვრის პრობლემებს

---

[109] იხ. „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროსაბჭოს კონვენციის 46-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/1680462534

[110] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 [1] მუხლი.

ერთიანი საოჯახო მეურნეობის განმარტება იხილეთ ზემოთ.

[111] ლელა მეტრეველი, „ოჯახში ძალადობის სისხლისსამართლებრივი დახასიათება“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2016, გვ. 105, ხელმისაწვდომია: http://www.library.court.ge/upload/martlmsajuleba-da-kanoni-2016w-n1.pdf

აქვე, გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 29 მაისის განაჩენი N1/176-17

წარმოშობს. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი ერთმანეთისგან მიჯნავს სსკ-ის 126-ე პრიმა მუხლით რეგულირებულ „ოჯახში ძალადობას“, სხვა ნორმებში ოჯახში ძალადობის ფორმის რეგულირებისგან ხშირად საგამოძიებო ორგანოები ირჩევენ კვალიფიკაციის უფრო მსუბუქი ფორმის გამოყენებას, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა კონკრეტულ საქმეში კონკრეტული სისხლისსამართლებრივი ნორმით რეგულირებული ქმედება უფრო რელევანტური იყოს. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, სადაც დაზარალებული მამის მხრიდან ძალადობასა და სიცოცხლის მოსპობის განგრძობით მუქარას ექვემდებარებოდა, სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე, ქმედების კვალიფიკაცია 126-ე პრიმა მუხლის შესაბამისად მოხდა და არა 151-ე მუხლის, რომელიც მუქარას კონკრეტულად განმარტავს. **აღნიშნული მიდგომა ასევე ართულებს ოჯახში ძალადობის ფორმების ზუსტ შესწავლასა და ანალიტიკასაც, რადგანაც ზოგადი ხასიათის ნორმაში, როგორიც 126-ე პრიმა მუხლია, იკარგება ძალადობის ფორმისა და ინტენსივობის ხარისხის შეფასების შესაძლებლობები, შესაბამისად, რთულდება მასთან ბრძოლის სწორი სტრატეგიის დასახვის გზებიც.**

ზემოაღნიშნულის დასტურს წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 150[1]-ე მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის ერთ-ერთი ფორმა – ქორწინების იძულებაც. კოდექსში აღნიშნული ნორმის შემოტანა განაპირობა სტამბოლის კონვენციის რატიფიკაციის პროცესში ქართული კანონმდებლობის კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობის პროცესმა.[112] სტამბოლის კონვენცია აღიარებს ქალებისა და გოგონების იძულებით ქორწინების პრობლემატიკას, სახელმწიფოებს ავალდებულებს, მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო თუ სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ წინასწარ განზრახული ქმედება მიმართული მოზრდილი ადამიანის ან ბავშვის იძულებისაკენ, შევიდეს ქორწინებაში, კრიმინალიზებული იყოს[113]. მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 150-ე პრიმა მუხლი დასჯადად აცხადებს რეგისტრირებული თუ არარეგისტრირებული ქორწინების იძულებას და ნეიტრალურად შეეხება როგორც არასრულწლოვანი, ისე სრულწლოვანი პირისათვის ქმედების (ქორწინების) იძულებას[114], ის მეტწილად არასრულწლოვანი მსხვერპლი გოგონების შემთხვევაში გამოიყენება.

ზემოაღნიშნული ნორმის ინტერპრეტაციისა და მისი დანაშაულებრივ ქმედებაზე მისადაგების დამკვიდრებული პრაქტიკა ყურადღების მიღმა ტოვებს ოჯახში ძალადობის ისეთ შემთხვევებს, რომელიც იძულებითი ქორწინების ფორმით გამოიხატება. კერძოდ, იძულებითი ქორწინების პრობლემას ასევე ქვემდებარებიან ლგბტ თემის წევრები, განსაკუთრებით ლესბოსელი ქალები. საზოგადოების სტერეოტიპული წარმოდგენებიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე, ქორწინება ქალისთვის სავალდებულო პრაქტიკად განიხილება. ამასთან, ოჯახის წევრები ლესბოსელი ქალის ჰეტეროსექსუალურ ქორწინებაში შესვლას მისი ერთგვარი „განკურნების“ საშუალებადაც კი განიხილავენ. მაგალითად, ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ მიერ წარმოებულ ერთ-ერთ საქმეში, **აღინიშნებოდა ოჯახში ძალადობა ლესბოსელ ქალზე (დედის მხრიდან), რომელსაც**

---

[112] იხ. განმარტებითი ბარათი, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/11077?

[113] იხ. „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროსაბჭოს კონვენციის 27-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/1680462534

[114] როგორც იძულების კერძო შემთხვევა, რომელიც გულისხმობს ადამიანის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვას, ესე იგი მის ფიზიკურ ან ფსიქიკურ იძულებას, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისაგან თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება. ამასთან ერთად, იძულების განმახორციელებელ პირს შესაძლოა, წარმოადგენდეს იძულებას დაქვემდებარებულ პირზე დაქორწინების მსურველი პიროვნება ან ოჯახის წევრი. მნიშვნელოვანია, რომ მითითებული დანაშაულის შემადგენლობა გულისხმობს ქორწინების შენარჩუნების იძულებასაც , როცა ადამიანს მისი ნების მიუხედავად, არ აძლევენ საშუალებას, უარი თქვას არასასურველ ქორწინებაზე. იხ: ბაჩანა ჯიშკარიანი, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, თბილისი, 2016, გვ. 232

აიძულებდნენ ქორწინებას. ლესბოსელი ქალის მიმართვის საფუძველზე სასამართლომ გამოსცა დამცავი ორდერი და ძალადობის მსხვერპლი თავშესაფარში გადაიყვანეს.[115]

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ საქმეში სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ოჯახში ძალადობის კონკრეტული და არსებითად სპეციფიკური ფორმა აღინიშნებოდა, ის ვერ/არ გამოიკვეთა სამართალდამცავების მიერ, რაც ართულებს სექსუალური ორიენტაციის ნიშნით სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სხვადასხვა ფარული ფორმის იდენტიფიცირებას, სტატისტიკურად დამუშავებასა და ანალიზს.

უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებობს იმგვარი ხარვეზებიც, რომლებიც ნორმის არაამომწურავი შინაარსის გამო ზღუდავს რეგულირების არეალს და პრაქტიკულ დონეზეც შეუძლებელს ხდის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე სპეციფიკური ნორმის გამოყენებას, მაგალითად 156-ე მუხლის (დევნა) შემთხვევაში. როგორც სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ინტერვიუები მოწმობს, ხშირია ოჯახის წევრების მხრიდან სავარაუდო მსხვერპლის დევნა, თუმცა ვერ ხერხდება მისი სწორად კვალიფიკაცია, რადგანაც ნორმაში დევნის საფუძვლებს შორის არ გვხვდება მითითება პირის სექსუალურ ორიენტაციაზე, გენდერულ იდენტობასა და გენდერულ გამოხატვაზე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 156-ე მუხლის მიღმა არის ცალკეული მუხლები, რომელთა დისპოზიცია არ ითვალისწინებს ქმედებას სოგი-ს ნიშნით, მაშინ, როცა დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს სხვა დაცული ნიშნით დანაშაულებრივ ქმედებას. ამ კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ შსს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის საკანონმდებლო ინიციატივის შედეგად[116] ცვლილება იგეგმება სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე ნორმაში და სხვა დაცულ ნიშნებთან ერთად დამამძიმებელ გარემოებად განიხილება გენდერული იდენტობის ნიშნით დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცვლილება შედის ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში მოთავსებულ რამდენიმე მუხლში, რომლებიც არსებითად ჯანმრთელობის დაზიანებას ეხება და ლგბტ თემის წევრების მიმართ ჩადენილი დანაშაულების ანალიზით დგინდება, რომ მსგავსი სახის დანაშაულებს ნაკლებად ჩადიან თემის წევრების მიმართ და უმეტესად აღინიშნება სხვა სახის ქმედებები. მათ შორის ყველაზე ხშირია სწორედ დევნის ფაქტები (ნათესავების მხრიდანაც). შესაბამისად, მხოლოდ მითითებულ თავში ცვლილების შეტანა ვერ აღმოფხვრის პრობლემას და თემის წევრების მიმართ დევნის ფაქტები კვლავ შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების მიღმა დარჩება. ამასთან, პრობლემურია დამამძიმებელ გარემოებებში მხოლოდ „გენდერული იდენტობის“ დამატების ინიცირებაც მაშინ, როდესაც ამ და სხვა სახის დანაშაულებრივ ქმედებებს სექსუალური ორიენტაციის ნიშნითაც ექვემდებარებიან.

ყურადსაღებია, რომ ლგბტ სათემო ორგანიზაციებისა და EMC-ის სამართალწარმოების პრაქტიკის მიხედვით, ადმინისტრაციულსამართლებრივი რეგულირებების პარალელურად იშვიათად გამოიყენება სისხლისსამართლებრივი მექანიზმები, მაგალითად, დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოწერისას პრაქტიკაში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც მიუხედავად ქმედების სიმძიმისა, შესაძლო მოძალადის მიმართ არ დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა. ამასთან, EMC-ის მიერ წარმოებულ ერთ-ერთ საქმეში მსხვერპლს, რომელსაც ლესბოსელი ქალი წარმოადგენდა, გამომძიებელი უტოვებდა შესაძლებლობას, აერჩია, სურდა თუ არა მამის (შესაძლო დამნაშავის) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, თუ მისთვის საკმარისი იქნებოდა დამცავი ორდერის გამოწერა.

---

[115] აიპ ,,თანასწორობის მოძრაობა“-ის სამართლებრივი პრაქტიკა

[116] იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი

ბ) ოჯახში ძალადობის საქმეებში სოგი-ს ნიშნით სიძულვილის მოტივის გამოკვეთის პრობლემატიკა

ლგბტ პირთა მიმართ ოჯახში ძალადობის სისხლისსამართლებრივი რეგულირების პროცესში ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას სამართალდამცავი ორგანოების მიერ სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობაზე დაფუძნებული სიძულვილის მოტივის გამოკვეთა წარმოადგენს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმებისგან განსხვავებით, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა აწესრიგებს ჰომო/ტრანსფობიური დანაშაულების ცალკეულ შემთხვევებს, სოგი-ს ნიშნის საფუძველზე დანაშაულებრივი ქმედებისთვის სასჯელის დამძიმების შესაძლებლობის დადგენის გზით. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **53[1] მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულია კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, თუ დანაშაულის ჩადენილია inter alia, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის საფუძველზე.** აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში ძალადობა განპირობებულია სოგი-ს ნიშნით, საგამოძიებო ორგანოს აკისრია ვალდებულება, გამოკვეთოს დასახელებული მოტივი, მოახდინოს მისი დემონსტრირება სასამართლოს წინაშე, რომელიც, თავის მხრივ, შეუწყნარებლობის მოტივისა და ოჯახში ჩადენილი დანაშაულის, როგორც დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ადამიანის უფლებათა დაცვის 2016-2017 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის 13.2.4.1. ველის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურას დაეკისრა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი ოჯახში ძალადობის ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფის ვალდებულება, რისთვისაც ერთ-ერთ კრიტერიუმად გათვალისწინებულია სპეციალური სტატისტიკისა და ანალიზის წარმოება. ლგბტ თემის წევრების მიმართ ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის შემთხვევებში სიძულვილის მოტივის გამოკვეთისა და სამართლებრივ დოკუმენტებში ასახვის ტენდენციის შესაფასებლად EMC-იმ საქართველოს მთავარი პროკურატურიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროდან და თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოითხოვა ინფორმაცია გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და გამამტყუნებელი/გამამართლებელი განაჩენების დადგენის შესახებ, 2014-2017 წლებში ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების ისეთ შემთხვევებზე, რომლებიც ჩადენილია სოგი-ს ნიშნით. აღნიშნულის მიუხედავად, სამივე უწყებიდან EMC-ის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის პასუხად ცნობილი გახდა, რომ **სტატისტიკა იწარმოება სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული მუხლების (მათ შორის, დისკრიმინაციის დასჯადი ნორმებით) მიხედვით და არ არის გათვალისწინებული კონკრეტულად სოგი-ს ნიშნით ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში დამოუკიდებელი სტატისტიკის წარმოება**[117].

აღნიშნული აჩვენებს, რომ მიუხედავად შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მუშაობის დადებითი ტენდენციისა იმის შესახებ, რომ სოგი-ს ნიშნის გამოკვეთის პრობლემის მასშტაბი მცირდება, რასაც დეპარტამენტისა და პროკურატურის მიერ წარმოებული ზემოთ მითითებული სტატისტიკაც აჩვენებს, **მოტივის იდენტიფიცირების ხარვეზები კვლავ მწვავედ რჩება ოჯახში ძალადობის შემთხვევებში.**

---

[117] შინაგან საქმეთა სამინისტროს 03/08/2017 საპასუხო წერილი N: MIA 2 17 01852760,
მთავარი პროკურატურის 15/08/2017 საპასუხო წერილი N13/53925
თბილისის საქალაქო სასამართლოს 07/08/2017 საპასუხო წერილიN3-0406/2037956

ლგბტი თემის წევრების მიმართ ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის შემთხვევებზე სრულყოფილი სამართლებრივი პრაქტიკის ანალიზის შეუძლებლობის მიუხედავად, EMC-ის სამართალწარმოებაში არსებული საქმეების ანალიზი და ლგბტ სათემო ორგანიზაციების პრაქტიკა შესაძლებლობას იძლევა სოგი-ს ნიშნით ოჯახში ძალადობაზე სახელმწიფოს მიერ სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენების პროცესში და მოტივის მითითებისას არსებული ხარვეზული პრაქტიკის გარკვეული ასპექტების ილუსტრირება მოხდეს.

არასამთავრობო ორგანიზაციების პრაქტიკა პროკურატურისა და საგამოძიებო ორგანოს მიერ დაზარალებულისთვის არაეთიკური კითხვების დასმის, მეორეული ვიქტიმიზაციისა და სიძულვილის მოტივის გამოკვეთაზე უარის თქმის პრობლემას კრიტიკულად წარმოაჩენს. გარკვეულ შემთხვევებში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, მიუხედავად მსხვერპლის მიერ აშკარა მითითებისა, რეაგირებისა და გამოკითხვის ოქმში განზრახ არ მიუთითებენ ძალადობის მიზეზს, კერძოდ, შესაძლო დამნაშავის მხრიდან გამოხატულ ჰომო/ტრანსფობიურ დამოკიდებულებას.

პრაქტიკაში ასევე ჩანს, საქართველოს პროკურატურის მიერ მომზადებული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების შესახებ ინსტრუქციაზე დაყრდნობით, მოტივის გამოსაკვეთად ისეთი წინაპირობების მოთხოვნაც, რომელიც არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს და ხშირად ართულებს მოტივის იდენტიფიცირების პროცესს, მაგალითად, 2017 წლის სექტემბერში **არასრულწლოვან გ.ჩ.-ს** ასოციაციური სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დედამ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. საქმის ფაქტობრივი გარემოებები აჩვენებდა, რომ არასრულწლოვანი იმყოფებოდა ერთ-ერთი ლგბტ სათემო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, სახლში დაბრუნებულს დედამ უყვირა, „რა გინდოდა მაგ „პიდარასტების“ შეკრებაზეო“ და სცემა. აღნიშნულ გარემოებასთან ერთად ერთ-ერთი მოწმე მიუთითებდა, რომ მომხდარ ინციდენტამდე გ.ჩ.-ს დედა უკმაყოფილო იყო გ.ჩ.-ს ჩაცმის სტილით, ქცევით და ამბობდა, რომ ის ქალივით იქცეოდა და იცვამდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გარემოებები ნათლად მიუთითებდა საქმეში სიძულვილის მოტივის არსებობაზე, პროკურატურამ არ მიიჩნია საკმარისად და მოტივის დაზუსტების მიზნით, დამატებითი გამოკითხვის ფარგლებში გამომძიებელმა დაჟინებით მოსთხოვა დაზარალებულს, განემარტა, იყო თუ არა ლგბტი თემის წევრი. დაზარალებულის მხრიდან უარის შემდეგ, თავდაპირველად პროკურორმა უარი თქვა საქმეში მოტივის გამოკვეთაზე და ეს მხოლოდ ადვოკატის მოთხოვნის შემდგომ გააკეთა.[118]

აღნიშნული წინაპირობის დადგენა წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტთან და, ამავე დროს, წარმოშობს არსებით რისკს, რომ დაზარალებულმა არ მიაწოდოს სწორი ინფორმაცია კონფიდენციალობისა და მეორადი ვიქტიმიზაციის შიშის ქვეშ. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირების მიზნით მნიშვნელობა არ აქვს, დაზარალებულს რეალურად ახასიათებს თუ არა ნიშანი, რომლის გამოც ხდება დანაშაული. ამ შემთხვევაში **მთავარია ბრალდებულის აღქმა და ამგვარი აღქმის საფუძველზე ქმედების ფაქტი.[119]** ბრალდებულის აღქმაზე შესაძლოა, მიუთითებდეს დანაშაულამდე, დანაშაულის დროს ან შემდგომ გამოყენებული ტერმინოლოგია, ზეპირი განცხადებები, რომელიც შეიცავს ნეგატიურ წინასწარგანწყობას იმ იდენტობის ან ჯგუფის მიმართ, რომელსაც ბრალდებული სავარაუდოდ მიაკუთვნებს დაზარალებულს[120]. მოცემულ შემთხვევაში დედის მხრიდან კონფლიქტის დასაწყისში ყურადღების გამახვილება, რომ მისი შვილი იმყოფებოდა ლგბტი ადამიანების შეკრებაზე, ასევე მოწმის მიერ გამოკითხვის ოქმში

---

[118] აღნიშნული საქმე EMC-ის წარმოებაშია

[119] ჯალაღანია ლ. „ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის შესახებ“, EMC, 2017

[120] იქვე

დაფიქსირებული გარემოება, რომლითაც დასტურდება, რომ დედა კონფლიქტამდეც აკეთებდა აქცენტს, მისი აღქმით, შვილის არაჰეტერონორმატიულ სექსუალურ ორიენტაციაზე, მიუთითებს საქმეში სიძულვილის მოტივის (ასოციაციური სექსუალური ორიენტაციის ნიშნით) იდენტიფიცირების შესაძლებლობაზე.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მოტივის გამოკვეთის ტექნიკური თუ პოლიტიკური სირთულეების კვლევა არ მომხდარა, შესაძლოა, მოტივის იდენტიფიცირების პრობლემა ასევე კავშირში იყოს სამართალდამცავი სისტემის მიერ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ფენომენის სრული გააზრების ნაკლებობასთან. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები მეტწილად მესამე (უცხო) პირის მხრიდან მომდინარე ქმედებად აღიქმება და ხშირად არასწორად კონცეპტუალიზებულია, როგორც „სიძულვილი", ნეგატიური წინასწარგანწყობის ნაცვლად. გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ და მისი პრიორიტიზაცია დანაშაულებრივი ქმედების გამოკვლევის პროცესში აქცენტს მხოლოდ ოჯახში ძალადობაზე სვამს (განსაკუთრებით, ქალებზე), მისი გამომწვევი მიზეზების სიღრმისეული მოკვლევისა და ანალიზის გარეშე, რაც როგორც ჰეტეროსექსუალურ ოჯახში, ისე ოჯახის სხვა წევრების მხრიდან პირის სოგი-ს საფუძველზე ძალადობის შემთხვევებში კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს.

ქმედების სწორად კვალიფიკაციის პრაქტიკის ჩამოყალიბებას შესაძლოა, ხელს უშლიდეს ასევე სოგი-ს საფუძველზე ოჯახში ძალადობის ფაქტებზე მიმართვიანობის ნაკლებობა უშუალოდ მსხვერპლის მხრიდანაც, რომელსაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის, მსხვერპლის ემოციური კავშირი ოჯახთან და თავად სამართალდამცავი სისტემის მიმართ ნდობის ნაკლებობისა და კონფიდენციალობის დარღვევის შიში. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობა, მიუხედავად მსხვერპლის იდენტობისა, მიმართვიანობის ნაკლებობით ზოგადად ისედაც გამოირჩევა, ფარულია და მსხვერპლს უჭირს ემოციური კავშირის გადალახვა და პოლიციის ჩართვა, თუმცა იმ მსხვერპლის შემთხვევაში, რომელიც ძალადობას მისი ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით ექვემდებარება, ძალადობის ფაქტი კიდევ უფრო მძაფრია და დამატებითი ბარიერები იქმნება დახმარების მოსათხოვად, შიშის, სირცხვილის, გარიყვის, დადანაშაულებისა და განმეორებითი ვიქტიმიზაციის თავიდან არიდების გამო.

ოჯახში ძალადობის შემთხვევებში მოტივის იდენტიფიცირების ხარვეზები და ხშირად მისი არარსებობა გავლენას ახდენს ოფიციალური სტატისტიკის წარმოებასა და შემდგომ მასზე დაყრდნობით პრევენციული ზომების მიღების შესაძლებლობებზე. აღნიშნული ასევე მნიშვნელოვნად ართულებს მსგავსი დანაშაულების პრაქტიკის კვლევას და ამ სახის დანაშაულებთან დაკავშირებით გამოძიების სტანდარტების განსაზღვრის საშუალებას არ იძლევა.

სიძულვილის მოტივის გამოკვეთის პროცესში, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან არსებული პრაქტიკული ხარვეზების გარდა, კრიტიკულია სასამართლოს როლიც. სამართლებრივი პრაქტიკის მოძიების სირთულის მიუხედავად, EMC-თვის ხელმისაწვდომი აღმოჩნდა ქალის მიმართ ოჯახში ძალადობის საქმეზე დადგენილი რამდენიმე განაჩენი[121], რომელთა ანალიზიც აჩვენებს, რომ ქალის მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად განიხილება სქესზე დაფუძნებული დისკრიმინაციის ნიშანი და სასჯელი განისაზღვრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო განაჩენებში ოჯახში ძალადობა განხილულია დანაშაულის სახედ, რომელიც სცილდება ოჯახის ფარგლებს, აქვს სოციალური მნიშვნელობა და სახელმწიფოს უნდა

[121] გორის რაიონული სასამართლოს 29.05.2017 განაჩენი N1/176-17
გორის რაიონული სასამართლოს 09.09.2016 განაჩენი N1/274-16
გორის რაიონული სასამართლოს 18.01.2017 განაჩენი N1/456-16

ჰქონდეს შესაბამისი პოლიტიკა. მსგავსი მიდგომის გათვალისწინებით, კიდევ უფრო ცხადი ხდება, რომ სასამართლო გარკვეულ შემთხვევებში აცნობიერებს სქესის/გენდერული მოტივის გამოკვეთის მნიშვნელობას. ოჯახურ დანაშაულებზე სოგი-ს მოტივის გამოკვეთისა და სასჯელის დამძიმებაზე მსჯელობის არარსებობა კი მიუთითებს, რომ სასამართლოს მიერ ოჯახში ძალადობის საქმეებში სოგი-ს მოტივზე მსჯელობის პრობლემა მხოლოდ ტექნიკური შეუძლებლობით თუ ხარვეზით კი არ აიხსნება, არამედ შესაძლოა, აღინიშნებოდეს, ერთი მხრივ, პროკურატურის მხრიდან არსებული პრობლემა, რომელიც ბრალის შესახებ დადგენილებაში არ გამოკვეთს სოგი-ს მოტივს, ხოლო მეორე მხრივ, მოსამართლეთა არასენსიტიური დამოკიდებულება, პრობლემის მასშტაბის გაუაზრებლობა და ინფორმაციის არქონა.

გ) პოლიციის თანამშრომელთა არასენსიტიური დამოკიდებულება და მეორეული ვიქტიმიზაციის პრობლემა

ინტერვიუები ლგბტ თემის წევრებსა და მათ ადვოკატებთან აჩვენებს თემის წევრების მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევებში პოლიციის თანამშრომლების (გამომძიებლების) არასენსიტიურ დამოკიდებულებას, რაც უმეტესად დაზარალებულის გადარწმუნებაში, არაეთიკურ, შეუსაბამო შეკითხვებში გამოიხატება.[122]

არასამთავრობო ორგანიზაციების სამართალწარმოების პრაქტიკა აჩვენებს, რომ ლგბტქი თემის წევრების მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში პოლიციის თანამშრომლები, როგორც წესი, ნაკლებად სერიოზულად აღიქვამენ და ცინიკურ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ დაზარალებულის მიმართ, მომხდარ შემთხვევაზე ინფორმაციის მიღების მიუხედავად, ელოდებიან დაზარალებულსა და ოჯახის წევრებს შორის ფორმალურ შეთანხმებას, რაც ხშირად მხოლოდ სამართლებრივი მექანიზმებისგან თავის დაღწევის სურვილს წარმოადგენს, ძალადობის პრობლემა კი მომავალში კვლავ დგება.

საქმეთა დიდი ნაწილის ანალიზი ცხადყოფს, რომ სოგი-ს ნიშნით ჩადენილი ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლის შემთხვევაში დასახელებული ნიშნის გამოსაკვეთად პოლიციის თანამშრომელთა პირველი შეკითხვა, როგორც წესი, ეხება დაზარალებულის სექსუალურ ორიენტაციას, გენდერულ იდენტობას და სთხოვენ, დაადასტურონ არაჰეტერონორმატიული სექსუალური ორიენტაცია/იდენტობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც წესი, უარს ამბობენ სიძულვილის მოტივის გამოკვეთაზე. სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობაზე დასმული შეკითხვა (თუ დაზარალებული თავად არ მიუთითებს) იწვევს დაზარალებულის გაღიზიანებას და შიშს, რომ მისი პერსონალური მონაცემები გამჟღავნდება ან დაცინვის ობიექტი გახდება. ორიენტაციის გამჟღავნების შიში და დაზარალებულის მიმართ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან გამოვლენილი დამოკიდებულება მათ მეორეულ ვიქტიმიზაციას იწვევს და სამართალწარმოების სურვილს აკარგვინებს.

ლგბტ დაზარალებული პირების შემთხვევაში პოლიციისა თუ პროკურატურის თანამშრომლებთან კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია საქართველოს პროკურატურაში არსებულ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურს, რომლის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას[123] წარმოადგენს დაზარალებულის მომზადება საპროცესო მოქმედებების დროს

---

[122] ინტერვიუ ქეთი ბახტაძესთან (WISG), დიანა დავითაძესთან („თანასწორობის მოძრაობა“), ნინო ბოლქვაძესთან(„თანასწორობის მოძრაობა“), 2017 წელი

[123] იხ: http://pog.gov.ge/geo/witness

და მისი მეორეული ვიქტიმიზაციის შესაძლებლობის შემცირება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ დრომდე სამსახური ამ ფუნქციას ფაქტობრივად ვერ ასრულებდა და დაზარალებულთან კომუნიკაცია მხოლოდ სასამართლო სხდომების თარიღისა და ადგილის შეტყობინებით შემოიფარგლებოდა. 2018 წლის 4 ივნისის საკანონმდებლო ცვლილების შედეგად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში უშუალოდ გაიწერა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის ფუნქცია-მოვალეობები და 58 [1]-ე მუხლით დადგინდა, რომ მოწმისა და დაზარალებულის სისხლის სამართლის საქმეში ჩართვას უზრუნველყოფს პროკურორი და **ჩართვის მიზანია მოწმისა და დაზარალებულისთვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივება, დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის შემცირება, ხელახალი ვიქტიმიზაციისა და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება და გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპებზე მათი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.** ამასთან, 58 [2]-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების გარდა, სამსახურის ფუნქციას წარმოადგენს მოწმისა და დაზარალებულის მონაწილეობით წარმოებულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებზე დასწრება, მოწმის/დაზარალებულის ემოციური მხარდაჭერის მიზნით, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში კოორდინატორი მოწმესა და დაზარალებულს აწვდის ინფორმაციას მათთვის საჭირო იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო ან/და სხვა მომსახურების შესახებ და ეხმარება შესაბამის ორგანოსთან/ორგანიზაციასთან დაკავშირებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ინფორმაციით,[124] შსს-ს ბაზაზეც იგეგმება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის შექმნა, რომელთა ფუნქციაც იქნება უშუალოდ დაზარალებულებთან ყველა საჭირო კომუნიკაცია, მათი მომზადება და რევიქტიმიზაციის მინიმუმამდე დაყვანა. სამსახური არ შემოიფარგლება მხოლოდ ტექნიკურ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდებით.

გამომდინარე იქიდან, რომ ორივე უწყების მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი ცვლილება მოწმისა და დაზარალებულის მხარდამჭერ სერვისებზე პრაქტიკაში ინკლუზირებული სრულად არ არის, მათი ეფექტიანობის შეფასება ამ ეტაპზე EMC-ის მიერ ვერ ხერხდება.

3. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა უფლებები და გარანტიები

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა უფლებები, ერთი მხრივ, გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სამართლებრივი მექანიზმების შემუშავებას და ამ მექანიზმებით მსხვერპლის დაცვას, მეორე მხრივ კი, მსხვერპლთა/დაზარალებულთა რეაბილიტაციაზე ორიენტირებული სოციალური სერვისების უზრუნველყოფას და ოჯახში ძალადობის პრევენციას.

მსხვერპლთა/დაზარალებულთა მარეაბილიტირებელი ღონისძიებები უმეტესად შემოიფარგლება თავშესაფრების, კრიზისული ცენტრის მომსახურებით, სადაც შემდგომ ხდება სხვადასხვა სერვისის მიწოდება. ოჯახში ძალადობის პრევენცია კი გულისხმობს საგანმანათლებლო, საინფორმაციო კამპანიის წარმოებას და მოძალადის რესოციალიზაციაზე ორიენტირებული პროგრამების დანერგვას.

[124] აღნიშნული ინფორმაცია გაჟღერდა შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მიერ, თბილისში ორგანიზებულ პრეზენტაციაზე, 2018

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ არსებული სერვისები არ ითვალისწინებს ლგბტ თემის წევრების საჭიროებებს და სოგი-ს ნიშნით ოჯახში ძალადობის მსხვერპლთან მუშაობა ზოგადი მიდგომებით ხორციელდება.

ოჯახში ძალადობისგან დაცვის ადმინისტრაციულ, სისხლისსამართლებრივ და სამოქალაქოსამართლებრივ ღონისძიებებთან ერთად მსხვერპლის ინტერესების დაცვის კიდევ ერთ საშუალებას წარმოადგენს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის (შემდგომში მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის) მიერ მსხვერპლის სტატუსის მინიჭება. ზოგადად, მსხვერპლს სტატუსი მიენიჭება ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმების გამოყენების დამცავი და შემაკავებელი ორდერის გამოცემის გზით, ხოლო დაზარალებულის სტატუსი განისაზღვრება სისხლისსამართლებრივი მექანიზმის მეშვეობით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ დასახელებულთაგან არც ერთი მექანიზმი არ არის გამოყენებული, ოჯახში ძალადობის მსხვერპლს შეუძლია, მოითხოვოს სტატუსის მინიჭება. მსხვერპლის სტატუსის მინიჭება დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობით ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის განკუთვნილი უფლებებისა და გარანტიების მიღებასთან,[125] მათ შორის – თავშესაფარში განთავსებასთან.[126]

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა ფსიქოსოციალური, სამედიცინო და იურიდიული დახმარების მიზნით სახელმწიფო უზრუნველყოფს თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის მუშაობას. შესაბამისად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარსა და კრიზისულ ცენტრში მოხვედრისთანავე უნდა დაიწყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის შემთხვევის მართვის პროცესი[127], რაც გულისხმობს, რომ თავშესაფარში მოთავსებიდან 5 დღის განმავლობაში, ხოლო კრიზისულ ცენტრში მოთავსებიდან 2 დღის ვადაში უნდა მოხდეს მსხვერპლთან/დაზარალებულთან გასაუბრება და ფსიქოლოგიური, სოციალური, სამედიცინო, იურიდიული მომსახურების დაგეგმვა და განხორციელება.[128]

ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის, განსაკუთრებით კი ლგბტ დაზარალებულისათვის, კრიტიკული მნიშვნელობა აქვს **ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოიცავდეს:** ფსიქოლოგიურ კონსულტაციასა და რეაბილიტაციას; კრიზისულ ინტერვენციას; დახმარებას მომავლის პერსპექტივების განსაზღვრასა და საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის აღდგენაში; განათლების მიღების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას; ბენეფიციარის საჭიროებიდან გამომდინარე, სხვადასხვა სამსახურთან, სპეციალისტთან დაკავშირებასა და მომსახურების კოორდინაციას, რეფერირებას; დასაქმებაში დახმარებასა და ოჯახსა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას.

---

[125] უფლებებსა და გარანტიებზე ქვეთავი იხილეთ ქვემოთ.

[126] თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია სამ თვემდე ვადით, თუმცა ამ ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა, მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, ვადა გაგრძელდეს კიდევ სამი თვე.

[127] შემთხვევის მართვაში მონაწილეობს მულტიდისციპლინური გუნდი, რომელშიც შედის სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, იურისტი, მედდა, ძიძა, რომლებიც ახორციელებენ კრიზისული ცენტრის ბენეფიციარის შემთხვევის მართვას, ბენეფიციართან დაკავშირებით გამოვლენილი პრობლემ(ებ)ის იდენტიფიცირებას და მსჯელობენ პრობლემის დაძლევის გზებსა და საშუალებებზე.

[128] საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულის – ქუთაისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) შინაგანაწესი. აგრეთვე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულის – თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის შინაგანაწესი.

ბენეფიციართა უფლებები ნორმალური ყოფა-ცხოვრებისთვის აუცილებელი პირობებისა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის გარდა, მოიცავს კრიზისულ ცენტრსა და თავშესაფარში ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან დაცვის უფლებასაც. თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის შინაგანაწესები ადგენს როგორც დაწესებულების თანამშრომლების, აგრეთვე ბენეფიციარების ვალდებულებას, თავი შეიკავონ რაიმე ნიშნით დისკრიმინაციისგან[129]. დისკრიმინაციისგან დაცვის უფლება თავის თავში გულისხმობს კრიზისულ ცენტრსა თუ თავშესაფარში განთავსებული მსხვერპლის/დაზარალებულის უფლებას, ადეკვატურად შეფასდეს მისი საჭიროებები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა ისარგებლოს შესაბამისი სერვისებით.

აღნიშნული სერვისები კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საქმე ეხება სოგი-ის ნიშნით ოჯახში ძალადობის მსხვერპლს. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით,[130] **2014-2017 წლებში მათი მომსახურებით ისარგებლა 11 ბენეფიციარმა,** რომელთაც „განსხვავებული სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა“ ჰქონდათ, თუმცა რაიმე სპეციფიკური პროგრამა, სერვისი, რომელიც შესაძლოა შეთავაზებული იქნეს თავშესაფრის მიერ, არ არსებობს.

ამასთან ერთად, პრობლემურია თავად თავშესაფრის პერსონალის ინფორმირებულობა ლგბტ საკითხებზე. პერსონალს, როგორც წესი, არ გააჩნია ცოდნა და გამოცდილება ლგბტ მსხვერპლთან ურთიერთობის.[131] სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებში სახელმწიფო დაწესებულებებს თანამშრომლები არ გადაუმზადებია. როგორც „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ წერილიდან ჩანს, მათ ჩაუტარდათ მხოლოდ ორი ტრენინგი, რომელიც შეიცავდა ლგბტ ჯგუფის საჭიროებებს – 2015 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია იდენტობის“ ტრენინგი „ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების სოციალური, სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ასპექტები“, რომელიც გარკვეულწილად მოიცავდა სტიგმატიზებულ ჯგუფებთან მუშაობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ადვოკატირების მნიშვნელობის საკითხებს, ხოლო 2016 წელს – არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ ტრენინგი „სქესის, გენდერის, ორიენტაციის“ საკითხებთან დაკავშირებით.[132]

თავშესაფრის პერსონალთან დამატებითი მუშაობისა და სენსიტიურობის გაზრდის საჭიროებას ადასტურებს საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშიც, რომელშიც აღნიშნულია ლგბტ ჯგუფის წევრების მიერ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებითა და სხვა სერვისებით სარგებლობის პრეცედენტების შესახებ. სახალხო დამცველი ანგარიშში აღნიშნავს, რომ „2017 წელს რამდენიმე შემთხვევაში ლგბტ+ თემის წარმომადგენლებმა ისარგებლეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებით, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სერვისის მიღება მათთვის კვლავ დაკავშირებულია რიგ ბარიერებთან“, სახალხო დამცველი გასცემს რეკომენდაციას, „დაწესებულებამ მაქსიმალურად უზრუნველყოს პერსონალის კვალიფიკაციისა და მგრძნობელობის ამაღლება.“[133]

---

[129] იქვე

[130] იხ. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის საპასუხო წერილი, 31.10.17

[131] საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში „ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა“, გვ. 49

[132] იხ. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის საპასუხო წერილი, 31.10.17

[133] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2017 წელი, გვ. 149

უნდა აღინიშნოს, რომ დისკრიმინაციის პრევენციისა და შემთხვევის ეფექტიანად მართვისთვის მნიშვნელოვანია კრიზისული ცენტრის პერსონალის გადამზადებაც სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებზე, რათა გააზრებული იქნეს თემის წევრი ბენეფიციარის საჭიროებები და მხოლოდ აღნიშნულის შემდგომ დაიგეგმოს მასთან მუშაობის ინდივიდუალური გეგმა.

3.1. არასრულწლოვანი მსხვერპლის/დაზარალებულის დაცვის გარანტიების ხარვეზული ასპექტები

ოჯახში ძალადობასთან მიმართებით გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება არასრულწლოვანი მსხვერპლის მიმართ გასატარებელი ღონისძიებები, რაც უმეტესად დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული არასრულწლოვნის სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ გადაყვანასა და სხვადასხვა მომსახურებაში ჩართვასთან. არასრულწლოვან მსხვერპლთან/დაზარალებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენს სოციალური მომსახურების სააგენტო[134], რომელიც სოციალური მუშაკების მეშვეობით აფასებს ბავშვზე ოჯახში ძალადობის შემთხვევას და რეაგირებს მასზე, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში მართლმსაჯულების ორგანოების წინაშე საპროცესო წარმომადგენლის სახით უზრუნველყოფს არასრულწლოვანი დაზარალებულის ინტერესების დაცვას.[135]

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, არასრულწლოვნის მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმების სახით შესაძლოა, გამოყენებული იქნეს შემაკავებელი და დამცავი ორდერი, რომელთა საფუძველზე და, აგრეთვე, სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, როგორც უკიდურესი ზომით, არასრულწლოვანი განცალკევდეს მოძალადე მშობლისგან, სხვა კანონიერი წარმომადგენლისგან ან ნებისმიერი სხვა მოძალადისგან.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ჩართულობის ანალიზისა და თავშესაფრით სარგებლობის პრაქტიკის კვლევის მიზნით, EMC-მ მიმართა აღნიშნულ სააგენტოს, საიდანაც EMC-ის ეცნობა,[136] რომ 2016 წელს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ოჯახში ძალადობის მხოლოდ ორ შემთხვევაში მიმართეს სოციალური მომსახურების სააგენტოს. ორივე შემთხვევაში არასრულწლოვნები გადაიყვანეს ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებაში, თუმცა ერთ-ერთმა არასრულწლოვანმა მოგვიანებით დატოვა დაწესებულება და ამ დრომდე არ უმხელს სოციალურ მუშაკს თავის ადგილსამყოფელს. 2017 წელს ასევე ორი შეტყობინება შევიდა სოციალური მომსახურების სააგენტოში და ერთი არასრულწლოვანი განთავსდა სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ. აღნიშნული ცხადყოფს, რომ არასრულწლოვნები ან მათი მხარდამჭერები იშვიათად მიმართავენ სამართალდამცავ ორგანოს თუ სოციალური მომსახურების სააგენტოს დახმარების აღმოსაჩენად.

---

[134] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №190/ნ ბრძანება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილება №437

[135] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 50

[136] სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 9 აგვისტოს წერილი N04/51617

ყურადსაღებია, რომ არასრულწლოვანი დაზარალებულის მიმართ საპროცესო წარმომადგენლად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომლის (სოციალური მუშაკის) დანიშვნის შემთხვევაში, კანონმდებლობა არ აკონკრეტებს სოციალური მუშაკის მოქმედების ინსტრუქციას[137] (მოქმედების ინსტრუქცია ამჟამად შემუშავების პროცესშია) და შემთხვევის წარმართვა თავშესაფარში განთავსებით, ინდივიდუალური გეგმის შედგენითა და არასრულწლოვანზე ზედამხედველობის ზოგადი წესებით შემოიფარგლება.

თუმცა არსებობს ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციის მექანიზმიც, რომელიც ლგბტ მსხვერპლის შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების[138] თანახმად, სპეციალიზებულ დაწესებულებაში განთავსების დღიდან იწყება ბავშვის რეინტეგრაციის პროცესი, რაც არსებითად მოიცავს რეინტეგრაციის შესაძლებლობის განსაზღვრას და რეინტეგრაციისთვის მომზადებას. რეინტეგრაციის შესაძლებლობა განისაზღვრება სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის, მისი ბიოლოგიური ოჯახის, შესაძლო მეურვის/მზრუნველის შეფასებისა და დადებითი დასკვნის საფუძველზე,[139] ხოლო დადებითი დასკვნის გაცემა დაკავშირებულია ბიოლოგიური ოჯახის, შესაძლო მეურვის/მზრუნველის მიერ ბავშვის ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებისა და ძალადობისაგან დაცვის უზრუნველყოფასთან,[140] რომლის მიღების შემდგომ სოციალური მუშაკი იწყებს ბავშვისა და მშობლის/მეურვე/მზრუნველის მომზადებას რეინტეგრაციის პროცესისთვის.

ზემოხსენებული ბრძანების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მზადების პროცესი შესაძლოა, მოიცავდეს მუშაობას მეურვესთან/მზრუნველთან ოჯახის გაძლიერებისა და მშობლის/მშობლების, შესაძლო მეურვის/მზრუნველის უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიმართულებით და ინდივიდუალური განვითარების გეგმის პროექტის შედგენას, რაც ბრძანების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დასკვნასთან ერთად წარედგინება რეგიონულ საბჭოს, რომლის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სააგენტოსა და ბავშვის მშობელს, მეურვეს/მზრუნველს შორის ფორმდება ხელშეკრულება რეინტეგრაციის შესახებ და იწყება რეინტეგრაციის შემთხვევის მართვა და მონიტორინგი[141].

როგორც ზემოთ აღინიშნა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული პირებისთვის შეთავაზებული სოციალური სერვისების მიწოდების პროცესში არ არის გათვალისწინებული ლგბტ თემის წევრების შესაძლო საჭიროებები, რაც უკავშირდება თავად ოჯახში ძალადობას ან დანაშაულის სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით სიძულვილით ჩადენის სპეციფიკას და მიგვანიშნებს მსხვერპლის/დაზარალებულის ტრამვული მდგომარეობის სათანადოდ დამუშავებასა და მის ოჯახის წევრებთან მუშაობის კრიტიკულ აუცილებლობაზე, ზემოაღწერილი რეინტეგრაციის

---

137 სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 9 აგვისტოს წერილი N04/51617

138 „რეინტეგრაციის შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესისა და პირობების, აგრეთვე, მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის N 01-20/ნ ბრძანება.

139 იქვე, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი.

140 იქვე, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი

141 რაც სოციალური მუშაკის მხრიდან მოიცავს შემდეგ აქტივობებს: ა) მონიტორინგს უწევს რეინტეგრირებული ბავშვის აღზრდის, ჯანმრთელობის, განვითარების, განათლების მდგომარეობას, აგრეთვე, მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ მოვალეობების შესრულებას; ბ) კონსულტაციას უწევს ბავშვის კანონიერ წარმომადგენელს რეინტეგრაციისა და ოჯახის გაძლიერებასთან დაკავშირებულ საკითხებზე თავისი უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში; გ) აკავშირებს კანონიერ წარმომადგენელს მხარდამჭერ სერვისებთან და ახორციელებს მის გაძლიერებაზე მიმართულ სხვა აქტივობებს „რეინტეგრაციის შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესისა და პირობების, აგრეთვე, მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის N 01-20/ნ ბრძანების მე-10 მუხლი.

მექანიზმი, მიუხედავად იმისა, რომ მოიცავს ძალადობასთან დაკავშირებულ ასპექტებს არ არის ბოლომდე ცხადი, ბუნდოვანია თუ რამდენად ხდება პრაქტიკაში ძალადობის საფუძვლების სიღმისეულად დამუშავება და მხოლოდ ამ ანალიზზე დაყრდნობით ადეკვატური ზომების დაგეგმვა, კერძოდ, ოჯახში ძალადობის ჰომო/ტრანსფობიური ნიშნის შემთხვევაში, საჭიროა დამატებითი ზომების მიღება ოჯახის წევრებთან სტერეოტიპების, ნეგატიური დამოკიდებულებისა და სტიგმის აღმოფხვრასთან მიმართებით, რომელიც საჭიროებს სენსიტიური, აღნიშნულ საკითხებში გათვითცნობიერებული სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის ჩართვას, რაც პრაქტიკაში ფაქტობრივად ვერ ხორციელდება, შედეგად, რეინტეგრაციის პროცესი ზოგადი წესის შესაბამისად წარიმართება.

ამასთან, ყურადსაღებია, რომ რეინტეგრაციის მექანიზმი ყოველთვის ვერ გამოიყენება პრაქტიკაში და შედეგის მიღწევა (ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია) ვერ ხორციელდება, რასაც ადასტურებს EMC-ის პრაქტიკაში არსებული ერთ-ერთი საქმეც – არასრულწლოვანი გ. ჩ. დაზარალებულად ცნეს მის მიმართ დედის მხრიდან შეუწყნარებლობის მოტივით (ასოციაციური სექსუალური ორიენტაციის ნიშანი) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126 [1-]ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ფაქტზე და სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებით, მოთავსდა ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში, თავშესაფრის შემთხვევის მართვის ჯგუფმა შეადგინა მისი განვითარების ინდივიდუალური გეგმა. შემდგომში არასრულწლოვანი მოთავსდა ბავშვთა სოფელში, თუმცა, როგორც შემთხვევის მართვის ჯგუფი განმარტავს, ბენეფიციართა სურვილისა და ორივე მხარის მზადყოფნის არარსებობის გამო, ვერ მიაღწიეს ოჯახში რეინტეგრაციას.[142]

ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სერვისების არსებობის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მათგანი დამოუკიდებლად არ ითვალისწინებს ლგბტ თემის წევრი არასრულწლოვნების საჭიროებებს, მათ შორის სახელმწიფო ზრუნვის სერვისში ჩართული პირების (სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, სპეციალიზებული დაწესებულების თანამშრომლის) გადამზადებას ლგბტ საკითხებში, რაც პრაქტიკაში გარკვეულ პრობლემას ქმნის. პრობლემები კი უმთავრესად დაკავშირებულია ლგბტ თემის წევრებსა და სხვა ბენეფიციარებს შორის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე აღმოცენებულ კონფლიქტურ სიტუაციებთან, რომლის ეფექტიანად მართვისთვის აუცილებელია გადამზადებული პერსონალი. აღნიშნულის საჭიროება არსებობს იმდენად, რამდენადაც ცალკეულ საქმეში ჩანს, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მყოფი არასრულწლოვნები სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის გამო სხვა ბენეფიციართა მხრიდან დისკრიმინაციული ქმედებების მიზეზით უარს ამბობენ სახელმწიფო სერვისით სარგებლობაზე, ტოვებენ დაწესებულებას და შემდგომში მათი კონტროლის შესაძლებლობა სოციალური მომსახურების სააგენტოს ნაკლებად აქვს[143]. მსგავსი პირობები კი ხშირად არასრულწლოვან თემის წევრებს სექსსამუშაოში ჩართვისკენ უბიძგებს, რაც ხელს უწყობს მათ უკიდურეს გარიყვას და მათ ჯანმრთელობასა და ფიზიკურ მთლიანობას დამატებითი საფრთხეს უქმნის.

---

[142] თუმცა EMC-თვის უცნობია, თავშესაფარმა რა კონკრეტული ღონისძიებები გამოიყენა არასრულწლოვანი პირის ოჯახში რეინტეგრაციის უზრუნველსაყოფად და იყო თუ არა მიღებული ზომები სრულყოფილი და ამომწურავი.
[143] სოციალური მომსახურების სააგენტოს წერილით ირკვევა, რომ ერთ-ერთმა არასრულწლოვანმა დატოვა ბავშვთა სახლი და სოციალურ მუშაკს თავის ადგილსამყოფელს არ უმხელს.

4. ოჯახში ძალადობის პრევენციის ინსტიტუციური ნაკლოვანებები

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებსა და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის პრევენციას და პრევენციის ფარგლებში საპოლიციო ფუნქციების ახლებურ გააზრებას.

დანაშაულთა პრევენციის იდეის ზოგადი ჩარჩოს მიხედვით, ის უნდა მოიცავდეს სახელმწიფოსა და კერძო პირებისა თუ დაწესებულებების მცდელობას, პროგრამებსა და ღონისძიებებს, მიმართულს დანაშაულის, როგორც საზოგადოებრივი ფენომენისა თუ ინდივიდუალური გამოვლინების თავიდან აცილების, შემცირებისა და მისი შედეგების შესუსტებისაკენ.[144] სწორედ ამიტომ, „იგი განიხილება არა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შემადგენელ ნაწილად, არამედ დანაშაულის კონტროლის უფრო ფართო სფეროდ, რომელიც სცდება საპოლიციო, სისხლისა და სასჯელაღსრულებით სამართალს და ვლინდება სოციალურ, სიტუაციურ და მესამე დონის პრევენციაში“.[145]

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) 2002/13 რეზოლუციის[146] მიხედვით, დანაშაულის პრევენციისთვის სახელმწიფოთა მიდგომა უნდა ეფუძნებოდეს პრევენციის სოციალური განვითარების მიდგომას, სიტუაციურ პრევენციასა და რეინტეგრაციის პროგრამებს, იმავე მესამე დონის პრევენციას.

პრევენციის სოციალური მიდგომა გულისხმობს სახელმწიფოთა მიერ იმგვარ აქტივობებს, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების კეთილდღეობასა და პროსოციალურ ქცევას არამასტიგმატიზებელი სოციალური, ეკონომიკური, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებსა და განათლებაზე მიმართული ზომებით, ბავშვებსა და ახალგაზრდებზე ხაზგასმით და ფოკუსირდება დანაშაულსა და ვიქტიმიზაციასთან ასოცირებულ რისკფაქტორებთან.[147]

სიტუაციური პრევენცია გულისხმობს დანაშაულის თავიდან აცილებასა და დანაშაულის წარმოშობის დაბრკოლებას ემსახურება. ამ შემთხვევაში დანაშაულის პრევენციის მიზანს საფრთხის მდგომარეობაზე, პოტენციურ სამართალდარღვევასა და კრიმინოგენულ სიტუაციაზე გავლენის მოხდენა წარმოადგენს. სიტუაციური პრევენცია ყურადღებას ამახვილებს კონკრეტულ ჯგუფებზე, ინდივიდებსა და გარემოებებზე, როდესაც სამართალდამრღვევად თუ მსხვერპლად ქცევის რისკი მაღალია. იგი პირდაპირ თუ არაპირდაპირ დანაშაულისა და მის მიმართ არსებული შიშის დაბრკოლების/თავიდან აცილებისა და ამგვარად საზოგადოებაში უსაფრთხოების შეგრძნების გაძლიერებისკენ არის მიმართული.[148]

მესამე დონის, რეინტეგრაციისა და იგივე, რეციდივის პრევენცია მიმართულია დანაშაულის ჩადენის შემდგომ მისი განმეორების თავიდან არიდების, დამნაშავეთა რესოციალიზაციის, რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში მისი სამომავლო ინკლუზიისკენ.[149]

---

[144] გ. იმნაძე და სხვები „დანაშაულის პრევენცია, საპოლიციო კონტროლის რისკები“, EMC, 2017, გვ. 15
[145] იქვე
[146] ECOSOC Resolution 2002/13, Action to promote effective crime prevention, იხ: https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/crimeprevention/resolution_2002-13.pdf
[147] ECOSOC Resolution 2002/13, Action to promote effective crime prevention, იხ: https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/crimeprevention/resolution_2002-13.pdf
[148] გ. იმნაძე და სხვები „დანაშაულის პრევენცია, საპოლიციო კონტროლის რისკები“, EMC, 2017, გვ. 15
[149] Erich Marks/Wiebke Steffan, Prävention braucht Praxis, Politik und Wissenschaft, 2014, გვ. 66-68. ასევე, ECOSOC Resolution 2002/13, Action to promote effective crime prevention, იხ: https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/crimeprevention/resolution_2002-13.pdf

პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად, არსებითი მნიშვნელობა აქვს ანალიზსა და დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და რისკფაქტორების სიღრმისეულ კვლევას, რაც მოიცავს დანაშაულთა დინამიკის, გავრცელების მასშტაბის, რეგიონული სპეციფიკისა და დამნაშავეთა ფსიქოსოციალური ქცევების შესწავლას.

აღნიშნული ანალიზის, საფუძველმდებარე მიზეზებისა და დანაშაულის სოციალური გავლენების იდენტიფიცირება კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევაში, რადგანაც მას სხვა ტიპის მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისგან უპირველესად მისი სოციალური გავლენა განასხვავებს და ხშირად საზოგადოებაში არსებული ნეგატიური დამოკიდებულებების პირდაპირ რეპრეზენტაციას წარმოადგენს, რომელთანაც ბრძოლა მხოლოდ სამართალდამცავი უწყების ინდივიდუალური რეაგირებით ვერ განხორციელდება. თუმცა, მიუხედავად ამისა, დანაშაულთა შემცირებასა და პრევენციასთან დაკავშირებით სახელმწიფოში არსებული პრევენციული ღონისძიებები მხოლოდ მეორე დონის – სიტუაციურ პრევენციას ეფუძნება და კონკრეტულ ქმედებაზე ინდივიდუალური რეაგირებით იმწუთიერად ხორციელდება, შესაბამისად, მისი შედეგებიც იმწუთიერია და ვერ აზღვევს დანაშაულის გამეორების, მათ შორის, რეციდივის რისკს.

შედეგად, სახელმწიფოს სტრატეგია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის პროცესში რეაქციულია, დანაშაულის შემდგომ რეაგირებაზე კონცენტრირდება და ერთადერთი შედეგი შესაძლო დამნაშავის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნასა და სასჯელის დამძიმებაში გამოიხატება. მიუხედავად იმისა, რომ სასჯელის როლი დანაშაულებთან ბრძოლის პროცესში კრიტიკული მნიშვნელობისაა, მესამე დონის პრევენციის – რეინტეგრაციის, რეაბილიტაციის სერვისების არარსებობის პირობებში, სახელმწიფოს პრევენციულ პოლიტიკას რეპრესიულად აქცევს.

სასჯელის მიზანი, გარდა დამნაშავის დასჯისა, პირის რესოციალიზაცია, დანაშაულის უარყოფითი შედეგების გააზრება და მსხვერპლისათვის სამართლიანობის განცდის უზრუნველყოფაა. ავტორები აღნიშნავენ, რომ შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულის პრევენციისთვის მხოლოდ ჩამდენი პირის სისხლისსამართლებრივი დევნის თუ მისთვის სასჯელის დამძიმების როლი დანაშაულის/ინციდენტის შედეგად გამოწვეული ემოციური, სოციალური და კულტურული ზიანის ანაზღაურებაში არსებითად უმნიშვნელოა; ამასთან, ის ვერც დამნაშავის/სამართალდამრღვევის წინასწარგანწყობის სრულ რღვევას უზრუნველყოფს.[150]

შესაბამისად, რადგანაც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, სხვა ტიპის დანაშაულებისგან განსხვავებით, მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალურ გარემოსთან და მყარი კავშირი აქვს საზოგადოებაში არსებულ დამოკიდებულებებთან, განსაკუთრებით, თუ ის ოჯახში ძალადობის ფორმას იღებს, მისი პრევენციისთვის ზემოაღწერილი სამივე მოდელის არსებობა თანაბარ მნიშვნელობას იძენს.

ნიშანდობლივია, რომ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი განსაზღვრავს ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფოს პრევენციულ პოლიტიკას: *„პრევენციის მექანიზმები გულისხმობს იმ სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მიზეზებისა და წინაპირობების თავიდან აცილებისკენ, ძალადობის აღკვეთისკენ, მოძალადის სამართლებრივი დევნისკენ, მისი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ, მსხვერპლის რეაბილიტაციისა და ადაპტაციისკენ.“* **ნორმის დისპოზიციიდან აშკარაა, რომ ის მოიცავს ზემოაღწერილი დანაშაულის პრევენციის სამივე დონეს, შესაბამისად, მისი**

[150] „Hate Crime and Restorative Justice: Exploring Causes, Repairing Harms“ Mark Walters, იხ. სტატია: http://www.internationalhatestudies.com/hate-crime-restorative-justice-exploring-causes-repairing-harms/

მნიშვნელობა საკანონმდებლო დონეზე აღიარებულია, თუმცა პრაქტიკაში არსებითი გამოწვევები არსებობს, რომელიც ფაქტობრივად გამორიცხავს პრევენციის ორ მნიშვნელოვან ასპექტს – სოციალურ და რეინტეგრაციის ფორმით განსახორციელებელ პრევენციას. დანაშაულის პრევენციის მხოლოდ სიტუაციურად მოგვარების მცდელობით და მასთან ბრძოლის პროცესში სასჯელის მთავარ მექანიზმად გამოყენებით, **სახელმწიფო პრევენციულ მექანიზმს დამნაშავეს უპირისპირებს და არა დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს.**

ოჯახში ძალადობის მარეგულირებელი თუ მის წინააღმდეგ ბრძოლის განმსაზღვრელი პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზიც აჩვენებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად შემუშავებული პრევენციული მექანიზმი ძირითადად საპოლიციო მექანიზმებით შემოიფარგლება. არსებითად მწირი ზომები მიიღება საგანმანათლებლო საქმიანობაზე – ის ძირითადად დაკავშირებულია ოჯახში ძალადობისა და ადრეული ქორწინების თემაზე საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიის წარმოებასთან,[151] რელევანტური სახელმწიფო უწყებების თანამშრომელთათვის ტრენინგების გამართვასა[152] და მოძალადის რეაბილიტაციაზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავებასა და დანერგვასთან,[153] რაც პრაქტიკაში სუსტად ხორციელდება.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევების მართვის პროცესში საქართველოშ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის **სამინისტროს სოციალური მუშაკების კომპეტენცია მხოლოდ ოჯახში მსხვერპლის დახმარებით შემოიფარგლება და ნაკლებად კეთდება აქცენტი კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების შესწავლასა და მათ დაძლევაში დახმარებაზე.** მაგალითად, EMC-ის პრაქტიკაში არსებული საქმე, რომელიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანს შეეხება, აჩვენებს, რომ **სოციალურმა მუშაკმა არასრულწლოვნის თავშესაფარში გადაყვანის შემდგომ დაიწყო ოჯახის შეფასება, თუმცა კონკრეტული დავის დაძლევაზე ორიენტირებული ღონისძიებები, გარდა ფსიქოლოგიური მომსახურების შეთავაზებისა, არ დასახულა.**

საკანონმდებლო დონეზე პრევენციული ღონისძიებების არსებობის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს იმ პრევენციული მექანიზმების განხორციელება, რომლებიც დაკავშირებულია ოჯახური დავის მიზეზების შესწავლასთან, ანალიზთან, რისკჯგუფების გამოვლენასა და ოჯახური დავის საწყის ეტაპზევე დაძლევასთან.

კანონის მიხედვით, აღნიშნული ღონისძიებები უნდა წარიმართებოდეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეგიდით. სამინისტროს განმარტებით,[154] ოჯახური დავის მიზეზების შესწავლა ხდება სასამართლოს მიმართვაში მითითებული მოთხოვნის შესაბამისად, რომლის საფუძველზეც დამცავი ორდერის გამოცემის პროცესში სოციალური მუშაკი აფასებს სავარაუდო მსხვერპლსა და მის ოჯახს და სთავაზობს მათ ფსიქოლოგიურ მომსახურებაში ჩართვას. ოჯახური კონფლიქტების დაძლევის მიზნით გარკვეულ სამუშაოებს უზრუნველყოფს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი და ბენეფიციართან მუშაობის პროცესში, თუკი მას გაუჩნდება ოჯახის წევრებთან ურთიერთობის მოგვარების სურვილი, სოციალური მუშაკის მეშვეობით ხდება კომუნიკაცია და რეინტეგრაციის პროცესის მიზნით გეგმის შემუშავება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფონდში შემუშავებულია „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების“ (ეროვნული

---

[151] „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის N341 დადგენილების 1.2. ველი

[152] იქვე, 1.1. ველი

[153] იქვე, 2.6. ველი

[154] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 8.12.2017 N01/75976 წერილი

რეფერალური მექანიზმი) დოკუმენტის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სოციალური მუშაკის უფლებამოსილება/როლი, როგორც პირველადი იდენტიფიკაციის, ასევე სავარაუდო მსხვერპლის გამოვლენის, მსხვერპლის უფლებების, მათი დაცვისა და დახმარების მექანიზმების თაობაზე ძალადობის მსხვერპლის (სავარაუდო მსხვერპლის) ინფორმირება კონსულტირების თვალსაზრისით. სამინისტროს განმარტებით,[155] აღნიშნული დოკუმენტი თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრში დაინერგება 2018 წლის იანვრიდან. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში ძალადობის პრევენციის დღევანდელ მოდელში ნაკლებად არის გათვალისწინებული მოძალადესთან მუშაობის საჭიროება და სპეციფიკა.

სიტუაციური პრევენციისა და რეციდივის თავიდან აცილების მოდელს წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს უახლესი ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის რისკის შეფასების ინსტრუმენტი და შემაკავებელი ორდერის მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც 2018 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა.[156] გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული მიდგომა სულ ახლახან დაინერგა მისი ეფექტიანობის შეფასება ვერ ხერხდება, თუმცა უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ინსტრუმენტი კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის გამეორებისა თუ უფრო მძიმე ძალადობის თავიდან აცილებასა და შემთხვევის სიტუაციურ პრევენციას ისახავს მიზნად და არა დამნაშავის რეაბილიტაციას.

4.1. მოძალადის სარეაბილიტაციო ღონისძიებების შეფასება

როგორც წინა თავში აღინიშნა, სახელმწიფოს პრევენციული ღონისძიებები სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებსა და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის პროცესში მხოლოდ საპოლიციო ხასიათს ატარებს და ვერ ახდენს ზემოქმედებას დანაშაულის წარმოშობის მიზეზებზე. ზემოაღწერილ პრევენციულ ღონისძიებებს შორის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოძალადეთა რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ღონისძიებებს, რომლებიც დამატებით კრიტიკულობას იძენს ოჯახში ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით, თუმცა სახელმწიფოს პოლიტიკა დამნაშავეთა რეაბილიტაციასთან მიმართებით არსებითი სისუსტით ხასიათდება.

საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, მოძალადის სარეაბილიტაციო ღონისძიებები გულისხმობს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული პროგრამის არსებობას და მოძალადეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. აღნიშნულ პროგრამაში ჩართულობისა და შესაბამისი კურსის გავლის ვალდებულება მოძალადეს შეიძლება დაეკისროს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმების გამოყენების დროს. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[15]-ე მუხლის მე-3 ნაწილის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტების თანახმად, სასამართლოს მიერ გამოცემული დამცავი ორდერი უნდა შეიცავდეს მოძალადის დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართულ ღონისძიებებთან დაკავშირებულ საკითხებს და მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლის საკითხს.

---

[155] იქვე

[156] იხ: http://police.ge/ge/qalta-mimart-da-odjakhshi-dzaladobis-riskebis-shefasebis-instrumenti-da-shemakavebeli-orderis-monitoringis-meqanizmi-amoqmedda/11956

დამცავი ორდერით მოძალადისთვის დაკისრებულ ვალდებულებასთან ერთად მნიშვნელოვანია მისი აღსრულების საკითხი, კერძოდ – სავალდებულო კურსისა და მასში მონაწილეობის პროცესის ორგანიზება, რასაც სახელმწიფო უნდა ახორციელებდეს. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად *„მოძალადის დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებები და მათი განხორციელების წესი და ფორმები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით“* . მითითებული დანაწესის მიუხედავად, ამ დრომდე არ მიუღიათ შესაბამისი დადგენილება,[157] რომელიც დამცავ ორდერში მოძალადის ძალადობრივი ქცევის კორექციაზე ორიენტირებული სავალდებულო კურსის გავლის საკითხს მოაწესრიგებდა. მოწესრიგების არარსებობა დამცავი ორდერის გამოცემას კონკრეტულ ძალადობრივ შემთხვევაზე მხოლოდ სახელმწიფოს რეაქციის გამოხატულებად აქცევს და პრევენციულ მნიშვნელობას უკარგავს. დამცავი ორდერის გამოცემის ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მოძალადემ რეალურად გაიაზროს მის მიერ ჩადენილი ქმედებისა და ქმედებით გამოწვეული შედეგების მნიშვნელობა. დროულად მოხდეს მასში ძალადობრივი ქცევის კონტროლი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ოჯახური დანაშაული ან ოჯახში ძალადობა (სისხლის სამართლებრივად მნიშვნელოვანი ქმედება).

კურსის გავლის ვალდებულებას უწესებს პირობით მსჯავრდებულს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლი, რომელიც მოსამართლეს აძლევს შესაძლებლობას, ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირობით მსჯავრდებულს დააკისროს დასახელებული მოვალეობა. აღნიშნულთან ერთად, ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული კურსის გავლის ვალდებულებას ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168[1]-ე მუხლი და ადგენს, რომ ოჯახურ დანაშაულში ბრალდებულმა პირმა უნდა გაიაროს დასახელებული კურსი.

მითითებულიდან გამომდინარე, ჩანს, რომ ოჯახში ძალადობის ან ოჯახურ დანაშაულში მსჯავრდებული პირის მიმართ ძალადობრივი ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული კურსის გავლის ვალდებულების დაკისრება შესაძლებელია, როცა მსჯავრდებულს მისთვის სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთა ეთვლება პირობითად ან როცა მის მიმართ გამოყენებულია განრიდების მექანიზმი,[158] ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულს სასჯელის სახით დანიშნული აქვს თავისუფლების აღკვეთა ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული კურსის გავლა სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პირობებში უნდა შეეძლოთ, თუმცა „სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 29 აპრილის №33 ბრძანების მე-3 მუხლის თანახმად, სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა ეტაპობრივად 2017 წლის 31 დეკემბრამდე უნდა განხორციელდეს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში და ამ პერიოდისათვის თითქმის ყველა დაწესებულებაში მიმდინარეობს.[159] ამ კუთხით ფსიქოსარეაბილიტაციო პროგრამებს განეკუთვნება „პოზიტიური ქცევის როლი ოჯახურ ურთიერთობაში კაცებისთვის“ და „ოჯახურ სირთულეებთან გამკლავების პროგრამა ქალებისთვის“, თუმცა დასახელებულთაგან არც ერთ პროგრამაში ჩართვას არ აქვს სავალდებულო ხასიათი.[160]

---

[157] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 4.12.2017 წერილი N 36207

[158] განრიდების მექანიზმი გულისხმობს ბრალდებულის განრიდებას მართლმსაჯულების პროცესიდან და მისთვის გარკვეული ვალდებულებების დაკისრებას.

[159] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 4/12/2017 წერილი NMOC 3 17 00955562

[160] იქვე

მინისტრის ბრძანების მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა გულისხმობს დაწესებულებასა და მსჯავრდებულს შორის შეთანხმებას, რომელზე ხელის მოწერითაც მსჯავრდებული აცხადებს თანხმობას, მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების მიერ შეთავაზებულ რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის აქტივობებსა და საჭირო ქმედებებში, ხოლო მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, აქტივობების შერჩევისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ აქტივობას, რომელიც მიმართულია დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობის რისკის შემცირებისა და ინდივიდისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნისკენ. მითითებული დანაწესიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ ოჯახში ძალადობის ან ოჯახურ დანაშაულში მსჯავრდებული პირის შემთხვევაში გასათვალისწინებელია ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული კურსები.

„არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 45 [5]-ე მუხლის თანახმად, პრობაციის ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსების ორგანიზებას ოჯახური დანაშაულის ჩამდენი იმ პირებისთვის, რომლებსაც სასჯელის სახით შეფარდებული აქვთ თავისუფლების შეზღუდვა ან/და რომელთა მიმართაც გამოყენებულია პირობითი მსჯავრი. ამასთან, მე-40 [1] მუხლის თანახმად, ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლის ორგანიზება, პრობაციის ეროვნული სააგენტოს გარდა, პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან ხელშეკრულების (მემორანდუმის) საფუძველზე, აგრეთვე, შეიძლება განახორციელოს სათანადო გამოცდილების (კომპეტენციის) მქონე სოციალურმა დაწესებულებამ, არასამეწარმეო (არაკომერციულმა) იურიდიულმა პირმა ან შესაბამისი განათლების მქონე პირმა.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს განმარტებით[161], ზოგადად, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესში ხორციელდება ძალადობრივი ქცევის შემცირებისკენ მიმართული სარეაბილიტაციო პროგრამები, რა დროსაც გამოყენებულია მულტიდისციპლინური მიდგომა და პირობით მსჯავრდებულის/თავისუფლება შეზღუდული პირის ინდივიდუალური რისკების შეფასების საფუძველზე ხდება როგორც ინდივიდუალურ/ჯგუფური ფსიქოსოციალური ინტერვენცია, ასევე საინფორმაციო ხასიათის ტრენინგების შეთავაზება. კონკრეტულად, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, პრობაციის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები ხელმძღვანელობენ შემდეგი მოდულით „ძალადობის რაობა და ძალადობისგან დაცვის საკანონმდებლო მიმოხილვა“. აღნიშნული მოდული საინფორმაციო ხასიათისაა, ხოლო საინტერვენციო მოდულს მიეკუთვნება „ძალადობრივი ქცევის მართვის - გენდერული ძალადობის სარეაბილიტაციო პროგრამა“, რომელიც ეხება პარტნიორთან/მეუღლესთან ან ოჯახის წევრთან გენდერულ ძალადობას, პასუხისმგებლობის გრძნობას, ფიზიკურ ძალადობას, აგრესიის, ემოციების მართვის მეთოდებს, წყვილებს შორის ძალადობრივი, აგრესიული სქესობრივი ქცევის იდენტიფიცირებას და მათი შედეგების გაცნობიერებას, აგრეთვე, ფსიქოლოგიური ძალადობის განსაზღვრას და შედეგების გაცნობიერებას.

მითითებული განმარტების შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ **ოჯახში მოძალადის სარეაბილიტაციო პროგრამა ერთმნიშვნელოვნად გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის პრობლემას ეხება და მასში არ არის გათვალისწინებული სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი ოჯახში ძალადობა/ოჯახური დანაშაული.** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად ძალადობრივ დანაშაულში პირობით მსჯავრდებულ პირებთან მუშაობს პრობაციის ბიუროს ფსიქოლოგი. შესაბამისად, კონკრეტული ნიშნის საფუძველზე ოჯახში ძალადობის

[161] პრობაციის ეროვნული სააგენტოს 08/11/2017 წერილი NMOC 9 17 00878708

შემთხვევაში მოძალადესთან სპეციფიკური პროგრამის შეთავაზება მხოლოდ ინდივიდუალურად უნდა იყოს შესაძლებელი.

ზემოთ განხილული პროცედურების გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები საკმაოდ მწირია და საკითხის ირგვლივ არსებულ საჭიროებებს სრულად ვერ ითვალისწინებს. განსაკუთრებით პრობლემურია ის გარემოება, რომ **ფაქტობრივად, არ არსებობს ადრეული პრევენცია მათ შორის რისკჯგუფების გამოვლენა, მათთან სისტემური მუშაობა, შესაბამისი სერვისების მიწოდება და იმ ოჯახური დავების დაძლევის პროგრამა,** რომელიც შესაძლებელია, მოგვარდეს საწყის ეტაპზევე, სანამ დავა ადმინისტრაციულსამართლებრივი ან სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებას დააყენებს დღის წესრიგში.

პრობლემურია ოჯახური დავის დაძლევისთვის საჭირო სერვისები, რაც ძირითადად უნდა მოიცავდეს სოციალური მუშაკის მხრიდან ოჯახისა და არსებული პრობლემის სისტემურ შეფასებას და გამოვლენილი პრობლემების საფუძველზე ოჯახის წევრების გადამისამართებას ფსიქოლოგთან ან სხვა საჭირო სპეციალისტთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოში ფსიქოლოგთა ადამიანური რესურსი არ არის საკმარისი ყველა შემთხვევაზე ეფექტიანი რეაგირებისთვის.

5. EMC-ის წარმოებაში არსებული ზოგიერთი საქმის ანალიზი:

საქმე N1: თავშესაფარში მყოფი არასრულწლოვანი გ.ჩ.

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების აღწერა

2017 წლის 27 სექტემბერს არასრულწლოვან გ. ჩ.-ს დედამ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა (ხის სკამი დაარტყა ზურგის არეში), ასოციაციური სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის ნიადაგზე. გ. ჩ-ს განმარტებით, იგი 2017 წლის 26 სექტემბერს იმყოფებოდა ააიპ „თანადგომის“ მიერ ორგანიზებულ შეკრებაზე, საიდანაც სახლში დაბრუნების შემდგომ დედამ უყვირა და მოსთხოვა, განემარტა, რას აკეთებდა „პიდარასტების შეკრებაზე“, ხოლო როდესაც გ. ჩ. შეეწინააღმდეგა და უთხრა რომ „პიდარასტების შეკრება“ არ ყოფილა, მშობელმა მას ზურგის არეში სკამი დაარტყა. მომხდარი ინციდენტის შემდგომ არასრულწლოვანმა სახლი დატოვა, მივიდა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისში და ითხოვა პოლიციის გამოძახება. სამართალდამცავი ორგანოების საქმეში ჩართვის შემდგომ გ. ჩ. გადაიყვანეს სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ და დედამისის მიმართ დაიწყო სამართალწარმოება.

საგამოძიებო ორგანოს/პროკურატურის მხრიდან რეაგირება და მისი კრიტიკა

გ. ჩ-ს მიმართ დედის მხრიდან გამოვლენილ ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით ქუთაისის პოლიციის სამმართველომ დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად. გ. ჩ. ცნეს დაზარალებულად, ხოლო დედამისს აღკვეთის სახით შეეფარდა გირაო.

მიუხედავად იმისა, რომ გ.ჩ-ს მიმართ გამოვლენილ ოჯახური ძალადობის ფაქტს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სწრაფი რეაგირება მოჰყვა, გამოძიების დაწყებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის საწყის ეტაპზე, ქუთაისის რაიონული პროკურატურა იმ მოტივით, რომ გ. ჩ. არ ასახელებდა თავის სექსუალურ ორიენტაციას, უარს ამბობდა საქმეში შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთასა და სამომავლოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამძიმების პერსპექტივაზე. თუმცა მას შემდეგ, რაც EMC-იმ მიმართა განცხადებით და მიუთითა საქმეში არსებული იმ ფაქტობრივი

გარემოებების შესახებ, რომლებიც ასოციაციური სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობაზე მეტყველებდა და შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთისთვის საჭირო არ იყო დაზარალებულის სექსუალური ორიენტაციის დადგენა, პროკურატურამ გამოკვეთა აღნიშნული მოტივი.

აღნიშნულ საქმეში პროკურატურისა და პოლიციის ორგანოების მხრიდან რეაგირების მთავარ კრიტიკას შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირების მიზნით დაზარალებულთან შეუსაბამო კომუნიკაცია და კითხვების დასმა წარმოადგენდა. გ.ჩ-ს რამდენჯერმე მოსთხოვეს, დაესახელებინა საკუთარი სექსუალური ორიენტაცია, რისი ვალდებულებაც მას, ბუნებრივია, არ გააჩნდა.

საქმე N2: ს.კ. საქმე (კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით შეცვლილია დაზარალებულის ინიციალები)

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების აღწერა

ს.კ 2017 წლიდან ოჯახის წევრების (უმეტესად დედისა და მამის) მხრიდან განგრძობითად ექვემდებარება ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას მშობლებისგან ნავარაუდები სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. მცირე ინციდენტების მიღმა ს.კ-ს 2018 წლის თებერვალში მამამ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც ს.კ.-მ სახლი დატოვა, ხოლო მშობლების მიმართ გამოიცა შემაკავებელი ორდერი. შემაკავებელი ორდერის ვადის გასვლიდან რამდენიმე თვის შემდგომ მშობლების თხოვნით ს.კ დაბრუნდა სახლში, თუმცა ამჯერად მამამ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. ს.კ.-მ გამოიძახა პოლიცია. ა. კ. ადგილზე დააკავეს, ხოლო დაზარალებული განათავსეს ძალადობის მსხვერპლთა დაცვის თავშესაფარში.

საგამოძიებო ორგანოს/პროკურატურის მხრიდან რეაგირება

ს.კ-ს მიმართ გამოვლენილი ძალადობის ირგვლივ დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა (ოჯახში ძალადობა) და 151-ე (მუქარა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე. საგამოძიებო მოქმედებების საფუძველზე გამოიკვეთა შეუწყნარებლობის მოტივი და აისახა შესაბამის საპროცესო დოკუმენტებში, თუმცა განსახილველ შემთხვევაშიც კრიტიკას იწვევს მოტივის გამოკვეთის მიზნით დაზარალებულისთვის მისი სექსუალური ორიენტაციის დასახელების მოთხოვნა.

საქმე N3: ლ. მ.-ს და მ.გ.-ს საქმე

საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების აღწერა

ლ. მ.-ს ბოლო ერთი წელია, დაძაბული ურთიერთობა აქვს მამასთან, რ. მ.-თან. კერძოდ, ლ. მ.-ს განმარტებით, ოჯახთან ერთად ცხოვრების პერიოდში მამამისი მას და ოჯახის დანარჩენ წევრებს ხშირად აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, თუმცა განსაკუთრებული აგრესია მის მიმართ ჰქონდა, რასაც ხშირად ფიზიკური შეურაცხყოფით გამოხატავდა. ერთ-ერთი კონფლიქტის დროს, 2017 წლის ივნისში რ. მ.-მ სკამი ესროლა ლ. მ.-ს, შემდგომ კი მის კუთვნილ სანადირო თოფში ჩადო ვაზნა და მოკვლით ემუქრებოდა. აღნიშნული ინციდენტის შემდგომ ლ. მ.-მ დატოვა საცხოვრებელი სახლი, თუმცა რ. მ. პერიოდულად ტელეფონის საშუალებით აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. 2018 წლის მაისში რ.მ. მივიდა ქუთაისში, ააიპ „იდენტობის“ ოფისთან და გეგმავდა ლ.მ.-ს სახლში იძულებით წაყვანას, რასაც ხელი ორგანიზაციის თანამშრომლებმა შეუშალეს. ამ ინციდენტის მომდევნო დღეს კი ტელეფონის საშუალებით რ.მ. დაემუქრა ორგანიზაციის თანამშრომელს მ.გ.-ს.

ლ.მ.-ს განმარტებით, 2018 წლის 24 სექტემბერს იგი ოჯახის წევრების სანახავად, მეგობართან ერთად ჩავიდა ქალაქ ტყიბულში. საღამოს, დაახლოებით შვიდ საათზე რ.მ. სახლში ნასვამი დაბრუნდა და როცა შეიტყო, რომ ლ.მ. სახლიდან წასვლას აპირებდა, გახდა აგრესიული, ლ.მ.-ს აგინებდა და ცდილობდა, მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა მიეყენებინა, რისი საშუალებაც ოჯახის წევრებმა არ მისცეს. აღნიშნულის შემდგომ რ.მ. შვილს მოკვლით დაემუქრა. ლ.მ-მ მიმართა პოლიციას.

რ.მ-ს განმარტებით, ლ.მ.-ს მიმართ მისი აგრესია განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მას გარკვეული კავშირი აქვს ააიპ „იდენტობასთან", რომელსაც „უწესო" ორგანიზაციად მიიჩნევს და მის თანამშრომლებთან. საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, რ.მ. ლ.მ.-ს აფილირებას ლგბტ თემთან ახდენს.

საგამოძიებო ორგანოს/პროკურატურის მხრიდან რეაგირება

რ.მ-ს მხრიდან 2018 წლის მაისში მ.გ.-ს მიმართ, 2017 წლის ივნისსა და 2018 წლის 24 სექტემბერში ლ.მ.-ს მიმართ მუქარის ფაქტებთან დაკავშირებით ტყიბულისა და ხონის პოლიციის განყოფილებებში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 11 [1] , 151-ე და 151-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ფაქტზე. გამოძიების ფარგლებში რ.მ. ცნობილია ბრალდებულად და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო, 5000 ლარის ოდენობით.

მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნის ფარგლებში EMC რ.მ.-ს მხრიდან მ.გ.-სა და ლ.მ.-ს მიმართ დანაშაულებრივი ქმედებების სიძულვილის მოტივით, ასოციაციით სექსუალური ორიენტაციის ნიშნით განხორციელების შესაძლებლობაზე მიუთითებს და პროკურატურას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული მოტივის გამოკვეთას სთხოვს. EMC-ის შეფასებით, რამდენადაც ააიპ „იდენტობა" წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც მუშაობს ლგბტ თემის წევრების საჭიროებებზე ადვოკატირებისა და სხვადასხვა სერვისის მიწოდების გზით, ორგანიზაციის სერვისით მოსარგებლე პირებს ხშირად ავტომატურად თემის წევრებად განიხილავენ ხოლმე, რაც ხშირად მათდამი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ჩადენის მიზეზი ხდება. განსახილველ შემთხვევაშიც რ.მ. მიუთითებს, რომ მის გაღიზიანებას „უწესო ორგანიზაციებთან" შვილის კავშირი იწვევს. „უწესოდ" კი ორგანიზაციას, მისი სამუშაო მიზნებიდან გამომდინარე, ხოლო ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ყველა პირს, მათ შორის შვილს, ლგბტ თემის წარმომადგენლად მიიჩნევს, რის გამოც შვილისთვის ზიანის მიყენების სურვილი უჩნდება.

მითითებული განცხადების წარდგენის მიუხედავად, პროკურატურას ამ ეტაპისთვის არ გამოუკვეთავს საქმეში არსებული სიძულვილის მოტივი, თუმცა კვლავ მიმდინარეობს გამოძიება და EMC იმედოვნებს, რომ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით გამოიკვეთება სიძულვილის მოტივი.

ნაწილი II:

ძალადობა ინტიმურ პარტნიორებს შორის

1. ინტიმურ პარტნიორებს შორის ძალადობის გამომწვევი მიზეზების სოციალური და ფემინისტური ინტერპრეტაციები

ათეული წლების განმავლობაში ინტიმურ პარტნიორებს შორის ძალადობის საკითხი უყურადღებოდ იყო დარჩენილი როგორც აქტივისტურ, ისე სამართლებრივ და აკადემიურ სივრცეში. აღნიშნულის მიზეზად ხშირად გარედან მომდინარე ჰომოფობიისა და ჰეტეროსექსიზმის სისტემაში სტიგმისა და ძალადობის პრობლემის კრიტიკულობა შეიძლება დასახელდეს,[162] რომელსაც ლგბტ ადამიანების მიერ თანასწორობისთვის ბრძოლა ჯერ გარედან, მესამე პირების მხრიდან მომდინარე ძალადობისგან უნდა დაეხსნა, თუმცა სწორედ გაძლიერებული მარგინალიზება და სოციალური სტიგმა კიდევ უფრო ამწვავებს შიდა ურთიერთობებში შესაძლო ძალადობის რისკს და ინტიმურ თუ რომანტიკულ ურთიერთობაში მყოფ პირებს იზოლაციასა და დახმარების გარეშე ტოვებს. აღნიშნულს ასევე უწყობს ხელს ლგბტ წყვილებს შორის ჩადენილი დანაშაულის იდენტიფიცირების სირთულე და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის კუთხით მეინსტრიმული სერვისების ჰეტეროსექსუალ წყვილებზე კონცენტრირება. ინტიმურ პარტნიორებს შორის ჩადენილი ძალადობის აღრიცხვა არ ხდება და შესაბამისად – არც მისთვის სახასიათო სპეციფიკური ასპექტების შეფასება და გავლენების აღწერა. თუმცა საერთაშორისო სტატისტიკა აჩვენებს, რომ ძალადობა ჰეტეროსექსუალ, გეი და ლესბოსელ წყვილთა შორის თითქმის თანაბარი ხარისხით ვლინდება.

ჰეტეროსექსუალურ და არაჰეტეროსექსუალურ ურთიერთობებში ძალადობის გამომწვევი მიზეზი ხშირად საერთო და გადამკვეთია. ფართო შინაარსით, ინტიმურ პარტნიორებს (არა აუცილებლად სექსუალურ პარტნიორებს) შორის ძალადობა (IPV) წარმოადგენს ძალადობრივი ქცევის იმგვარ მახასიათებელს, რომელიც გამოიყენება პარტნიორზე კონტროლისა და ძალაუფლების მოპოვებისთვის. ძალადობა შეიძლება იყოს ფიზიკური, სექსუალური, ემოციური, ეკონომიკური ან ფსიქოლოგიური ქმედებები ან მუქარა, მათ შორის, ნებისმიერი ქცევა, რომელიც „მანიპულირებს, ამცირებს, იზოლირებულს ხდის, აშინებს, ატერორებს, ადანაშაულებს, აზიანებს, ტკივილს აყენებს პირს. ძალადობას შეიძლება, დაექვემდებაროს ნებისმიერი ადამიანი, მიუხედავად ასაკის, რასის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიის და გენდერისა. ის ეხება ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად სოციოეკონომიკური მდგომარეობისა, შემოსავლებისა თუ განათლების დონისა. ის შესაძლოა, მოხდეს როგორც ქორწინებაში მყოფ პირებს, ისე ფაქტობრივ თანაცხოვრებასა და არათანაცხოვრებით პარტნიორულ ურთიერთობებში. შესაბამისად, ლგბტ ადამიანების მიერ განცდილი ინტიმური ძალადობა ბევრი ასპექტით ჰგავს ჰეტეროსექსუალურ ურთიერთობებში ჩადენილ ძალადობას“.[163]

ამასთან, მიუხედავად ძალადობის ციკლის მსგავსებისა, ჰეტეროსექსუალურ და არაჰეტეროსექსუალურ ურთიერთობებში ჩადენილი ძალადობა იდენტური არ არის და განმასხვავებელი ასპექტები კომპლექსური და ურთიერთგადამკვეთია, რაც რამდენიმე ძირითად ძალადობრივ ფორმაში შეიძლება გამოიყოს[164]:

იზოლაცია – მსხვერპლის იზოლაცია არსებითად არის დაკავშირებული ჰომოფობიურ საზოგადოებაში ცხოვრებასთან. ლგბტ წყვილთა შორის არსებული ძალადობის შესახებ საზოგადოებისა და სამართალდამცავი სისტემის სიჩუმე ხელს უწყობს მსხვერპლის იზოლაციას, რაც მეტ ძალაუფლებას აძლევს მოძალადეს. ამასთან, სათემო სივრცეების შეზღუდულობა და კონფიდენციალობის დაცვის მწირი შესაძლებლობები სირთულეს უქმნის მსხვერპლს, დატოვოს ძალადობრივი სივრცე ან მის შესახებ სათემო სივრცეში მაინც ისაუბროს.

---

[162] Murray, C. E., Mobley, A. K., Buford, A. P., & Seaman-DeJohn, M. M. (2006/2007). Same-sex intimate partner violence: Dynamics, social context, and counseling implications. The Journal of LGBT Issues in Counseling, 1(4), 7-30.
[163] Morin c. (2014) Re-traumatized: How Gendered Laws Exacerbate the Harm for Same-Sex Victims of Intimate Partner Violence, Criminal and Civil Confinement, Vol. 40:477, 477-497
[164] იხ: http://www.eycb.coe.int/gendermatters/pdf/GMCH2.pdf

ჰეტეროსექსისტური მანიპულაცია – მოძალადე შესაძლოა, მსხვერპლს ემუქრებოდეს ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებით მისი ოჯახისთვის, მეგობრებისთვის, თანამშრომლებისა და სხვა ჯგუფებისთვის. აღნიშნულს ემატება ისიც, რომ არსებული მსხვერპლთა დაცვის სერვისები შესაძლოა, პირდაპირ ან არაპირდაპირ აიძულებდეს მსხვერპლს, რომ განაცხადოს თავისი ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის შესახებ, პირადი ნების საწინააღმდეგოდ.

ჩაგვრის გაძლიერების შიში – გამომდინარე იქიდან, რომ ლგბტ ადამიანები ისტორიულად ჩაგრულ ჯგუფს წარმოადგენენ, შესაძლოა, მათი ნაწილი არ იყენებდეს სამართლებრივ თუ სხვა ფორმის სერვისებს თავის დასაცავად, რათა არ შეუქმნან თემს საფრთხე და არ მოახდინონ მისი კიდევ უფრო მარგინალიზაცია არსებულ სოციუმებში.

დანაშაულის გენდერიზება (დანაშაულის გენდერიზებული უარყოფა) – რადგანაც სისტემისთვის მეტად შესამჩნევი/თვალსაჩინო მსხვერპლი ქალის ხატია, ხშირად ხდება ინტიმურ ურთიერთობაში კაცის, როგორც მსხვერპლის უარყოფა. ისევე, როგორც ქალებს შორის არსებული ძალადობა არის თანასწორად მიჩნეული.

გენდერის მითები და მათი ნორმალიზება – ორი კაცი ერთმანეთზე ძალადობის მიუხედავად, თანასწორად აღიქმება საზოგადოებისა და სისტემის მიერ. შესაბამისად, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი კაცები ხშირად თავადაც უარყოფენ იმ ფაქტს, რომ ისინი ძალადობის მსხვერპლნი არიან.

კონტექსტი და ისტორიული ჩაგვრა – ლგბტ ადამიანებს ხშირად ძალიან უჭირთ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრით სარგებლობა, ისევე, როგორც პოლიციისა და სასამართლოსადმი მიმართვა, რადგანაც არსებობს რევიქტიმიზაციის შიში ჰომოფობიის, უარყოფისა და დამცირების მოლოდინის გამო, ინსტიტუციების მხრიდან, რადგანაც აღნიშნული ინსტიტუციები ისტორიულად მტრულად იყვნენ განწყობილები ჯგუფის მიმართ.[165]

აღნიშნული ფაქტორები ლგბტ პირთა პარტნიორულ ურთიერთობაში წარმოშობილ ძალადობას სპეციფიკურ ფორმად აქცევს, რომლის წარმოშობის მიზეზების კვლევა მხოლოდ კომპლექსური ანალიზით არის შესაძლებელი.

ლგბტ ჯგუფში ინტიმურ პარტნიორებს შორის ჩადენილი ძალადობის ახსნისათვის ერთ-ერთ გამოსაყენებელ მეთოდიკად „ძალაუფლებისა და კონტროლის ბერკეტი“ (Dutton & Corvo, 2006) მიიჩნევა, რომელიც 1984 წელს ოჯახში ძალადობის ინტერვენციის პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა აშშ-ში. აღნიშნული მოდელი ინტიმურ პარტნიორებს შორის ჩადენილი დესტრუქციული ქცევების კონცეპტუალიზებას მოძალადის სურვილთან კავშრში ახდენს, კერძოდ მოიპოვოს ძალაუფლება და დაამყაროს კონტროლი, რისთვისაც ის სხვადასხვა ფორმის ტაქტიკას იყენებს. თუმცა აღნიშნული მოდელიც თავდაპირველად ჰეტეროსექსუალ პარტნიორებზე აკეთებდა აქცენტს, რის გამოც მოგვიანებით 1995 წელს აღნიშნული ჩარჩო მოდიფიცირდა, რათა მას ერთი და იმავე სქესის პარტნიორებს შორის ძალადობის საკითხიც მოეცვა. ახალი მოდელი ერთი და იმავე სქესის პარტნიორთა შორის წარმოშობილ ძალადობას დომინანტი იდეოლოგიების ინსტრუმენტალიზების მაგალითით ხსნის, კერძოდ, დომინანტი იდეოლოგიები – ჰეტეროსექსიზმი, პატრიარქატი, ჰომოფობია, ტრანსფობია და ბიფობია ქმნიან იმგვარ სტრუქტურულ კონტექსტს, რაც ამარტივებს ძალაუფლებისა და კონტროლის მოპოვებისთვის „სუსტის გამოჭერის“ ტაქტიკის გამოყენებას ლგბტ ადამიანების წინააღმდეგ. მაგალითად, ქამინგაუთის მუქარა, რომელიც სოციალური რეპრესიის შედეგია ან

[165] იხ: http://www.eycb.coe.int/gendermatters/pdf/GMCH2.pdf

მსხვერპლის იზოლირება, იმის ცოდნით, რომ მას ნაკლებად დაუჯერებენ, ძალადობის ორმხრივ ფორმად კონსტრუირება და სხვა.[166]

ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, რომ IPV ლგბტ ადამიანების წინააღმდეგ მხოლოდ იმ სოციალურ კონტექსტში კი არ წარმოიქმნება, სადაც ლგბტ ჯგუფის მარგინალიზება და ოპრესია ხდება, არამედ ინტერსექციური სტრუქტურის გავლენითაც, როგორიც არის რასიზმი, კლასიზმი, ეიბლიზმი.[167] აღნიშნულმა სტრუქტურებმა შესაძლოა, გააძლიეროს ძალაუფლებათა დისბალანსი და მასზე დაფუძნებული უთანასწორობა ლგბტ ურთიერთობებში და მოძალადეს დამატებითი სივრცე მისცეს მსხვერპლზე ძალაუფლებისა და კონტროლის მოსაპოვებლად. სწორედ ამიტომ, გადამკვეთი ფაქტორების შესწავლა არსებითად მნიშვნელოვანია ლგბტ პირებს შორის ძალადობისა და შევიწროების ფორმების უკეთ შესასწავლად და გამოსავლენად.

ინტიმურ პარტნიორებს შორის ძალადობის პრევალენტობის დადგენა და მისი სხვადასხვა სოციალურ ცვლადებთან კორელაცია კომპლექსური და ხშირად გაუგებარი საკითხია. არსებული ბუნდოვანება ისტორიულად არსებულმა სიჩუმემ გამოიწვია, რომელიც კონკრეტულ შიშებს უკავშირდებოდა. როგორც ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, ლგბტ ჯგუფში არსებობს გარკვეული გაუაზრებელი წინააღმდეგობა, რომ ძალადობრივი ურთიერთობის სახელდება „ინტიმურ ძალადობად“ მოახდინონ, რაც შესაძლოა, წარმოდგებოდეს თემის სურვილიდან, დაიცვას თავი დომინანტი ჯგუფებისა და ჰეტეროსექსუალური კულტურიდან მომდინარე დამატებითი სტიგმისგან. პარტნიორებს შორის ძალადობის წარმოჩენით არსებობს ლგბტ ჯგუფის მიმართ უარყოფითი განწყობების გაძლიერების რისკი,[168] რაც ასევე ხელს შეუშლის მესამე პირების მხრიდან მომდინარე სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლას და ინსტიტუციურ ჰომოფობიასთან შეპირისპირებას. თავის მხრივ, აღნიშნულ ჯგუფში ჯანსაღი და არაჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბების შესახებ კვლევების სიმცირე მისი იდენტიფიცირების, სახელდებისა და მასთან ბრძოლისთვის დამატებით ბარიერებს ქმნის.[169]

მნიშვნელოვანია, რომ ლგბტ ჯგუფის ქვეშ ასევე არსებობს განსხვავებული იმპლიკაციები პარტნიორებს შორის წარმოშობილ ძალადობასთან მიმართებით. გეი მსხვერპლისათვის მასკულინობასთან დაკავშირებულმა კულტურულმა იდეოლოგიებმა შეიძლება, ბარიერები შექმნას, რათა ხმამაღლა ისაუბრონ ინტიმური პარტნიორის მხრიდან გამოვლენილ ძალადობაზე, რადგანაც არსებობს რისკი, რომ ამით გაძლიერდება მითი, რომ გეი ადამიანები ნაკლებად მასკულინურები, „კაცურები““ არიან, ვიდრე ჰეტეროსექსუალი კაცები.[170] ამასთან, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ფემინისტებს შორისაც არსებობს შიში, რომ ერთსა და იმავე სქესის პარტნიორებს შორის არსებული ძალადობის სინათლეზე გამოტანამ

[166] Ristock, J. L., & Timbang, N. (2005). Relationship violence in lesbian/gay/bisexual/transgender/queer (LGBTQ) communities. MINCAVA Electronic Clearinghouse, Minnesota Center Against Violence and Abuse.
[167] Walters, M. L., Chen J., & Breiding, M. J. (2013). The National Intimate Partner and Sexual Violence Survey (NISVS): 2010 Findings on Victimization by Sexual Orientation. Atlanta, GA: National Center for Injury Prevention and Control, Centers for Disease Control and Prevention. Also, Ristock, J. L., & Timbang, N. (2005). Relationship violence in lesbian/gay/bisexual/transgender/queer (LGBTQ) communities. MINCAVA Electronic Clearinghouse, Minnesota Center Against Violence and Abuse.
[168] Balsam, K. F. (2001). Nowhere to hide: Lesbian battering, homophobia, and minority stress. Women and Therapy, 23(3), 25-37. DOI: 10.1300/J015v23n03_03; ასევე, Browning, C. (1995). Silence on same-sex partner abuse. Alternate Routes, 12. 95-106.
[169] Bornstein, D. R., Fawcett, J., Sullivan, M., Senturia, K. D., & Shiu-Thornton, S. (2006). Understanding the experiences of lesbian, bisexual and trans survivors of domestic violence: A qualitative study. Journal of Homosexuality, 51(1), 159-181. DOI: 10.1300/J082v51n01_08
[170] Ristock, J. L., & Timbang, N. (2005). Relationship violence in lesbian/gay/bisexual/transgender/queer (LGBTQ) communities. MINCAVA Electronic Clearinghouse, Minnesota Center Against Violence and Abuse.

შესაძლოა, გამოიწვიოს შეპირისპირება ფემინიზმის მიმართ და მოხდეს კაცების მიერ ქალთა მიმართ გამოვლენილი ძალადობის მინიმიზირება/შემცირება.[171]

მნიშვნელოვანია, რომ ინტიმურ პარტნიორებს შორის ძალადობის იდენტიფიცირების პრობლემას ხელს უწყობს სტერეოტიპები იმის შესახებ, რომ ქალებს შორის ან კაცებს შორისამგვარ ქმედებას ძალადობა ვერ დაერქმევა, რადგანაც ის „გენდერულად თანასწორ“ ადამიანებს შორის ხდება, რითაც ძალადობას, ორმხრივ და გააზრებულ, თანხმობით აქტად წარმოაჩენენ, თუმცა ცხადია, როგორც კვლევები აჩვენებს, თანაგაზიარებული ძალადობა (იგივე ორმხრივი ძალადობა) ხშირად არასწორად არის გაგებული და დამაჯერებლობას უსუსტებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მსხვერპლი თავდაცვის მდგომარეობაში და შესაძლოა, ძალადობას პასუხობდეს.[172]

კვლევები აჩვენებს, რომ არსებითად ხდება არაჰეტეროსექსუალურ ურთიერთობებში ინტიმურ პარტნიორებს შორის ძალადობის ნორმალიზება და მინიმიზირება. აღნიშნული ტენდენცია შეიმჩნევა თავად ლგბტ ჯგუფებშიც, სადაც ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობას ჰეტეროსექსუალი ადამიანების პრობლემად მიიჩნევენ და ვერ ახდენენ აღნიშნული პრობლემის საკუთარ თავთან მიმართებას. აღნიშნულის მიზეზი ხშირად ოჯახში ძალადობის გენდერული ხასიათია, სტერეოტიპები გენდერულ როლების შესახებ. შესაბამისად, მიუხედავად ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ძალადობის არსებობისა, იშვიათად ფიქრობენ ლგბტ თემის წევრები, რომ ძალადობის აღნიშნული ფორმა შესაძლოა მათ ურთიერთობაშიც იყოს. [173]

აღნიშნული ტიპის ძალადობის არსებობის გააზრება დანაშაულის იდენტიფიცირებისა და მსხვერპლის დაცვის მექანიზმების ამოქმედების წინაპირობაა. ძალიან ხშირად სწორედ იმის გამო, რომ მოძალადე პარტნიორმა იცის, რომ ინსტიტუციური ჰეტეროსექსიზმისა და ჰომოფობიის გამო მსხვერპლს მცირე შესაძლებლობა აქვს, საშველად სახელმწიფო ინსტიტუციებს მიმართოს, მის არაპირდაპირ იზოლირებას მიმართავს და ამარტივებს ძალადობრივი აქტის განხორციელებას.[174] კვლევებმა აჩვენა, რომ ძირეული მიზეზები, თუ რატომ შეიძლება პარტნიორმა არ დატოვოს ძალადობრივი ურთიერთობა, ცხადია ჰგავს ჰეტეროსექსუალ წყვილებს შორის ურთიერთობის შენარჩუნების ფაქტორებსაც, მათ შორის: ფინანსური დამოკიდებულება, გამოუცდელობა, სიყვარული, პარტნიორის შეცვლის იმედი, მარტოობა, ერთგულება, ემოციური დამოკიდებულება, ძალადობის ციკლი, ურთიერთობის დასრულების შიში, დანაშაულის შეგრძნება, დაბალი თვითშეფასება, ურთიერთობაში გამოკეტილობის შეგრძნება.[175]

დანაშაულის გრძნობამ და თავის დადანაშაულებამ შესაძლოა, მსხვერპლისთვის დამატებითი ბარიერი შექმნას საკუთარი უფლებების დაცვისათვის სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების პროცესში. ამასთან, პარტნიორმა იცის, რომ პოლიციის მხრიდან ძალადობის რისკი მაღალია, ამიტომ შესაძლოა, გადაწყვიტოს, რომ არ მიმართოს პოლიციას, რათა პარტნიორს პოლიციის მხრიდან შევიწროებისა და დისკრიმინაციის მსხვერპლად ქცევის საფრთხე აარიდოს თავიდან. ამასთან, არსებობს დამატებითი ფაქტორებიც, რამაც შესაძლოა, ხელი შეუწყოს ლგბტ მსხვერპლის იზოლაციას. მათ შორისაა სათემო მხარდაჭერის არარსებობა, სოციალური რესურსებისა და ოჯახის მხრიდან მხარდაჭერის სიმცირე. აღნიშნული ფაქტორები ხელს უწყობს პოლიციისადმი მიმართვიანობის ნაკლებობას, რასაც

---

[171] Ristock, J. L. (2001). Decentering heterosexuality: Responses of feminist counselors to abuse in lesbian relationships. Women & Therapy, 23(3), 59–72. Also, Ristock, J. L. (2003). Exploring dynamics of abusive lesbian relationships: Preliminary analysis of a multi-site, qualitative study. American Journal of Community Psychology, 31(3–4), 329–341.

[172] Peterman and Dixon (2003), Domestic Violence Between Same-Sex Partners: Implications for Counseling, Journal of Counceling and Development, Vol. 81, issue 1, 40-47, 2011

[173] Katie M. Edwards, Kateryna M. Sylaska, and Angela M. Neal (2015) Intimate Partner Violence among Sexual Minority Populations: A Critical Review of the Literature and Agenda for Future Research. American Psychological Association (APA), Psychology of Violence, Vol. 5, No. 2, 112–121

[174] Morin c. (2014) Re-traumatized: How Gendered Laws Exacerbate the Harm for Same-Sex Victims of Intimate Partner Violence, Criminal and Civil Confinement, Vol. 40:477, 477-497

[175] Cruz, J. M. (2003). “Why doesn’t he just leave?” Gay male domestic violence and the reasons victims stay. The Journal of Men’s Studies, 11(3), 309–319

განაპირობებს სამართალდამცავი სისტემის მხრიდან არსებული განმეორებითი ვიქტიმიზაციის პრაქტიკა, რომელიც შესაძლო ჰომოფობიურ და არასენსიტიურ დამოკიდებულებებში ვლინდება.[176]

საინტერესოა, რომ ინტიმურ პარტნიორებს შორის ძალადობის ახსნის, მისი ფუნდამენტური მიზეზების კვლევისა და სოციალური მხარდაჭერის სერვისებისთვის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა შინაარსის თეორიები შეიმუშავეს, რომელსაც უნდა აეხსნა ლგბტ თემის წევრებს შორის არსებული ძალადობის ბაზისები, გამოვლენის მიზეზები და მისი კორელაცია სხვა გადამკვეთ ფაქტორებთან. აღნიშნული თეორიებიდან საინტერესოა:

სოციოფსიქოლოგიური თეორია

ლგბტ ჯგუფში ინტიმურ პარტნიორებს შორის ძალადობის შესასწავლად როგორც სოციალური, ისე ფსიქოლოგიური ასპექტების მნიშვნელობის გამო, მერილმა 1996 წელს სოციოფსიქოლოგიური თეორია შეიმუშავა,[177] რომელიც ეფუძნება სამ ურთიერთმიმართებით ასპექტს: ა) ინდივიდმა შეისწავლა ძალადობა; ბ) ინდივიდს აქვს ძალადობის შესაძლებლობა; გ) ინდივიდი ირჩევს, რომ გამოიყენოს ძალადობის შესაძლებლობა.

პირველ შემთხვევაში მერილი კორელაციას პოულობს ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლად ქცევასა და მომავალში მოძალადედ ქცევას შორის. მისი თეორიის მიხედვით, ოჯახში მის ან ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი ძალადობის გავლენა ადამიანის ფსიქიკაზე იმდენად ძლიერია, რომ შესაძლოა, განაპირობოს მომავალში როგორც პირის მსხვერპლად, ისე მოძალადედ ქცევა.[178]

მეორე ასპექტის მიხედვით როგორც მერილი მიუთითებს, იმისათვის, რომ ძალადობა მოხდეს, პოტენციურ მოძალადეს უნდა ჰქონდეს ვარაუდი, რომ არსებობს ძალადობის შესაძლებლობა, რომელიც მისთვის არ იქნება ნეგატიური შედეგების მომტანი. ამ კონტექსტში ჰეტეროსექსიზმის, ჰომოფობიისა და სოციალური ოპრესიის სხვა ფორმები აქტიურად ქმნის ბარიერს მსხვერპლისთვის, განაცხადოს აღნიშნული ძალადობის შესახებ, რაც თანადროულად, მოძალადეს საშუალებას აძლევს, მოახდინოს მსხვერპლის იზოლაცია და ჩაიდინოს ძალადობა პასუხისმგებლობისა თუ სხვა სახის შედეგის მოლოდინის გარეშე.[179]

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პოტენციური მოძალადე იაზრებს არსებულ სოციალურ კონტექსტს და ძალადობის შესაძლებლობას, მან უნდა გადაწყვიტოს, რომ ასეთი ქმედება ჩაიდინოს. მერილის მიხედვით, ცენტრალური ასპექტი ამგვარი „არჩევანისთვის“ ძალაუფლებისკენ ლტოლვაა. პირის ურთიერთობა ძალაუფლებასთან განისაზღვრება სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორებითაც, რადგანაც ძალაუფლებრივი მიმართებები არა მხოლოდ გენდერირებულია, არამედ მოიცავს სხვა სტრუქტურულ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებსაც. შესაბამისად, დომინაცია და ძალაუფლების მოპოვება შესაძლოა, პარტნიორის სოციოეკონომიკურ მდგომარეობასთან, საზოგადოებაში მის სტატუსთან იყოს დამოკიდებული.[180]

ფემინისტური თეორიები

მიუხედავად იმისა, რომ სოციალურად კონსტრუირებული გენდერული ნორმები და გენდერული უთანასწორობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინტიმური ძალადობის რისკის წარმოქმნაში, მან

---

[176] Morin c. (2014) Re-traumatized: How Gendered Laws Exacerbate the Harm for Same-Sex Victims of Intimate Partner Violence, Criminal and Civil Confinement, Vol. 40:477, 477-497

[177] Merrill, G. S. (1996). Ruling the exception: Same-sex battering and domestic violence theory. Journal of Gay & Lesbian Social Services, 4(1), 9–21.

[178] იქვე

[179] იქვე

[180] იქვე

შესაძლოა, ყოველთვის ცენტრალური როლი არ შეასრულოს ძალადობის წარმოშობაში. როგორც, კვლევები აჩვენებს, ინტიმური ძალადობა პროვიცირდება მაშინ, როდესაც ინტიმური ურთიერთობისას ინდივიდი იყენებს შესაძლებლობას, მოიპოვოს ძალაუფლება და დომინაცია მეორე პარტნიორზე.[181] შესაბამისად, IPV შეგვიძლია გავიგოთ, როგორც ძალაუფლებათა კონფლიქტი, მის გენდერულ ნორმებსა და სტერეოტიპებზე უპირობო დაფუძნების გარეშე.[182]

როგორც, ერთი და იმავე სქესის პარტნიორებს შორის ძალადობის საკითხზე მომუშავე მეცნიერები საუბრობენ, ოჯახში ძალადობის ამხსნელი დომინანტური თეორიები, რომლებიც ჰეტეროსექსუალური პარადიგმიდან ხსნიან ძალადობის მიზეზებს, მიუხედავად იმისა, რომ ღირებულია, სრულად ვერ გამოდგება ერთი და იმავე სქესის მქონე პარტნიორებს შორის ძალადობის ასახსნელად. ოჯახში ძალადობის ტრადიციული ფემინისტური პარადიგმა ძალადობას სექსიზმის, მიზოგინიითა და კაცებსა და ქალებს შორის ძალაუფლებათა დისბალანსით ხსნის.[183] თუმცა სხვა ავტორები აღნიშნავენ, რომ ფემინისტურ თეორიებს აქვთ პოტენციალი, წარმოაჩინონ ლგბტ ჯგუფში არსებული ინტიმური ძალადობის საფუძვლები, რადგანაც მათი ფოკუსისათვის ცენტრალური ძალაუფლებაა, გამომდინარე იქიდან, რომ ძალაუფლება მხოლოდ გენდერირებული არ არის, ის ურთიერთქმედებს სხვა სოციალურ სტრუქტურებთან (რასასთან, კლასთან, შეზღუდულ შესაძლებლობებთან და სხვ.), ინდივიდებს აქვთ განსხვავებული წვდომა პრივილეგიებზე იმის მიხედვით, თუ რა სოციალურ კატეგორიას მიეკუთვნებიან. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდები ერთსა და იმავე გენდერს მიეკუთვნებიან, მათი წვდომა ძალაუფლებაზე (ან მის არარსებობაზე) დამოკიდებულია სოციალურ კატეგორიებზე,[184] რომელიც ქმნის ძალაუფლებრივ დისბალანსს იმ ურთიერთობაში, რომელიც, ერთი შეხედვით, გენდერირებული არ არის.

შერწყმის თეორია (fusion theory)

შერწყმის კონცეპტი გამოიყენებოდა ლესბოსურ ურთიერთობებში ემოციური დამოკიდებულების ზრდის ხარისხისა და „შერწყმის“ გასააზრებლად. შერწყმის კონცეფცია ადაპტაციურ როლს თამაშობს ლესბოსურ ურთიერთობებში სოციალურ ჰომოფობიასა და ჰეტეროსექსიზმის პასუხად და ახასიათებს პარტნიორებს შორის ძლიერი შეჭიდულობის წარმოშობა.[185] როგორც მილერი და სხვები აღნიშნავენ, ჰომოფობიური საზოგადოებისაგან თავდაცვისათვის ემოციური და ფიზიკური ურთიერთობის ინტენსიურობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალურ ოპრესიასთან გასამკლავებლად, ამიტომ მისი გაწყვეტის ნებისმიერ საფრთხეს პარტნიორი რეზისტენციით ხვდება.[186] როგორც ძალადობრივ ჰეტეროსექსუალურ, ისე არაჰეტეროსექსუალურ ურთიერთობებში ეჭვიანობა, დამოკიდებულება და ძალაუფლებათა დისბალანსი კავშირშია მანიპულაციურ ქცევებთან. როგორც კვლევები აჩვენებს, ძალადობრივ ლესბოსურ ურთიერთობებში ძალადობის რისკფაქტორზე, მის ხარისხსა და სიხშირეზე გავლენას ახდენს ის, თუ რამდენად არის დამოკიდებული პოტენციური მოძალადე თავის პარტნიორზე.[187] გარდა ამისა, ძალადობრივ გეი და ლესბოსურ ურთიერთობებში ურთიერთდამოკიდებულება მაღალი ხარისხით ფორმირდება, რაც მსხვერპლისთვის ურთიერთობის

---

[181] Linda E. Saltzman Et Al., Intimate Partner Violence Surveillance: Uniform Definitions And Recommended Data Elements 38 (2002), available at http://www.cdc.gov/ncipc/pub-res/ipvsurveillance/Intimate%20Partner%20Violence.pdf.

[182] იქვე

[183] Murray, C. E., Mobley, A. K., Buford, A. P., & Seaman-DeJohn, M. M. (2006/2007). Same-sex intimate partner violence: Dynamics, social context, and counseling implications. The Journal of LGBT Issues in Counseling, 1(4), 7-30.

[184] Renzetti, C. M. (1994). On dancing with a bear: Reflections on some of the current debates among domestic violence theories. Violence and Victims, 9(2), 195–200.

[185] Miller, D. H., Greene, K., Causby, V., White, B. W., & Lockhart, L. L. (2001). Domestic violence in lesbian relationships. Women & Therapy, 23(3), 107–127.

[186] იქვე, გვ. 112

[187] Balsam, K. F. (2001). Nowhere to hide: Lesbian battering, homophobia, and minority stress. Women and Therapy, 23(3), 25-37. DOI: 10.1300/J015v23n03_03

გაწყვეტის გზას ართულებს. ნებისმიერ მცდელობას, გაიზარდოს მსხვერპლის ავტონომია, შედეგად უფრო გაძლიერებული ძალადობა მოსდევს,[188] რათა აღმოიფხვრას ურთიერთობის გაწყვეტის საფრთხე, დაამყაროს კონტროლი ურთიერთობაზე და ხელახლა გაამყაროს შეჭიდულობა. ასეთ დროს ხშირია ემოციურად მანიპულაციური ტაქტიკის გამოყენება (სუიციდით დაშინება, თვითდესტრუქციული ქცევების დემონსტრაცია და სხვა).

უმცირესობათა სტრესის თეორია

საზოგადოებაში არსებული ჰომოფობია, ტრანსფობია, სისნორმატიულობა და ჰეტეროსექსიზმი პირდაპირ აისახება უმცირესობათა სტრესის წარმოქმნაზე, რომელიც არა მხოლოდ სამართლებრივ და სოციალურ ოპრესიაში გამოიხატება, არამედ ხელს უწყობს ინტერპერსონალური მიკროაგრესიის წარმოშობასაც, რომელიც აზიანებს ლგბტ ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას.[189]

კვლევათა ნაწილი, რომელიც შედარებით ადრეულ ეტაპზე ჩატარდა, აჩვენებდა კორელაციას უმცირესობათა სტრესსა და ინტიმურ პარტნიორებს შორის ძალადობას შორის, თუმცა უმცირესობათა სტრესის გარე ფაქტორებზე მეტად, სტრესის შიდა – ინდივიდუალური ფაქტორები მეტად არის ასოცირებული ინტიმურ პარტნიორებს შორის ძალადობასთან. უმცირესობათა სტრესის ინტერნალიზებული ფორმები არაპირდაპირ უფრო მეტად იწვევს ინტიმურ პარტნიორებს შორის ძალადობის წარმოშობას. უმცირესობათა სტრესი ამ მხრივ არა ინტიმური ძალადობის უმთავრეს გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს, არამედ მის დამატებით ფაქტორს, რომელიც აადვილებს ძალადობას და მისგან თავის დაღწევას არსებითად ართულებს, მხარდამჭერი სერვისებისა და გარემოს ნაკლებობის გამო.[190]

აღნიშნული თეორიები საინტერესო ბაზისს ქმნის ლგბტ წყვილებს შორის პარტნიორის მხრიდან გამოვლენილი ძალადობის სოციოკულტურული და ფსიქოლოგიური ანალიზისთვის. ზემოხსენებული თეორიებიც აჩვენებს, რომ არაჰეტეროსექსუალურ ურთიერთობაში პარტნიორის მხრიდან გამოვლენილი ძალადობა არ არის სრულიად განსხვავებული ჰეტეროსექსუალურ ურთიერთობაში იმავე ქმედებებისგან, თუმცა მას სპეციფიკური პრედიქტორები აქვს და მისი საფუძვლები, გარდა ინდივიდუალური ფაქტორებისა, მიბმულია ძალაუფლებრივ სისტემებსა და მჩაგვრელ გარემოსთან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ თეორიათა თუ გამოცდილებათა კომპლექსური ანალიზით გაიაზროს სახელმწიფომ აღნიშნული პრობლემის სერიოზულობა, მსხვერპლის უფლებების დაცვისათვის ადეკვატურ საჭიროებებზე მორგებული გარემოსა და მხარდამჭერი სერვისების უზრუნველსაყოფად.

2. ინტიმურ პარტნიორებს შორის ჩადენილი ძალადობის პრაქტიკა საქართველოში

საქართველოში ერთი და იმავე სქესის პარტნიორებს შორის ძალადობის შესახებ ინფორმაცია არსებითად მწირი, შეუსწავლელი და უხილავია. ინფორმაციული ვაკუუმის უმთავრეს მიზეზს ლგბტ

[188] Petennan, L. M., & Dixon, C. G. (2003). Domestic violence between same-sex partners: Implications for counseling. Journal of Counseling and Development, 81, 40-47. (როგორც ციტირებულია, Murray, C. E., Mobley, A. K., Buford, A. P., & Seaman-DeJohn, M. M. (2006/2007). Same-sex intimate partner violence: Dynamics, social context, and counseling implications. The Journal of LGBT Issues in Counseling, 1(4), 7-30.)

[189] Meyer, I. H. (2003). Prejudice, social stress, and mental health in lesbian, gay, and bisexual populations: Conceptual issues and research evidence. Psychological Bulletin, 129(5), 674–697.

[190] Betty Jo Barrett (2015), Domestic Violence in the LGBT Community, DOI: 10.1093/acrefore/9780199975839.013.1133, იხ: http://socialwork.oxfordre.com/view/10.1093/acrefore/9780199975839.001.0001/acrefore-9780199975839-e-1133#acrefore-9780199975839-e-1133-bibItem-0079

წყვილების ურთიერთობის სამართლებრივად აუღიარებლობა წარმოადგენს – საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს ერთი და იმავე სქესის პარტნიორებს შორის ქორწინებას ან სხვა სამართლებრივ კავშირს, მათ შორის, სამოქალაქო პარტნიორობას, რაც ამგვარ ერთობას როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი, ისე კულტურული აღიარების მიღმა ტოვებს და პარტნიორებს შორის წარმოშობილი ძალადობრივი აქტების (თვით)იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრისათვის არსებით ბარიერებს ქმნის.

ოჯახურ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის არსებული სამართლებრივი მექანიზმები, ურთიერთობის დომინანტურ ფორმაზე – ჰეტეროსექსუალურ ოჯახზე არის მორგებული, რაც, თავის მხრივ, იწვევს არაჰეტეროსექსუალურ ურთიერთობაში მყოფი მსხვერპლის პირდაპირ ექსკლუზიას მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისათვის არსებული სახელმწიფო სერვისებიდან, ართულებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მოპოვების შესაძლებლობებს და არსებითად ამცირებს დარღვეული უფლების აღდგენის საშუალებებს.

როგორც ლგბტქი სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლები საუბრობენ, ლგბტ პარტნიორებს შორის არსებული ძალადობისა თუ ძალადობრივი ინციდენტების შესახებ ინფორმაცია უშუალოდ თემის წევრების მხრიდან რთულად იდენტიფიცირებადია. თემის წევრები იშვიათად საუბრობენ აღნიშნულ პრობლემაზე. სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლების განმარტებით, ამის მიზეზი ხშირად აღნიშნული პრობლემის უშუალოდ ჯგუფის მხრიდან არასერიოზულად, უმნიშვნელო მოვლენად და ნორმად აღქმაა,[191] რასაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აღნიშნული ურთიერთობის სამართლებრივი აუღიარებლობაც.

„ურთიერთობის იურიდიულად აუღიარებლობა, ხშირად ხელს უშლის ადამიანს, გაიაზროს, რომ შესაძლოა, პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი იყოს. ასეთ დროს შესაძლოა, მსხვერპლმა მარტივი გამოსავალი ურთიერთობის დასრულებაში იპოვოს“ (კობა ბიწაძე, „თანადგომა“).

თუმცა, მიუხედავად ინტიმურ ურთიერთობაში ძალადობის სხვადასხვა ფორმის იდენტიფიცირების სირთულისა, ლგბტ ჯგუფის წევრები მისი გააზრების შემთხვევაშიც კი აღნიშნულ საკითხზე იშვიათად საუბრობენ და კიდევ უფრო იშვიათად მიმართავენ თავდაცვისათვის არსებულ სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისებს. შესაბამისად, ძალადობისა და მისი სხვადასხვა ფორმის გავრცელების შესახებ ინფორმაციის შეგროვება არსებითად რთულდება. როგორც სათემო ოფიცრები აღნიშნავენ, მსგავსი პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია მათთან კრიტიკული სიხშირით არ მიდის, თუმცა ინფორმაციის ნაკლებობას არა ამგვარი ძალადობის არარსებობით თუ მისი სიმწირით ხსნიან, არამედ საკითხთან დაკავშირებული სტიგმითა და ინფორმაციის უქონლობით.

ისეთ შემთხვევაში, თუ ინტიმურ პარტნიორებს შორის ძალადობის ან ძალადობრივი ინციდენტის ფაქტი დგება, როგორც წესი, ლგბტ ჯგუფის წევრები მათთვის ყველაზე ახლობელ ადამიანებს უზიარებენ ინფორმაციას (როგორც წესი, მეგობრებსა და სხვა მათთვის სანდო პირებს), როგორც ზემოთაც აღინიშნა, პოლიციისადმი მიმართვა მხოლოდ საგამონაკლისო, ერთეულ შემთხვევებში ფიქსირდება.

---

[191] ინტერვიუ კობა ბიწაძესთან (ლგბტქი ასოციაცია „თემიდა“), ნათია ხარატიშვილთან (ორგანიზაცია „იდენტობა“, ქეთი ბახტაძესთან (WISG), ირა სილანტევასთან (ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობა“), თბილისი, 2017

ძალადობის ფორმებზე საუბრისას ლგბტქი ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ლგბტ პარტნიორებს შორის ძალადობისა თუ ძალადობრივი ქცევების ყველაზე გავრცელებული ფორმა ფსიქოლოგიური ძალადობა და მანიპულაციაა:

„ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმა შანტაჟია, როცა ერთი პარტნიორი მეორეს მისი ორიენტაციის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებით ან მეგობრების, ოჯახისა და ახლობლებისათვის თქმით აშინებს. ცხადია, გასაკვირი არაა, რომ ეს იმ ურთიერთობაში ხდება, სადაც ერთ-ერთი ან/და ორივე მალავს თავის ორიენტაციას, ძალადობის ეს ფორმა საშიში იმიტომაც არის, რომ მსხვერპლი, საკუთარი ორიენტაციის დაფარვის გამო, საჯაროდ ან პოლიციასთან ძალადობაზეც ვერ ისაუბრებს, ამიტომ ამგვარი სიტუაცია პარტნიორის მხრიდან მანიპულაციის ფორმას იძენს, რის გამოც შესაძლოა, პირს ძალადობრივ ურთიერთობაში დარჩენა მოუწიოს“" (კობა ბიწაძე, „თანადგომა“).

ინტიმურ პარტნიორებს შორის ფიზიკური ძალადობა შედარებით დაბალი ინტენსივობით და სიხშირით ვლინდება, ვიდრე ფსიქოლოგიური ძალადობა და მუქარა. როგორც ორგანიზაციის წარმომადგენლები საუბრობენ, *„ხშირად დესტრუქციული ქცევები ეჭვიანობისა და ურთიერთობის დაშლის პროცესში იჩენს ხოლმე თავს“.*

ამასთან, როგორც წესი, *„ქამინგაუთის მუქარა პრაქტიკაში იშვიათად ხორციელდება, თუმცა მისი მთავარი მიზანი [სავარაუდო მოძალადე პარტნიორმა შეინარჩუნოს ან გაახანგრძლივოს ურთიერთობა] პრაქტიკაში შედეგს აღწევს. როგორც წესი, ურთიერთობის შენარჩუნება დროებით, გარკვეული პერიოდით ხორციელდება, სანამ პოტენციური მოძალადე არ დაიცლება აგრესიისგან, ბოლომდე თუ არა ნაწილობრივ მაინც, რისთვისაც ხანდახან 7-8 თვე ან 1 წელიც კი არის ხოლმე საჭირო. გახანგრძლივების პრაქტიკა, რომელიც სინამდვილეში იძულებითია, ლესბოსურ ურთიერთობაში შეიძლება უფრო შეგვხვდეს, ვიდრე გეი წყვილების შემთხვევაში“ (ნათია ხარატიშვილი, „იდენტობა“).*

როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ფსიქოლოგიური ძალადობა და პირის პერსონალური ინფორმაციის გავრცელება/გასაჯაროება ასევე ხშირია. როგორც სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, *„ყოფილ პარტნიორებს შორის ფსიქოლოგიური ძალადობა ასევე ხშირად ვლინდება შურისძიების, პარტნიორის დისკრედიტების გამო... ყოფილა ყოფილი პარტნიორის აივ სტატუსის, ან ჰეპატიტის შესახებ ინფორმაციის განზრახ გავრცელების ფაქტებიც, რასაც ცხადია, არსებითი ზიანი მიუყენებია მსხვერპლისათვის, თუმცა არც ერთ შემთხვევაში დახმარებისთვის არ მიუმართავთ“ (ნათია ხარატიშვილი, „იდენტობა“).*

ლგბტ ურთიერთობისთვის ასევე სახასიათოა მისი დამალვა ახლობლებისა და გარშემომყოფებისგან. თუ ურთიერთობაში საკუთარი ორიენტაციის შესახებ ინფორმაციას მხოლოდ ერთი პარტნიორი არ ამჟღავნებს, მუდმივი სიფრთხილის მოთხოვნა სტრესისა და დაძაბულობის გამომწვევი ხდება:

„დამალვა ან დამალვის თხოვნა სტრესს ორივე პარტნიორში იწვევს და ხშირად აზიანებს ურთიერთობას. ლგბტ ჯგუფის ის წევრები, რომლებიც იწყებენ სათემო შეხვედრებზე სიარულს, ერთვებიან გუნდურ აქტივობებში და ესწრებიან თემატურ დისკუსიებს, ეტაპობრივად იწყებენ გაძლიერებას, ვის როგორც შეუძლია ისე – თავისი წინარე ისტორიიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე, ზოგი საკუთარი თავის შეყვარებას იწყებს, ზოგი აქტივიზმში ერთვება. ასეთ დროს, როდესაც აღნიშნული პირი პარტნიორს სათემო სივრცის გარედან ირჩევს, იქ ხშირად იწყება პრობლემები. იმის გამო, რომ თავის დამკვიდრების, თვითანალიზის, საკუთარი თავის პოზიციონირების კუთხით და თვითგამორკვევის

თვალსაზრისით სხვადასხვა ეტაპზე იმყოფებიან, ერთი პარტნიორი შესაძლოა, უფრო თამამი გახდეს, უფრო დაიწყოს გრძოლა საზოგადოებიდან წამოსული წნეხის წინააღმდეგ მაშინ, როდესაც მეორე პარტნიორისთვის ეს ობიექტურ საფრთხესთან ასოცირდება. მას შეიძლება, არ მოსწონდეს პარტნიორის ზედმეტი სითამამე, ღიაობა და თუ აქტივისტთან გვაქვს საქმე, – აქტივიზმიც. ამ დროს იწყება მუდმივი ჭიდილი, როგორც ბიჭებს, ისე გოგოებს შორის. ასეთ დროს, თუ პარტნიორები ვერ შეთანხმდებიან, ურთიერთობა, როგორც წესი, სრულდება" (ნათია ხარატიშვილი, „იდენტობა").

საინტერესოა, რომ ყოფილ პარტნიორებს შორის ფსიქოლოგიური ძალადობის სახასიათო შემთხვევა მსხვერპლის საერთო სოციალური ჯგუფიდან – სამეგობროდან თუ სხვა ნიშნით გაერთიანებული ერთობიდან შურისძიების მიზნით გარიყვაა, რომელიც, სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლების შეფასებით, არსებითად გავრცელებული და ჩვეული მოვლენაა:

„ლგბტ ჯგუფის წევრები ხშირად ქმნიან საერთო სივრცეს, იზიარებენ სამეგობროს და ერთი ჯგუფის ნაწილი ხდებიან. დაშორების შემთხვევაში, არაერთხელ გამხდარა ერთ-ერთი ჯგუფში მხარდაჭერის დაკარგვის, გარიყვის, დემორალიზების მსხვერპლი, რაც ხშირად იმ პარტნიორის მუშაობის შედეგია, რომელმაც მთელი ჯგუფი – სამეგობრო მის წინააღმდეგ განაწყო. როგორც წესი, ასე ის პარტნიორი იქცევა, ვისაც ამ წრეში მეტი ავტორიტეტი აქვს" (ნათია ხარატიშვილი, „იდენტობა").

როგორც პრაქტიკა და ინტიმურ პარტნიორებს შორის არსებული ძალადობრივი ქცევის შესახებ ინფორმაცია ცხადყოფს, ერთი და იმავე სქესის მქონე ინტიმურ პარტნიორებს შორის ძალადობის მიზეზები არ არის ჰეტეროსექსუალურ ურთიერთობაში არსებული ძალადობის მიზეზებისგან სრულიად განსხვავებული, თუმცა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ლგბტ წყვილებთან მიმართებით არსებული ძალადობის მთავარი გამომწვევი ფაქტორები, როგორიცაა – **პარტნიორის დაკარგვის შიში, ეჭვიანობა, აუთად ყოფნა, პარტნიორზე ძლიერი დამოკიდებულება, თვითსტიგმა, ინტერნალიზებული ჰომოფობია, გარედან არსებული ძალადობის შედეგად დაგროვილი აგრესიის პროეცირება** – ის მნიშვნელოვანი ასპექტებია, რომელიც ძალადობის ამგვარ ფორმას და მის ბაზისურ საფუძვლებს განასხვავებს ჰეტეროსექსუალ ურთიერთობაში არსებული ძალადობისგან და ცხადია, ის ძალაუფლების კონცეფციის, გენდერული როლების ათვისებისა და უმცირესობათა სტრესის თეორიების საშუალებით, ერთობლივად უნდა აიხსნას, რათა მისი დაძლევის გზების შემუშავების წინაპირობები შეიქმნას, პირველ რიგში კი, სათემო საფეხურზე.

თუმცა, როგორც ზემოთაც ითქვა, ძალადობის აღნიშნული ფორმისა და ერთი და იმავე სქესის ადამიანების ურთიერთობის აუღიარებლობა, ერთ-ერთი მთავარი ბარიერია, რაც ინტიმურ პარტნიორებს შორის არსებულ ძალადობრივ ქმედებებზე მხარდამჭერი სერვისებისა და სამართალდამცავი უწყებებისათვის მიმართვის პროცესს ართულებს.

სახელმწიფოს მხრიდან ლგბტ ჯგუფის, როგორც საზოგადოების არასრულფასოვანი წევრების აღქმა, გავლენას ახდენს უშუალოდ ლგბტ ჯგუფის მიერ ძალადობის იდენტიფიცირებაზე, როგორც აღნიშნული კვლევის ფარგლებში ლგბტქი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები საუბრობენ, ამგვარი ტიპის ძალადობის სააშკარაოზე გამოტანას გარდა საზოგადოებაში არსებული არამიღებლური დამოკიდებულებისა, თავად ლგბტ ჯგუფში არსებული მითები და ინფორმაციის ნაკლებობაც უშლის ხელს.

3. ინტიმურ პარტნიორებს შორის ძალადობის სამართლებრივი რეგულირება

მიუხედავად იმისა, რომ სტამბოლის კონვენცია ოჯახურ დანაშაულს განმარტავს, როგორც „ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ძალადობის ნებისმიერ აქტს, რომელიც ხორციელდება ოჯახში ან საშინაო ერთობაში ყოფილ და არსებულ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, მოძალადე იზიარებს ან იზიარებდა თუ არა მსხვერპლთან საერთო საცხოვრებელ ადგილს“[192]. საქართველოს კანონმდებლობის პერსპექტივით ლგბტ წყვილების ურთიერთობების რეგულირებისათვის დღეს არსებული სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზისთვის, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს თანაცხოვრებითა და თანაცხოვრების გარეშე არსებული პარტნიორული ურთიერთობები, რადგანაც ამგვარი დიფერენციაცია ხარვეზულად თავად კანონმდებლობას შემოაქვს.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ექსპლიციტიურად არ მიუთითებს პარტნიორულ ურთიერთობაზე, ნორმათა ფართო განმარტებით, **თანაცხოვრების ფორმით არსებული პარტნიორული ურთიერთობის** შემთხვევაში, ლგბტ წყვილებს შორის ძალადობის რეგულირების თეორიული შესაძლებლობები არსებობს. კერძოდ, 2017 წლის 4 მაისს გატარებული ცვლილებების შედეგად, საქართველოს კანონში „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, ოჯახის წევრთა წრე გაფართოვდა და მოიცვა როგორც არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, ასევე ის პირებიც, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.[193] ცხადია, ერთი და იმავე სქესის პარტნიორები ვერ მიიჩნევა „არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებად“, რადგანაც საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის (ახ. რედ. 30-ე მუხლი) ჩანაწერი ქორწინების დეფინიციის შესახებ საკონსტიტუციო კომისიის მიერ მოდიფიცირდა და ის „კაცისა და ქალის ერთობად“ განისაზღვრა, თუმცა, ერთი და იმავე სქესის პარტნიორების ინკლუზიის რესურსი „ერთიანი საოჯახო მეურნეობის გამწევ პირთა“ წრეში არსებობს.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მიერ განსაზღვრული ოჯახის პირთა წრის სიცხადისათვის მნიშვნელოვანია უშუალოდ „ოჯახის“ ცნების განმარტებაც, რომელსაც ზემოხსენებული კანონი თვალნათლივ არ განმარტავს, თუმცა სხვა საკნონმდებლო აქტებში ოჯახის ცნების არსებული განმარტება ანალოგიით შეიძლება იყოს გამოყენებული. მაგალითისთვის, „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილების[194] მე-2 მუხლის ბ) პუნქტის მიხედვით, „ოჯახი – ამ წესის მიზნებისათვის, განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას. ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი.“

აღნიშნული კანონი ასევე განმარტავს შინასამეურნეო საქმიანობის მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ შინამეურნეობა არის „ოჯახის საკეთილდღეოდ მიმართული საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებს საცხოვრებელი ადგილის ერთობლივ გამოყენებას, მის მოვლა-პატრონობას, ოჯახისათვის საჭირო საარსებო საშუალებათა მოპოვებასა და ამ საშუალებების (ფული, პროდუქტები, ტანსაცმელი და ა.შ.) ოჯახის საკეთილდღეოდ განკარგვა-განაწილებას.“[195]

---

[192] Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, 2011, მუხლი 3, პუნქტი ბ)

[193] მუხლი 4, პუნქტი ზ)

[194] იხ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/93652

[195] მუხლი 2, პუნქტი გ)

ამასთან, კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“ განმარტავს „ღატაკი ოჯახის“ ცნებას, რომლის მიხედვითაც, „ღატაკი ოჯახი – განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები პირი ან პირთა წრეა, რომელიც ეწევა ერთობლივ შინასამეურნეო საქმიანობას და რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ დონეზე ნაკლებია“;[196]

საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“ ასევე იძლევა შინასამეურნეო საქმიანობის განმარტებას და მას მიიჩნევს „ოჯახის სასიკეთოდ მიმართულ საქმიანობად, რომელიც ითვალისწინებს საცხოვრებელი ადგილის ერთობლივ გამოყენებას, მის მოვლა-პატრონობას, ოჯახისათვის საჭირო საარსებო საშუალებების მოპოვებასა და ერთობლივ განკარგვა-განაწილებას.“[197]

ოჯახისა და შინამეურნეობის ზემოაღნიშნული დეფინიციებიდან გამომდინარე, ერთი და იმავე სქესის ის პარტნიორები, რომლებიც ერთად ცხოვრობენ და ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას, ოჯახის წევრებად უნდა მოიაზრებოდნენ და მათი დაცვისა და დახმარებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ზომები უნდა იქნას მიღებული და ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონის საფუძველზე, მსხვერპლად უნდა იქნას ცნობილი. აღნიშნული კანონი მსხვერპლად მიიჩნევს ქალს, აგრეთვე, ოჯახის ნებისმიერ წევრს, „რომელთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით ან იძულებით და რომლებსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა.“[198]

თუმცა, მიუხედავად აღნიშნული სამართლებრივი შესაძლებლობისა, პრაქტიკის არარსებობისა, არასენსიტიური სერვისებისა და ინფორმაციის უქონლობის გამო, არაჰეტეროსექსუალ ინტიმურ პარტნიორთა შორის ჩადენილი ოჯახური დანაშაულის ფაქტზე სათანადო რეაგირება არ ხდება. ამასთან, აღნიშნულ ჩანაწერთან იდენტიფიცირებას ვერც ლგბტ ჯგუფი ახდენს, მისი ბუნდოვანობისა და სამართალდამცავების მიერ არათანმიმდევრული განმარტების გამო, რასაც კანონმდებლობის მიერ ამ ჩანაწერში ლგბტ ინტიმური პარტნიორების მოაზრების არადეკლარაციულობა და არაექსპლიციტიურობა იწვევს.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტიმური პარტნიორების დაცვის მექანიზმების, მათ შორის დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოყენების შესაძლებლობები კიდევ უფრო მცირეა იმ პარტნიორთა შემთხვევაში, რომლებიც ერთად არ ცხოვრობენ და არ ეწევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას. აღნიშნულ შემთხვევაში ძალადობის წინაშე დაუცველია როგორც არაჰეტეროსექსუალი, ასევე ჰეტეროსექსუალი წყვილი, რადგანაც კანონმდებლობა პარტნიორულ ურთიერთობაში ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს ცალკე არ გამოყოფს და არ აღჭურავს მათ დაცვის მექანიზმებით, მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლისათვის მიყენებული ზიანი სიმწვავით სხვა ტიპის ურთიერთობების მსგავსია.

---

[196] საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, 2006, მუხლი 4, პუნქტი რ), იხ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/23098

[197] საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, 2006, მუხლი 4, ფ), იხ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/23098

[198] საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 4, პუნქტი ვ), იხ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422#!

როგორც „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) პრაქტიკა აჩვენებს, 2017 წელს გეი კაცის მიმართ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის გამო, პოლიციამ შემაკავებელი ორდერი გამოსცა,[199] რაც ორგანიზაციის პრაქტიკაში ერთადერთი შემთხვევა იყო. თუმცა ამგვარი ფაქტები იშვიათია, ეს აჩვენებს, რომ მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გამოყენება წარმოადგენს არა სამართალდამცავი სისტემის ინსტიტუციური სტრატეგიისა და ასეთი ტიპის დანაშაულებზე სახელმწიფოებრივი მიდგომის ნაწილს, არამედ ინდივიდუალური პოლიციელის გადაწყვეტილებას. შესაბამისად, მსხვერპლი ერთეული პოლიციელების განწყობებსა და შეფასებებზე უფრო მეტადაა დამოკიდებული, რაც ხელს უწყობს ამგვარი ტიპის დანაშაულების განგრძობით უხილავობას.

მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცავ სისტემას გააზრებული ჰქონდეს თანაცხოვრებით თუ თანაცხოვრების გარეშე არსებული ერთი და იმავე სქესის პარტნიორთა შორის ჩადენილი დანაშაულის სიმწვავე, მისი იდენტიფიცირებისა და რეგულირების აუცილებლობა, რათა მსხვერპლისათვის სათანადო დაცვის მექანიზმები იქნას შეთავაზებული, მისი ყველა საჭიროების გათვალისწინებით და თავიდან იქნას აცილებული დანაშაულის ციკლი, რომელში ცხოვრებაც ლგბტ ჯგუფის წევრებს განგრძობითად უწევთ.

[199] ბახტაძე ქ. „ინტერსექციური დისკრიმინაცია და ლგბტი ადამიანები - სამართალწარმოების ანგარიში, WISG, 2018, გვ. 21

რეკომენდაციები

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ოჯახში ძალადობის ყველა ფორმასა და ერთი და იმავე სქესის პარტნიორებს შორის ძალადობასთან სათანადო ბრძოლის მიზნით, წლების განმავლობაში სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა ზრდის ტენდენციის პირობებში მნიშვნელოვანი ხდება, სახელმწიფოს პოლიტიკა მას ადეკვატურად ასახავდეს და იყოს მზად, გაერთიანებული ძალისხმევით აღმოფხვრას ძალადობის გამომწვევი მიზეზები ლგბტ პირთა მიმართ არსებული ნეგატიური/უარყოფითი დამოკიდებულებისა და თანასწორი გარემოს უზრუნველყოფის მიზნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სახელმწიფო უწყებების მხრიდან მოხდეს შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება და პრაქტიკაში დანერგვა:

შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე მუშაობისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ოჯახში ძალადობის ფაქტებს და ის გახდეს ამგვარ დანაშაულებთან ბრძოლის ერთიანი სტრატეგიის ნაწილი;
- მოახდინონ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რელევანტური ნორმების დისპოზიციური შინაარსის იმგვარი ცვლილების ინიცირება, რომელიც უზრუნველყოფს სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის საფუძველზე დანაშაულისათვის დამამძიმებელი გარემოების მისადაგებას და მას დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებად ქცევას;
- ოჯახში ძალადობის ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმის გამოყენებისას შემაკავებელი და დამცავი ორდერის ფორმასა და ოქმში გაჩნდეს სპეციალური ველი, რომელიც ძალადობის სოგი-ს ნიშნით განხორციელებასა და დანაშაულის ფორმაზე მიუთითებს და საჭიროების შემთხვევაში პოლიციის თანამშრომელი უზრუნველყოფს მის მონიშვნას;
- განხორციელდეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ოჯახში ჩადენილი და ოჯახური დანაშაულების ადეკვატური სტატისტიკის წარმოება, რომელიც ასევე მოახდენს დანაშაულის ფორმისა და ხარისხის, ჩამდენი პირისა და შესაძლო მსხვერპლს შორის კავშირის იდენტიფიცირებას; შესაბამისად, უნდა შემუშავდეს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სტატისტიკის წარმოებისა და აღრიცხვის შესახებ მოდული და შეიქმნას და დაიხვეწოს დანაშაულთა რეგისტრაციის გამჭვირვალე სისტემა, თავისი სახელმძღვანელო დოკუმენტებითა და შევსების ინსტრუქციით; პერიოდულად შეფასდეს და განახლდეს დანაშაულის აღმრიცხველი სისტემები და პროგრამები, იმპლემენტაციის პროცესში ნებისმიერი ტექნიკური თუ შინაარსობრივი ბარიერების თავიდან ასაცილებლად;
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს თანამშრომლებისთვის ჰომო/ბი/ტრანსფობიურ დანაშაულთა გამოძიების პრიორიტეტულობაზე მითითება და ცხადი მესიჯის გაგზავნა/შეტყობინება, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულ დანაშაულთა მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებას;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები პერმანენტულად და სისტემურად გადამზადდნენ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა გამოძიების შესახებ/კუთხით; სატრენინგო მოდულების შედგენისას გაითვალისწინონ ინტერდისციპლინური მიდგომა, რომელიც ფოკუსირდება არა მხოლოდ დანაშაულის გამოძიების ტექნიკის

სისხლისსამართლებრივ განზომილებაზე, არამედ მიმართული იქნება ლგბტ ადამიანების (და სხვა დისკრიმინირებული ჯგუფების) მიმართ მგრძნობელობის გაზრდაზე. ამასთან, არსებითია, სწავლების/ტრენინგების შედეგების გასაზომად შემუშავდეს რეალისტური და ობიექტური კრიტერიუმები და, შესაბამისად, მოხდეს მისი ანალიზი და დროული ინტერვენცია სასწავლო მოდულთა განახლებისათვის;

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაიაზროს თანაცხოვრებით თუ თანაცხოვრების გარეშე არსებული ერთი და იმავე სქესის პარტნიორთა შორის ჩადენილი დანაშაულის სიმწვავე, მისი იდენტიფიცირებისა და რეგულირების აუცილებლობა, რათა მსხვერპლისათვის სათანადო დაცვის მექანიზმები იქნას შეთავაზებული, მისი ყველა საჭიროების გათვალისწინებით და თავიდან იქნას არიდებული დანაშაულის ციკლი, რომელშიც ცხოვრება ლგბტ ჯგუფის წევრებს განგრძობითად უწევთ;
- სტამბოლის კონვენციის შესაბამისად, მოახდინონ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში რელევანტური ცვლილების ინიცირება, რომელიც პარტნიორებს შორის ჩადენილ ძალადობას მოაქცევს ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების რეგულირების ფარგლებში;
- უზრუნველყოფილი იქნას შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის ფაქტების გამოვლენა/რეაგირებაზე პასუხისმგებელი ორგანოს – გენერალური ინსპექციის, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, ასევე, განმცხადებლის/დაზარალებულის ჩართულობა პროცესში და მისი აღჭურვა ინსპექტირების მექანიზმის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით. გენერალური ინსპექციის რეფორმირება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ ის ერთდროულად არ გვევლინებოდეს ბრალმდებელ და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოდ და ამ უკანასკნელს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრი წარმოადგენდეს;
- გარე მონიტორინგის მექანიზმის სახით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, ჰომო/ბი/ტრანსფობიურ დანაშაულებზე, რომელშიც შევლენ: შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირები, საქართველოს სახალხო დამცველი, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებისა და ლგბტ თემის წარმომადგენლები; ჯგუფი დადგენილი პერიოდულობით შეიკრიბება და მისი საქმიანობა განისაზღვრება მიღწეული პროგრესისა თუ არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებითა და მათი გადაჭრის გზების ძიებით;
- უზრუნველყოფილ იქნას ლგბტ თემსა და სათემო ორგანიზაციებთან კომუნიკაცია და შემუშავდეს მათთან აქტიური კომუნიკაციის გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს უწყების ინფორმირებულობის გაზრდას ოჯახში ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით არსებულ რეალობაზე, მომეტებული საფრთხის პერიოდებსა და რისკზე.

საქართველოს პროკურატურას:

- მოახდინოს სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გენდერული გამოხატვის საფუძველზე ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირება, გამოვლენა და ბრალის შესახებ დადგენილებაში ადეკვატური ასახვა;
- მოახდინოს სოგი-ს ნიშნით ოჯახში ჩადენილი დანაშაულის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, სტატისტიკურად დამუშავება და ანალიზი;
- განახორციელოს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 31 ნაწილის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების პრაქტიკაში გამოყენების თაობაზე“ შემუშავებული რეკომენდაციის განახლება და მასში სოგი-ს ნიშნით ოჯახში ჩადენილი დანაშაულების ექსპლიციტიური მითითება;

- გაატაროს ფუნდამენტური ცვლილება მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმის გაძლიერებისა და ეფექტიანი ამოქმედებისათვის, რომელიც მოახდენს საჭიროებებზე დაფუძნებით ლგბტ პირთა მიმართ სამართალდამცავი ინსტიტუციების მხრიდან მეორეული ვიქტიმიზაციისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და პრევენციას და უზრუნველყოფს მსხვერპლთა უფლებების განუხრელად დაცვას;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად აწარმოოს ლგბტ პირთა მიმართ ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ანალიზი აღნიშნულ დანაშაულთა პრევენციისათვის ღონისძიებების დასაგეგმად და გასატარებლად;
- შეიმუშაოს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის ერთიანი სტრატეგია, ცნობიერების ამაღლების კამპანიები და უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება აღნიშნულ დანაშაულთა დაუშვებლობის შესახებ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს:

- ოჯახში ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვანი ლგბტ ადამიანის რეინტეგრაციის მიზნით შეიმუშაოს სრულყოფილი და ამომწურავი ინსტრუქცია რეინტეგრაციის მართვისა და ინდივიდუალური გეგმის შედგენისას, რათა ის არ წარიმართებოდეს ზოგადი წესის შესაბამისად და გათვალისწინებულ იქნას ისეთი სენსიტიური შემთხვევები, როდესაც ძალადობის მიზეზის აღმოფხვრა ოჯახის წევრებში არსებული სტიგმის, უარყოფითი დამოკიდებულებისა და მიუღებლობის მიზეზებს დაუპირისპირდება არასრულწლოვნის ჯანსაღ, მიმღებლურ და უსაფრთხო გარემოში დასაბრუნებლად;
- გადაამზადოს თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის პერსონალი სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, გენდერული გამოხატვისა და თანასწორობის შესახებ სენსიტიური და მსხვერპლზე ორიენტირებული სერვისების დანერგვისა და განვითარებისათვის.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს:

- სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა უზრუნველყოს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე ოჯახში ძალადობის ან ოჯახურ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული შესაბამისი მოდულის შექმნა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულთა სპეციფიკა;
- სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა უზრუნველყოს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე ოჯახში ძალადობის ან ოჯახურ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის ოჯახთან კომუნიკაცია (შესაბამისი თანხმობის პირობებში) და მსჯავრდებულსა და ოჯახის წევრს შორის შემდგომი ურთიერთობის რისკის განსაზღვრა, რისკის არსებობის შემთხვევაში კი სასჯელის მოხდის ინდივიდუალურ გეგმაში უზრუნველყოს შესაბამისი საჭიროებების გათვალისწინება;
- პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე ოჯახში ძალადობის ან ოჯახურ დანაშაულში პირობით მსჯავრდებულ/პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებულ პირთა სასჯელის მოხდის

ინდივიდუალური დაგეგმვის პროცესში ამგვარი დანაშაულების სპეციფიკაზე დაყრდნობით შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოს გათვალისწინება.

საქართველოს განათლების სამინისტროს:

- შეიმუშაოს საჭიროებაზე მორგებული კურიკულუმები და არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც გაზრდის გენდერული თანასწორობისა და სექსუალურ უფლებებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მოსწავლეებისა და მოზარდების ინფორმირებულობასა და ცნობიერებას, სტიგმის, დისკრიმინაციისა და ჩაგვრის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის.

საქართველოს საერთო სასამართლოებს:

- საქმეში არსებული მასალების გათვალისწინებითა და შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით, მოახდინოს საქმეში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის იდენტიფიცირება და მოტივის ექსპლიციტურად გამოკვეთა, განსაკუთრებით ოჯახში ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით;
- მოახდინოს მოტივის ნიშნით საქმეთა სტატისტიკურად დამუშავება და მისი პერმანენტული ანალიზი.